

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი
ევროპეისტიკის დეპარტამენტი

მარინა დევაძე

ვერბალური ქცევის გენდერული თავისებურებანი

ფილოლოგიის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად
წარმოდგენილი დისერტაცია

სპეციალობა: ლინგვისტიკა/თარგმანმცოდნეობა

სამეცნიერო ხელმძღვანელი:
ასოცირებული პროფესორი: ასმათ არძენაძე

ბათუმი

2019

გ ა ნ ა ც ხ ა დ ი

როგორც წარმოდგენილი სადისერტაციო ნაშრომის ავტორი ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

მარინა დევაძე

----- (ხელმოწერა)

----- (თარიღი)

შინაარსი

შესავალი.....	4
თავი I. გენდერული კვლევის ლინგვისტური ასპექტები	11
1.1. გენდერული პრობლემის ლინგვისტური კვლევის ისტორია	11
1.2. გენდერული სტერეოტიპების ზოგადი მიმოხილვა	20
1.3. მეტყველებისა და სამეტყველო სტრატეგიის და ტაქტიკის გენდერული მახასიათებლები	26
თავი II. ვერბალური კომუნიკაციის გენდერული ფაქტორები	
მთარგმნელობით ასპექტში	39
2.1. ქალისა და მამაკაცის მეტყველების განმაპირობებელი გენდერული ფაქტორები	39
2.2. გენდერული ნიშნით განსაზღვრული მეტყველების მთარგმნელობითი სტრატეგიები	59
თავი III. ლიტერატურული პერსონაჟების ვერბალური ქცევის გენდერული	
თავისებურებანი ორიგინალსა და თარგმანში.	78
3.1. ქალისა და მამაკაცის მეტყველების მსგავსი და განმასხვავებელი ნიშნები	78
3.2. მხატვრული ტექსტი გენდერულ ასპექტში	94
დასკვნა	118
ბიბლიოგრაფია	122

შესავალი

მეოცე საუკუნე მდიდარი იყო მეცნიერული სიახლეებით, რომელთაგან ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესია ე.წ. „ლინგვისტური შემობრუნება“ ფილოსოფიაში. ის უკავშირდება ენის მნიშვნელობისა და როლის ახლებურ გააზრებას, იმის აღიარებას, რომ „ენა არა მხოლოდ აზრის გამოხატვის საშუალება და შუამავალია ადამიანსა და სამყაროს შორის, არამედ ის ქმნის თვით ადამიანს და მის ირგვლივ არსებულ სამყაროს“ (იხ. რიჩარდ რორტის მონოგრაფია „Linguistic turn: Recent Essays in Philosophical Method“, 1967).

დაიწყო ენობრივი პრაგმატიკის ინტენსიური შესწავლა; გაბატონდა ანთროპოცენტრისტული მიდგომები, რამაც განაპირობა კვლევის ობიექტების ინტერდისციპლინური ანალიზი; განვითარდა კომუნიკაციის თეორია, კოგნიტური ლინგვისტიკა, ლინგვოკულტუროლოგია, ეთნოლინგვისტიკა, სოციოლინგვისტიკა, ფსიქოლინგვისტიკა. ამ ლინგვისტურ მიმართულებებში განსაკუთრებული ადგილი დაიკავა გენდერის პრობლემამ.

გენდერი მრავალფეროვანი ფენომენია, მაგრამ თანამედროვე მეცნიერულმა პარადიგმამ განაპირობა მისი გადმოტანა ბიოლოგიიდან ერის სოციალური ცხოვრებისა და კულტურის სფეროში. მისი სოციოკულტურული არსი გამოიხატება კომუნიკანტი მამაკაცისა და კომუნიკანტი ქალისთვის დამახასიათებელ ენობრივ ერთეულებსა და სამეტყველო ქმედებებში. ამ თვალსაზრისით მნიშვნელოვანია გენდერული ფაქტორით განპირობებული სამეტყველო ქცევისა და ენობრივი მანიპულირების პრობლემის განხილვა. კონკრეტული პრობლემების შესწავლა და გაანალიზება ინტერდისციპლინური ფსიქოლინგვისტური კვლევის აქტუალურ სფეროს წარმოადგენს.

წარმატებული კომუნიკაციის პირობების შესწავლის აქტუალურობა უდავოა, ხოლო ვერბალური ქცევის გენდერული თავისებურებანი კი წარმატებული კომუნიკაციის მნიშვნელოვანი ფაქტორია, რომელიც საინტერესო ტრანსფორმაციებს განიცდის ინფორმაციის ტრანსკოდირების ანუ თარგმნის პროცესში. ყოველივე ზემოხსენებული მეტყველებს ჩვენი საკვლევი თემის აქტუალურობაზე.

გენდერი (ლათინური „gender“ -გრამატიკული სქესის აღმნიშვნელი სიტყვა), როგორც ტერმინი, ქალთა კვლევებში გამოჩნდა XX საუკუნის სამოციანი წლების მიწურულს. მან შეიძინა სოციალური სქესის მნიშვნელობა.

ქართული ენის ენციკლოპედიური ლექსიკონის თანახმად, გენდერი განმარტებულია, როგორც სოციალური სქესი, რომელიც ენაში წარმოაჩენს ქალისა და მამაკაცის მეტყველებისათვის დამახასიათებელ თავისებურებებს. „აქედან გამომდინარე, გენდერული ლინგვისტიკა სწავლობს ქალებისა და კაცებისათვის დამახასიათებელ სამეტყველო სტერეოტიპებს“(ქართული ენა, ენციკლოპედია, 2008:109).

„გენდერი რთული კომპლექსია, რომელშიც გადაჯაჭვულია კულტურული, ფსიქოლოგიური და სოციალური ასპექტები. ეს ასპექტები კი, თავის მხრივ, განაპირობებენ ეროვნული ენობრივი პიროვნების ქცევას, რაც გენდერთან დაკავშირებულ საკითხებს ლინგვისტებისათვისაც საინტერესოს ხდის. გენდერს, როგორც ენისა და კულტურის მოვლენას, შეისწავლის ახლად შექმნილი დისციპლინები: ლინგვოკულტუროლოგია, გენდერული ლინგვისტიკა და გენდერული პოეტიკა“ (ომიაძე, 2010:109).

ერთ-ერთი აქტუალური საკითხი, რომელიც განიხილება ახალი საენათმეცნიერო მიმართულების ჭრილში, სქესისა და გენდერის ლექსიკოგრაფიული აღწერაა. აღნიშნული საკითხი განპირობებულია რიგი ფაქტორებით; აუცილებლობა ლექსიკაში არსებული აქტიური პროცესების გააზრებისა და დაფიქსირებისა, რომლებიც ასახავენ საზოგადოებაში სოციალურ ცვლილებებს, კულტურული ფასეულობების ცვლას და ასევე ახალ ლინგვისტურ მონაცემებს, მიღებულს ენის თანამედროვე კვლევის პროცესში და მათ შორის - ლინგვისტურ გენდეროლოგიაშიც.

გენდერი ენაში წარმოაჩენს ქალისა და მამაკაცის მეტყველებისათვის დამახასიათებელ თავისებურებებს. აქედან გამომდინარე, გენდერული ლინგვისტიკა სწავლობს ქალებისა და მამაკაცებისათვის დამახასიათებელ სამეტყველო სტერეოტიპებს. განსხვავება ქალისა და მამაკაცის მეტყველებაში ოდითგანვეა შემჩნეული, რასაც, უმეტეს შემთხვევაში, სოციალური ფაქტორით ხსნიან.

თემის სიახლე. ჩვენი კვლევის სიახლეს წარმოადგენს ის, რომ გენდერის გამომხატველი ენობრივი ერთეულები შეისწავლება ქართული კულტურული სივრცის ჭრილში, აგრეთვე ეს პრობლემა გაანალიზდება მთარგმნელობით ასპექტში, რაც დღესდღეობით განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს, რადგან საქართველოს უშუალო კავშირი აქვს სხვადასხვა კულტურასთან. გენდერული ფაქტორის ზეგავლენა კომუნიკაციის წარმატებულობა-წარუმატებლობაზე სხვადასხვა კულტურაში სხვადასხვაგვარია, სწორედ ამიტომ გენდერის კვლევა ქართული კულტურული სივრცის კუთხით საინტერესო სიახლეა.

გენდერის თეორიის, როგორც ახალი მეცნიერული დარგის განვითარება მეოცე საუკუნის ოთხმოციანი წლებიდან იწყება. გენდერულ კვლევებში ჩართულია არაერთი მეცნიერება: ფილოსოფია, სოციოლოგია, ფსიქოლოგია, ანთროპოლოგია და ა.შ. (<https://iuristebi.files.wordpress.com/2012/12/e18392e18394e1839ce18393e18394e183a0e18398-e18393e18390-e1839ee1839de1839ae18398e183a2e18398e18399e18390-e183a1e18390e1839be183ae.pdf>).

ტერმინი „გენდერი“ ინგლისური ენიდან გავრცელდა და მას ორმაგი დატვირთვა აქვს: ერთი მხრივ, გამოხატავს ბიოლოგიურ სქესს, ხოლო მეორე მხრივ, მას აქვს სქესის სოციალური მნიშვნელობა. ის განიხილება, როგორც საზოგადოების სოციალური სტრუქტურის ერთ-ერთი განზომილება, რომლისთვისაც დამახასიათებელია ცვლილებები დროსა და სივრცეში. აქედან გამომდინარე, გენდერული კვლევა აერთიანებს, როგორც ლინგვისტურ, ფილოსოფიურ, სოციოლოგიურ და ფსიქოლოგიურ საკითხებს, ასევე უკავშირდება პიროვნების და საზოგადოების ტრადიციულ პრობლემებს (<https://iuristebi.files.wordpress.com/2012/12/e18392e18394e1839ce18393e18394e183a0e18398-e18393e18390-e1839ee1839de1839ae18398e183a2e18398e18399e18390-e183a1e18390e1839be183ae.pdf>).

ოცდამეერთე საუკუნეში საზოგადოების დიდი ნაწილი, როგორც მამაკაცები, ასევე ქალები, აქტიურ ცხოვრებას მისდევდნენ ამა თუ იმ სფეროში, სადაც აშკარად ვლინდება მათი მეტყველების თავისებურებანი. ლინგვისტიკის განვითარების თანამედროვე ეტაპზე აქტიურად შეისწავლება სამეტყველო ქცევის დაგეგმარება, ანუ მეტყველების ტაქტიკა და სტრატეგია, ამიტომაც აქტუალურია ქალისა და მამაკაცის

ვერბალური ქცევის თავისებურებების შესწავლა საერთაშორისო კომუნიკაციაში შესაძლო წარუმატებლობის მიზეზების გამოვლენის მიზნით. ზოგადი, უნივერსალური თვისებების გარდა, გენდერი ხასიათდება ეროვნულ-კულტურული თავისებურებებით, რომლებიც მეტ-ნაკლებად შესწავლილია ინგლისურ, ფრანგულ, გერმანულ, რუსულსა და სხვ. გენდერულ ლინგვისტიკებში. სამწუხაროდ, ქართულ კულტურულ სივრცეში გენდერული ხასიათის სამეტყველო ტაქტიკა და სტრატეგიები ნაკლებად არის შესწავლილი.

კვლევის ობიექტი

ჩვენი სადისერტაციო ნაშრომის კვლევის ობიექტია ქალისა და მამაკაცის სამეტყველო ქცევის მახასიათებლების შესწავლა ქართულ კულტურაში, მათ მეტყველებას შორის მსგავსება-განსხვავების გამოვლენა და შეპირისპირება სხვა კულტურის გენდერულ მოვლენებთან. საკვლევი მასალის ერთეულები მოპოვებულია ქართული და ინგლისური ენების მხატვრული ლიტერატურის ნიმუშებიდან; საანალიზოდ აღებულია ქალი და მამაკაცი პერსონაჟების მიერ გამოყენებული ენობრივი ერთეულები, რომლებიც აღნიშნულ ენებში გენდერულ მარკერებად არის გამოყენებული. ვინაიდან აღნიშნული ერთეულები სხვადასხვა ტიპის დისკურსში ფუნქციონირების დროს იძენენ დამატებით კონოტაციებს, ჩვენ შევეცადეთ გაგვეშუქებინა შესწავლილი მოვლენები დიაქრონიულ ასპექტში.

კვლევის მიზნები და ამოცანები

ჩვენი კვლევის მიზანია ქალისა და მამაკაცის სამეტყველო (სტანდარტული და არასტანდარტული) ფორმების შეპირისპირებითი ანალიზის ფონზე ქართული კულტურისთვის დამახასიათებელი სამეტყველო ფორმების შესწავლა და კლასიფიკაცია. ასევე ჩვენ გვაინტერესებდა გენდერული სპეციფიკის გამოხატვა სამეტყველო დისკურსში, კერძოდ, ქალისა და მამაკაცის სამეტყველო ქცევის თავისებურებების გამოკვლევა, თუ რა პრობლემებს იწვევს მათი თარგმნა სხვა ენებზე.

ზემოთ აღნიშნული მიზნების მისაღწევად დავისახეთ შემდეგი ამოცანები:

1. განვიხილოთ გენდერის კატეგორია, როგორც ლინგვისტური ფენომენი, განპირობებული სოციოლინგვისტური და კულტურული ფაქტორებით; ასევე

- ამ მოვლენის ანალიზის ძირითადი პრინციპების მიმოხილვა თანამედროვე ენათმეცნიერებაში;
2. შვეისწავლოთ ქართული კულტურისთვის დამახასიათებელი სამეტყველო სტრატეგიები და ტაქტიკა გენდერულ ასპექტში:
 - ა) ქალის მეტყველების სტრატეგიები;
 - ბ) მამაკაცის მეტყველების სტრატეგიები;
 3. სამეტყველო ქცევის გამოხატვის ინგლისური და ქართული ენობრივი საშუალებების კლასიფიკაცია სხვადასხვა დონეზე (ფონეტიკურ, ლექსიკურ, სინტაქსურ და სხვ.);
 4. გამოვავლინოთ გენდერის ფაქტორის გავლენა კომუნიკაციის წარმატებულობა-წარუმატებლობაზე და შვეისწავლოთ ის თარგმნის ასპექტში;
 5. გენდერული ბალანსის განსაზღვრა წყარო და სამიზნე ტექსტში (ქართული და ინგლისური ენების ბაზაზე).

კვლევის თეორიული მნიშვნელობა

კვლევის თეორიული მნიშვნელობა, უპირველეს ყოვლისა, გამოიხატება მთელი რიგი თეორიული ცნებების გადრმავებაში. ესენია: გენდერი, მისი უნივერსალური თვისებები და ეროვნულ-კულტურული თავისებურებანი, სამეტყველო ტაქტიკა და სტრატეგიები და სხვ., ასევე კვლევის თეორიული მნიშვნელობა გამოიხატება ახალი კონცეფციების შესწავლაში, რომლებიც ეყრდნობიან ფსიქოლოგიის, კულტუროლოგიის, სოციოლოგიის, ფილოსოფიისა და სხვა დისციპლინების მონაცემებს. ინტერდისციპლინური კვლევა ცვლის ტრადიციულ ლინგვისტურ ხედვას გენდერზე და მათებს მას პრაგმატიკულ ასპექტს. ენობრივი ერთეულების ფუნქციონირება სოციუმში დიდწილად დამოკიდებულია ექსტრალინგვისტურ ფაქტორებზეც, რომელთაგანაც ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს გენდერულ ასპექტს.

კვლევის პრაქტიკული მნიშვნელობა

ნაშრომი საინტერესოა ფსიქოლინგვისტიკის, კოგნიტური ლინგვისტიკის, ლინგვოპრაგმატიკის და კულტუროლოგიისთვის. კვლევის პრაქტიკული მნიშვნელობა განისაზღვრება შედარებითი ლინგვისტიკის, გენდერული

ლინგვისტიკის, თარგმანის თეორიისა და მხატვრული თარგმანის სწავლების შედეგების გამოყენების შესაძლებლობით. კვლევის მასალები და მიღებული შედეგების გამოყენება შეიძლება ისეთ სასწავლო კურსებში, როგორებიცაა: ზოგადი ენათმეცნიერება და გენდერული ლინგვისტიკის სპეციალური კურსი. თარგმნისას გენდერის კატეგორიის გათვალისწინება ხელს უწყობს თარგმანის ხარისხის გაუმჯობესებას და ავტორის პრაგმატიკული მითითებების უფრო ზუსტ გადაცემას.

კვლევის მეთოდოლოგია

კვლევის მეთოდოლოგიის საფუძვლებს წარმოადგენს კომპლექსური მეთოდიკა. კვლევის პროცესში გამოყენებულია შემდეგი მეთოდები და ხერხები: თეორიული მასალების თვისობრივი შესწავლის მეთოდი, რაოდენობრივი კვლევის მეთოდის მონაცემთა ანალიზი, ლინგვისტიკური აღწერის მეთოდი, ენათშორისი ეკვივალენტურობის დადგენის მეთოდი.

სადისერტაციო ნაშრომის სტრუქტურა

ნაშრომი შედგება შესავლის, 3 თავის, 7 პარაგრაფისა და დასკვნებისგან; ნაშრომს თან ერთვის გამოყენებული ლიტერატურის ნუსხა და ინტერნეტ-მასალების ჩამონათვალი.

ნაშრომის პირველი თავი - გენდერული კვლევის ლინგვისტური ასპექტები შედგება 3 პარაგრაფისგან, რომლებშიც განხილულია გენდერული პრობლემის ლინგვისტური კვლევის ისტორია; მოცემულია გენდერული სტერეოტიპების ზოგადი მიმოხილვა, მეტყველების, სამეტყველო სტრატეგიების და ტაქტიკის გენდერული მახასიათებლები.

ნაშრომის მეორე თავი - ვერბალური კომუნიკაციის გენდერული ფაქტორები მთარგმნელობით ასპექტში მოიცავს 2 პარაგრაფს, რომლებშიც განხილულია ქალისა და მამაკაცის მეტყველების განმაპირობებელი გენდერული ფაქტორები, ასევე გენდერული ნიშნით განსაზღვრული მეტყველების მთარგმნელობითი სტრატეგიები და მათი მნიშვნელობა როგორც ლინგვოკულტუროლოგიასა და გენდერულ ლინგვისტიკაში, ასევე თარგმანმცოდნეობასა და მასთან დაკავშირებულ სხვა დისციპლინებში.

ნაშრომის მესამე თავში - ლიტერატურული პერსონაჟების ვერბალური ქცევის გენდერული თავისებურებანი ორიგინალსა და თარგმანში წარმოდგენილია ქალი და მამაკაცი ლიტერატურული პერსონაჟების მეტყველების მსგავსი და განმასხვავებელი ნიშნები, მათი გამოხატვის თავისებურებები სამეტყველო ქცევაში, განხილულია მხატვრული ინგლისური ტექსტები და მათი თარგმანი ქართულ ენაზე. როგორც ცნობილია, ლექსიკური და სხვა ენობრივი დონის გენდერული მარკერები უქმნიან მთარგმნელებს ბარიერებს თარგმანის პროცესში, ჩვენმა ანალიზმა კიდევ ერთხელ დაადასტურა, რომ გენდერული ფაქტორის გათვალისწინება თარგმანის პროცესში წარმოადგენს წარმატებული თარგმანის ერთ-ერთ აუცილებელ პირობას.

ჩვენი სადისერტაციო ნაშრომის დასკვნაში შეჯამებულია კვლევის შედეგები.

თავი I

გენდერული კვლევის ლინგვისტური ასპექტები

1.1. გენდერული პრობლემის ლინგვისტური კვლევის ისტორია

ნებისმიერი საგნის ან მოვლენის შესწავლა ემყარება გარკვეულ პარადიგმას, რომლის პოზიციიდან გამომდინარეც განიხილება მოვლენის მსოფლმხედველობა. ტერმინი „მეცნიერული პარადიგმა“ ამერიკელ მეცნიერს — ტ. კუნს ეკუთვნის, რომელმაც თავის ნაშრომში „სამეცნიერო რევოლუციების სტრუქტურა“ აღნიშნა, რომ „მეცნიერული პარადიგმა წარმოადგენს იმ სამეცნიერო მიღწევებს, რასაც სამეცნიერო საზოგადოების წევრები იზიარებენ და შესაბამისად, სამეცნიერო საზოგადოება შედგება იმ ადამიანებისგან, რომლებიც იზიარებენ აღნიშნულ პარადიგმას“ (Kuhn, 1970:176).

ანთროპოცენტრიზმი (ტერმინი მომდინარეობს ბერძნული სიტყვისგან „ἀνθρωπος“- ადამიანი და ლათინური centrum- ცენტრი) ლინგვისტური აზროვნების ისეთი მიმართულებაა, როდესაც ადამიანი ექცევა ყურადღების ცენტრში. თანამედროვე ლინგვისტიკა ანთროპოცენტრისტულია იმდენად, რამდენადაც მასში წამყვან როლს ასრულებს პრაგმატიკა, სემიოტიკაზე დაფუძნებული ლინგვისტიკის დარგი, რომელიც იკვლევს ადამიანს, როგორც კომუნიკაციის სუბიექტს.

ადამიანი, მიუხედავად თავისი სურვილისა, იმყოფება კომუნიკაციურ სფეროში, ე.ი. ვერბალური და არავერბალური კონტაქტების ერთობლიობაში განსაზღვრული ჯგუფის მუდმივ პირებთან ან შემთხვევითი კონტაქტების სისტემაში. საზოგადოებრივ-სოციალური, კულტურული, ეთნოლოგიური და ფსიქოლოგიური პრობლემები ქალისა და მამაკაცისაგან განსხვავებულად აღიქმება. განსხვავებანი ქალისა და მამაკაცის შეგნებასა და ქცევებში, გენდერული კვლევის საგნად იქცა (Жеребкин, 2001:56).

გენდერი წარმოადგენს თანამედროვე ლინგვისტიკის ერთ-ერთ სწრაფად განვითარებად სფეროს. ის მეტად არის შესწავლილი ინგლისურ, გერმანულსა და რუსულ ენათმეცნიერებაში, ხოლო ქართულ სამეცნიერო პრაქტიკაში გენდერული სტერეოტიპები ნაკლებად არის განხილული. აღსანიშნია, რომ ლინგვისტიკის

ინტენსიურმა განვითარებამ მეოცე საუკუნის მეორე ნახევარში გენდერული კვლევები ახალი მიდგომებით გაამდიდრა. კერძოდ, სამეცნიერო აქტების თეორია და სამეცნიერო ტაქტიკა და სტრატეგიები უშუალოდ უკავშირდება გენდერის სოციოლინგვისტურ სპეციფიკას.

თანამედროვე მეცნიერებაში ვხვდებით სქესის შემდეგ განმარტებას: გენდერი წარმოადგენს კონვენციონალური იდეოლოგიის მნიშვნელობის კონსტრუქტს, რომელიც თავს იჩენს იმ იდეებისა და კონცეფციების დაგროვების დროს, რომლებიც გამოხატავენ, თუ რას ნიშნავს, იყო ქალი ან კაცი მოცემულ კულტურაში. გენდერის ცნება ასახავს ინდივიდის სოციოკულტურული მოდელის ინდივიდუალურ შედეგს, რომელიც გარკვეულ ისტორიულ ეტაპზე მოცემულ საზოგადოებაშია მიღებული. ამდენად, რუსი მეცნიერის, ა. კირილინას, მიხედვით, „გენდერი აქცენტს აკეთებს ინდივიდის სოციალურ და კულტურულ ფაქტორზე და არა ბიოლოგიურად დომინანტურ სქესზე“ (Кирилина, 1998:5).

გენდერული კვლევების საფუძველია ის, რომ გენდერი სოციალურად და კულტურულად განპირობებულია. ა. კირილინა მიიჩნევს, რომ გენდერი „საშუალებას გვაძლევს მივუდგეთ მას, როგორც მამაკაცურობისა და ქალურობის მოვლენას, არა როგორც უცვლელ ბუნებას, არამედ ადამიანის საზოგადოების განვითარების დინამიკურ, არასტაბილურ პროდუქტს, სოციალურ მანიპულირებას და მოდელირებას. ამ მეთოდოლოგიური პრინციპის აღიარების დღიდან უნდა მივმართოთ ენის ანალიზს, რათა დადგინდეს გენდერის დინამიკისა და კულტურული სპეციფიკის გამოვლენა“ (Кирилина, 1998).

ტერმინი „გენდერი“ აღნიშნავს ქალებისა და მამაკაცების სოციალურად კონსტრუირებულ როლებს, რომლებიც მიეწერებათ მათ სქესობრივი ნიშნის მიხედვით. ამდენად, გენდერული როლები დამოკიდებულია კონკრეტულ სოციო-ეკონომიკურ, პოლიტიკურ და კულტუროლოგიურ კონტექსტზე და განიცდის სხვადასხვა ფაქტორის გავლენას რასის, ეთნიკურობის, კლასის, სექსუალური ორიენტაციის და ასაკის მიხედვით. გენდერული როლები შეისწავლება და ფართოდ განსხვავდება თითოეული კულტურის ფარგლებში და კულტურებს შორის.

პიროვნების ბიოლოგიური სქესისგან განსხვავებით გენდერული როლები შეიძლება შეიცვალოს (<http://www.nplg.gov.ge/gwdict/index.php?a=term&d=5&t=3256>).

გენდერი არ არის მხოლოდ შესწავლის საგანი, არამედ გენდერული კვლევა არის უმაღლესი სოციალური უტოპია, რომელიც უკავშირდება ყველა სამეცნიერო მიმართულებას და მათ შორის ადამიანისა და საზოგადოების ურთიერთობის ყველაზე ინტიმურ პრობლემას. იგი კავშირშია ინდივიდუალურ ადამიანთან, რომელიც აფასებს საკუთარ თავს და თავის ურთიერთობას გარშემომყოფთა მიმართ.

სწორედ გენდერი და არა სქესი განსაზღვრავს ქალისა და მამაკაცის ფსიქოლოგიურ ნიშნებს, შესაძლებლობებს, მოღვაწეობის სფეროს, პროფესიას, საქმიანობას და ემყარება აღზრდის სისტემას, ტრადიციას და წეს-ჩვეულებებს, სამართლებრივსა და ესთეტიკურ ნორმებს.

ამგვარად, ქალები და მამაკაცები თავიანთი საზოგადოების კულტურული წევრები არიან. გენდერული განსხვავებების ფორმირებაში განმსაზღვრელ, გადამწყვეტ ფაქტორს წარმოადგენს კულტურა.

გენდერის მეთოდოლოგიის თეორეტიკოსი, ცნობილი ამერიკელი მეცნიერი ჯ. სკოტი გენდერს განმარტავს, როგორც „სოციალური ურთიერთობის ელემენტს, რომელიც ითვისებს სქესთა შორის განსხვავებას და მათი ძალაუფლების ძირითად გზას“ (Skott,1986:1053 <file:///C:/Users/User/Desktop/temaaa-diss/joanscottgender1986.pdf>).

გენდერის პირველი განმარტება უკავშირდება ფემინისტურ ანალიზს, რომლის საფუძველზეც ვლინდება ქალის როლი სხვადასხვა სოციალურ მდგომარეობაში. ანთროპოლოგი გ. რუბინი შემდეგნაირად განიხილავს გენდერულ კვლევას: „პოლიტიკურ-ეკონომიკური სქესის ნიშნების საფუძველზე გენდერი განიხილება, როგორც ბიოლოგიური სქესის რეგულარული, კომპლექსური შეთანხმება, როგორც საზოგადოებრივი საქმიანობის საგანი“ (რუბინი,1975: საქართველოს ეროვნული პარლამენტის ბიბლიოთეკა <http://www.nplg.gov.ge/gwdict/index.php?a=term&d=5&t=3256>).

ამერიკის შეერთებულ შტატებში გენდერი განიხილება, როგორც ფემინისტური მიმართულების ტერმინი, რომელიც გულისხმობს განსხვავებული სქესის სოციალურ მხარეებს. როცა საუბრობენ მდედრობითი და მამრობითი სქესის არსებობაზე,

გულისხმობენ მათ ბიოლოგიურ განსხვავებას, როცა საუბრობენ გენდერზე, რომელიც სოციოკულტურული დეფინიციიდან გამომდინარეობს, გულისხმობენ ქალისა და მამაკაცის სოციალური მდგომარეობის განსხვავებას.

გენდერი, ეს არის სოციალური სქესი, განსხვავება კაცსა და ქალს შორის, რომელიც განპირობებულია არა ბიოლოგიური, არამედ სოციალური მოცემულობით (სპეციფიკური სოციალური ფუნქციები საზოგადოებაში, კულტურული სტერეოტიპები და ა.შ.).

ბიოლოგიური სქესისაგან განსხვავებით, გენდერი სქესის სოციალურ განზომილებას, ერთგვარ სოციოკულტურულ ფენომენს წარმოადგენს, რომელიც ასახავს კაცად და ქალად ყოფნის თავისებურებებს ამა თუ იმ საზოგადოებაში. მაგ. ამ საზოგადოებაში კაცს შეიძლება ჰქონდეს სოციალური როლი, რომელიც ტრადიციულად ქალის როლად მიიჩნევა (მაგ. ბავშვების მოვლა და დიასახლისობა), მაგრამ ეს ქცევა მას ფიზიკურად ნაკლებად კაცურს სულაც არ ხდის. კაცისა და ქალის სოციალურ როლებს თავად საზოგადოება ქმნის, მისთვის დამახასიათებელი კულტურული ნორმებითა და ფასეულობებით (<http://www.nplg.gov.ge/gwdict/index.php?a=term&d=5&t=3256>).

ვიმოწმებ ბერეკაშვილის მიხედვით, გენდერის დარგის მკვლევარი, სოციოლოგი ო. ვორონინა თვლის, რომ თანამედროვე გენდერული თეორია არ ცდილობს, ეჭვი შეიტანოს ქალებსა და კაცებს შორის განსხვავებებში და მიიჩნევს, რომ საინტერესოა არა განსხვავებების ფაქტი, არამედ მათი სოციოკულტურული ინტერპრეტაცია და, აგრეთვე ის, თუ როგორ იგება ძალაუფლებრივი სისტემები ამ განსხვავებების საფუძველზე. გენდერული თეორიისთვის ფუნდამენტურად გვესახება დებულება, რომ ყველაფერს, რაც ტრადიციული შეხედულებით სქესთა შორის „ბუნებრივ“ განსხვავებად ითვლებოდა, სინამდვილეში არა ბიოლოგიური, არამედ სოციალური საფუძველი აქვს. განსხვავებები იგება საზოგადოებაში სოციალური ინსტიტუტების ზეგავლენით, იმ ინსტიტუტებისა, რომლებიც ტრადიციული მამაკაცური და ქალური როლის რეპრეზენტაციას ახდენენ“ (ბერეკაშვილი, 2012:14).

ახალი კონცეფციები, რომლებიც ეყრდნობა ფსიქოლოგიის, კულტუროლოგიის, სოციოლოგიის, ფილოსოფიის და სხვა ანთროპოლოგიური დისციპლინების მონაცემებს, ცვლის ტრადიციულ ლინგვისტურ ხედვას. ნათლად გამოჩნდა, რომ ენის ძირითადი ფუნქცია არის არა მარტო ინფორმაციის გადაცემა, არამედ პიროვნების ორიენტაციის საშუალება. გაიზარდა ინდივიდუალური და ისეთი პარამეტრების მნიშვნელობა, როგორცაა ადამიანის სქესი. არსებობს ფორმებისა და ენობრივი შემეცნების ფუნქციონირების კვლევა, რომელიც ჰომოგენურ ლინგვოკულტუროლოგიურ გარემოში ტარდება ასოციაციურ მასალაზე. მისი სპეციფიკაც რიგ შემთხვევაში განისაზღვრება ბიოლოგიურ-სოციალური ასპექტებით.

სხვადასხვა სოციალური ჯგუფის ადამიანებს აქვთ საკუთარი უნიკალური ენა, რომელსაც სოციალური დიალექტი ეწოდება. სოციალური დიალექტი გულისხმობს ენის ნაირსახეობას. ის საერთოა ადამიანთა გარკვეული ჯგუფისთვის, რომელთაც აქვთ ერთნაირი სოციალური, კულტურული ან ეკონომიკური ნიშნები და თვისებები. ისინი შესაბამისად გვამცნობენ ამ კონკრეტული ადამიანების სოციალური პოზიციის შესახებ. ქალისა და მამაკაცის ენა განსხვავებულია. ქალებს, როგორც სოციალური ჯგუფს, აქვთ თავიანთი დამახასიათებელი ენა. ჯერ კიდევ 1970 წელს ფემინისტურ ენას დიდი ყურადღებას აქცევდნენ ლინგვისტები, ფსიქოლინგვისტები და სოციოლინგვისტები. ქალების ენა გამოიყენებოდა, ასევე, გენდერული განსხვავებების ასაღწერად ენის ფენომენში. სოციოლინგვისტიკაში გაჩნდა ახალი მიმართულება გენდერული ლინგვისტიკის სახელწოდებით.

გენდერული ლინგვისტიკის ერთ-ერთი ფუძემდებელია უ. ლაბოვი, რომლის ნაშრომი სოციოფონოლოგიაში მდებარეობითი და მამრობითი ვერბალური ენის მეცნიერული კვლევის დასაწყისად ითვლება. ის ერთ-ერთი პირველთაგანია, ვინც ყურადღება გაამახვილა სქესისა და გენდერის, როგორც სოციალური ცვლადის, მნიშვნელობაზე. მან ემპირიული კვლევებით დაადასტურა სისტემური დამოკიდებულება სხვადასხვა ლინგვისტურ ვარიაციასა და არაენობრივ ფაქტორს შორის (Labov, 1972:113).

მეცნიერმა ენობრივი ცვლადები გაანაწილა სქესის, გენდერის, ასაკის, სოციოეკონომიკური მდგომარეობის, სტატუსისა და სიტუაციური კონტექსტის

მიხედვით. ყურადღება გამახვილდა ადამიანის სამეტყველო ქცევის ორ მახასიათებელზე:

ა) ყველა სოციალური კლასის და ასაკის ქალები უფრო სტანდარტულ ენობრივ ვარიანტებს იყენებენ, ვიდრე მათი ეკვივალენტური მამაკაცები.

ბ) საშუალო ფენის წარმომადგენელთა მეტყველებას აქვს „ჰიპერკორექტულობისაკენ“ მიდრეკილება. მამაკაცებისაგან განსხვავებით, ქალთა „უფრო კორექტული“ საუბრის მიზეზად სოციოლინგვისტური და პრესტიჟული ენობრივი ნორმების მიმართ მათი მეტი მგრძნობელობა სახელდება (Labov, 1972:302).

გენდერული ლინგვისტიკის ახალი ეტაპი 1980 წლიდან იწყება. ამ პერიოდში შეიქმნა მალტც-ბორკერის (Maltz, Börker, 1983) „ორი კულტურის თეორია“, რომელიც არა ეთნიკურად განსხვავებული ინდივიდების, არამედ ქალისა და მამაკაცის, როგორც სხვადასხვა კულტურისა და ეთნოსის წარმომადგენლების ენობრივ ინტერაქციას გულისხმობს; ასევე გულისხმობს კულტურულ განსხვავებებს და წარუმატებელ კომუნიკაციას, რადგანაც ჩვენთვის ცნობილია, რომ ქალთა და მამაკაცთა ენა განიხილება, როგორც სხვადასხვა სუბკულტურული ფენომენი, ხოლო მათ შორის ურთიერთობა კულტურათ-შორისი კომუნიკაციის ერთ-ერთი ფორმაა.

გენდერული ლინგვისტიკის უახლესი კვლევები ეყრდნობა მალტც/ბორკეს (Maltz, Borker, 1983) „ორი კულტურის თეორიას“. ეს თეორია, თავის მხრივ, ეფუძნება ჯ. გამპერცის (გამპერცი, 1982) ამავე სახელწოდების თეორიას, რომელიც ეხება სხვადასხვა ეთნიკური ჯგუფის წარმომადგენელთა ენობრივ ინტერაქციას. ინტერკულტურული კომუნიკაციის დროს პრობლემები წარმოიშობა არა ენობრივი შეცდომების გამო (გრამატიკული თუ სემანტიკური შეცდომები ამ დროს დასაშვებია და მისაღებია), არამედ ცალკეული ენობრივი ქმედების განსხვავებული ინტერპრეტაციით.

ჯ. გამპერცმა ენათმეცნიერებაში დაამკვიდრა ტერმინი „კონტექსტუალურობა“, მითითება კონტექსტის შესახებ. მოსაუბრე თავისი გამოხატულებებით გვაწვდის კონტექსტუალურობის ნიშანს, ამით რეციპიენტს აძლევს სიგნალს, თუ როგორ უნდა გაუგოს მას. კონტექსტუალურობა შეიძლება გამოიხატოს გაძლიერებით, გარკვეული სემანტიკური კონსტრუქციებით, ცნებების არჩევით, ინტენციით. განსხვავებული

კონტექსტუალური ნიშნების არსებობა არის ინტერკულტურულ კომუნიკაციაში გაუგებრობისა და კომუნიკაციური შეცდომების მიზეზი. ამ თეორიის მიხედვით, ქალი და მამაკაცი გენდერით განპირობებული სხვადასხვა სუბკულტურულ ფენომენებს მიეკუთვნებიან და სწორედ ეს არის მათი ენობრივი სხვაობის მიზეზი. ამ თეორიის ძირითადი ჰიპოთეზებია:

1) გოგონები და ბიჭები სხვადასხვა კულტურულ სფეროში იზრდებიან და სქესისთვის სპეციფიკური ინტერაქციის ნიშნებს 5-15 წლის ასაკში ავლენენ;

2) ქალთა და მამაკაცთა კომუნიკაცია კულტურათაშორისო კომუნიკაციაა (Maltz, Borker, 1983:152).

დასახელებული თეორია განიცრვო მოსაზრებით, რომ მამაკაცები უპირატესობას ანიჭებენ ინფორმაციის სფეროს, ხოლო ქალები – საურთიერთოს. საუბრის დროს ხან ერთი, ხან – მეორე სფერო დომინირებს. კომუნიკაციაზე დიდ გავლენას ახდენს სიტუაცია და სასაუბრო თემა. სოციოლინგვოკონფლიქტი წარმოიშობა მოსაუბრე გოგონასა და მოსაუბრე ბიჭს შორის დასახელებული სფეროების შერევით. ინტერაქციაში მონაწილენი ამ პროცესს ან აცნობიერებენ, ან – არა (Tannen, 1990:165). აღნიშნული მოსაზრება ბევრჯერ გააკრიტიკეს, მაგრამ მას აქტუალურობა არ დაუკარგავს, ის დღემდე ენათმეცნიერებასა და სოციოლოგიაში გოგონებისა და ბიჭების ვერბალური ენის განსხვავების საფუძველია.

რუსი მკვლევარი ო. კოლოსოვა აღნიშნავს, რომ გენდერული კვლევების გათვალისწინებით დასავლეთში გამოყოფენ სამ ძირითად მიდგომას:

- პირველი მიდგომის არსი ქალისა და მამაკაცის სამეტყველო ენის **სოციალური ბუნების ინტერპრეტაციაა** და მიზნად ისახავს იმ ენობრივი განსხვავებების გამოვლენას, რომლებიც შეიძლება აიხსნას საზოგადოებაში სოციალური ძალების გადანაწილების თავისებურებებით. ამასთან, ქალისა და მამაკაცის სამეტყველო ენა განიხილება, როგორც ძირითადი ენიდან ფუნქციურად ნაწარმოები ენა, რომელიც გამოიყენება იმ შემთხვევებში, როცა კომუნიკანტები იმყოფებიან სოციალური იერარქიის სხვადასხვა დონეზე.
- მეორე, **სოციოფსიქოლინგვისტური მიდგომა** მეცნიერული თვალსაზრისით ასუსტებს „ქალისა“ და „მამაკაცის“ ლინგვისტური ქცევის ენობრივ

თავისებურებებს. მეცნიერებისათვის, რომლებიც აღნიშნული მიმართულებით მუშაობენ, სტატისტიკურ მაჩვენებლებს და საშუალო პარამეტრების განსაზღვრას აქვს არსებითი მნიშვნელობა. ისინი ქმნიან ქალისა და მამაკაცისთვის დამახასიათებელი მეტყველების ჩარჩოს ფსიქოლინგვისტური თეორიის ასაგებად.

- მესამე მიდგომის წარმომადგენლები საერთოდ აქცენტს აკეთებენ სქესის ენობრივ ქცევებში განსხვავების **კოგნიტურ ასპექტზე**. მათთვის ყველაზე მნიშვნელოვანია არამართო განსხვავებების სიხშირის განსაზღვრა და მისი ფუნქციური შესრულება, არამედ ენის კატეგორიის კოგნიტურ ბაზებში თანმიმდევრული ლინგვისტური მოდელების შექმნა“ (Колосова, 1996:27).

თანამედროვე სამეცნიერო პარადიგმაში სამივე მიდგომა განიხილება, როგორც ერთი ურთიერთშემავსებელი ძალა, რომელთაც აქვთ საერთო განმარტება. რუსი ენათმეცნიერის, ე. კარტუშინას, აზრით, პირველ რიგში, როგორც წესი, კვლევის ობიექტი შეისწავლება სქესისა და ენის ურთიერთდამოკიდებულებაზე დაყრდნობით. აქედან გამომდინარეობს კითხვა იმის შესახებ, თუ როგორი სახით (ნომინაციური სისტემა, ლექსიკა, სინტაქსი, სქესის კატეგორია და სხვ.) გამოიხატება სქესი ენაში. ასეთი კვლევების მთავარ მიზანს წარმოადგენს იმის შესწავლა, თუ როგორ ვლინდება სქესი ენაში, როგორი შეფასებები კეთდება ქალისა და მამაკაცის სამეტყველო ენაში და რომელ სემანტიკურ სფეროებშია ისინი ყველაზე მეტად გავრცელებული.

მეორე მხრივ გენდერული კვლევები ენაში შეიძლება წარმოადგენდეს სქესის სამეტყველო ქცევის შესწავლას, ქალისა და მამაკაცის მეტყველების თავისებურებების გამოყოფას და აღწერას. გარდა ამისა, უნდა აღინიშნოს, რომ გენდერული კვლევები ენათმეცნიერებაში ინტერდისციპლინური და შედარებითია. და ბოლოს, აღნიშნავს მეცნიერი, „ენათმეცნიერების პრაქტიკულად ნებისმიერი სფეროს განხილვა შეიძლება გენდერული თვალსაზრისით“ (Картушина, 2003:23).

ქართულ ლინგვისტიკაში, როგორც უკვე ზემოთ აღვნიშნეთ, ნაკლებად არის გაშუქებული გენდერული სტერეოტიპების თავისებურებანი, ასევე ქალებისა და მამაკაცების სამეტყველო ტაქტიკა და სტრატეგიები. „ფემინისტურმა ლინგვისტიკამ

შესაძლებელი გახადა, ქალს თავად დაენახა თავისი თავი სხვადასხვა ასპექტში, სხვადასხვაგვარად გამოეხატა ის ენაში და თავადვე შეეფასებინა. უბრალოდ, მას შესაძლებლობა მიეცა, მოესმინათ მისთვის და გაეგოთ, გაეგონათ მისი ხმა და აზრი“ (ყიფიანი, 2011:441).

ნოდარ ლადარია „სოციოლინგვისტიკის“ დამხმარე სახელმძღვანელოში გენდერთან მიმართებით მხოლოდ ორ საკითხს განიხილავს:

- 1) ტერმინის განმარტება. სოციოლინგვისტური გენდერული გამოკვლევის მიზნები;
- 2) სოციოლინგვისტური გენდერული კვლევების უმთავრესი პარადიგმები (ლადარია, 2002:61-60- 64).

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის რუბრიკაში „გენდერული პრობლემატიკა საქართველოში“ გენდერი ძირითადად განიხილება საზოგადოებრივ-სამართლებრივ ჭრილში, მაგრამ სასიხარულოა, რომ მისი ენობრივი გამოხატვის სპეციფიკამ უკვე მიიპყრო ახალგაზრდა ლინგვისტების ყურადღება, რაზეც მეტყველებს შემდეგი სადოქტორო კვლევები და საკონფერენციო თემები: „გენდერული სტერეოტიპი და ენა – ქალის სახე ინგლისურ და ქართულ ანდაზებში“ (თეა შავლაძე, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი, მე-4 საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის „კულტურათა-შორისი დიალოგები“ მასალები, 2017); „პერსონაჟთა მეტყველების გენდერული ურთიერთმიმართებანი ქართულსა და ინგლისურში“ (მაია ფურცხვანიძე, თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი, 2017); „დისკურსის გენდერული დინამიკა ახალგაზრდების მეტყველებაში. გერმანული და ქართული მასალის მიხედვით“ (მირანდა გობიანი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, 2013). გენდერის გაშუქებას ქართულ ლინგვისტიკაში დავასრულებთ ზაალ კიკვიძის ძალიან საინტერესო ნაშრომით „ენა, გენდერი, საზოგადოება“ (თბილისი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2010), რომელშიც ავტორი მსჯელობს გენდერულ განსხვავებათა შესახებ ენასა და კომუნიკაციაში.

1.2. გენდერული სტერეოტიპების ზოგადი მიმოხილვა

ადამიანი სოციალური არსებაა. იგი იზრდება საზოგადოებაში და თანდათანობით ითვისებს მასში არსებულ სტერეოტიპებს - ამა თუ იმ საზოგადოებისთვის მოცემულ ისტორიულ პერიოდში მდგრად შეხედულებებს ქალსა და კაცს შორის განსხვავებებზე, მათ სოციალურ როლებზე, ფუნქციებზე, ქცევის ნორმებზე. იგლის (Eagly) მიხედვით, გენდერული სტერეოტიპები არსებითად სოციალური ნორმებია, ხოლო ბერნის (Bern) მიხედვით, სტერეოტიპები - ეს არის ძირითადი წესები, რომლებიც განსაზღვრავენ ადამიანის ქცევას საზოგადოებაში და ამავე დროს, ისინი ფსიქიკური ენერჯის ეკონომიკის ფუნქციას ასრულებენ. ეს იმას ნიშნავს, რომ სტერეოტიპები წარმოადგენენ ქალებისათვის და მამაკაცებისათვის დამახასიათებელ თვისებათა და ქცევის მოდელთა კრებულს, რომელიც გვეხმარება ინფორმაციის გადამუშავებასა და ადეკვატურ ურთიერთობებში.

ამგვარად, გენდერული სტერეოტიპები - ეს არის ფსიქოლოგიური მახასიათებლები და ქცევა, რომელიც ამა თუ იმ საზოგადოებაში (ან კულტურაში) მოცემულ ისტორიულ პერიოდში ითვლება ერთი რომელიმე სქესისთვის მეტად დამახასიათებლად. ასე მაგალითად: „კაცები მეტად აგრესიულები არიან“ ან „კაცები უფრო ჭკვიანები არიან“, „ქალები ზედმეტად ემოციურები არიან“, „ქალებს არ შეუძლიათ მანქანის მართვა კარგად“ ან „კაცებმა ნამდვილი მეგობრობა იციან, ქალებს კი არ შეუძლიათ ნამდვილი მეგობრობა“ და ა.შ. სტერეოტიპები ხელს უწყობენ სქესობრივი როლების შეთვისებას და წარმოადგენენ სოციალიზაციის მოდელებს ბავშვებისთვის (წერეთელი, 2006:11).

გენდერული სტერეოტიპები, Civil (სამოქალაქო) ენციკლოპედიური ლექსიკონის თანახმად, არის გაბატონებული შეხედულება ქალისა და მამაკაცის მახასიათებლებისა და როლების შესახებ, ანუ როგორი უნდა იყოს და როგორ უნდა იქცეოდეს ქალი ან მამაკაცი ამა თუ იმ საზოგადოებაში: როგორია ფსიქოლოგიური მახასიათებლები და ქცევა, რომელიც ამა თუ იმ საზოგადოებაში (ან კულტურაში) მოცემულ ისტორიულ პერიოდში რა ითვლება ერთი რომელიმე სქესისთვის მეტად დამახასიათებლად. ასე მაგალითად: „კაცები მეტად აგრესიული არიან“ ან „კაცები უფრო ჭკვიანნი არიან“, „ქალები ზედმეტად ემოციური არიან“, „ქალებს არ

შეუძლიათ მანქანის მართვა კარგად“ ან „კაცებმა ნამდვილი მეგობრობა იციან, ქალებს კი არ შეუძლიათ ნამდვილი მეგობრობა“, „გოგოს რად უნდა ამდენი სწავლა“, „კაცია და გადაწყვიტოს“, „პოლიტიკა რა ქალის საქმეა“ და ა.შ. სტერეოტიპები ხელს უწყობს სქესობრივი როლების შეთვისებას და წარმოადგენს სოციალიზაციის მოდელებს ბავშვებისთვის. კვლევებმა აჩვენა, რომ არსებობს გენდერული სტერეოტიპების მაღალი ხარისხით კროსკულტურული მსგავსება. გენდერული სტერეოტიპების ფორმირების უილიამსის და ბესტისეული (Williams & Best) მოდელი ეფუძნება იმ მოსაზრებას, რომ ბიოლოგიურ განსხვავებებს (მაგ.: ქალი აჩენს შვილებს, კაცებს კი მეტი ფიზიკური ძალა აქვთ) მივყავართ შრომის ისეთ განაწილებამდე, რომლის დროსაც ქალებს აქვთ პასუხისმგებლობა ბავშვების აღზრდასა და მოვლაზე, კაცებს კი – ოჯახის უზრუნველყოფასა და დაცვაზე.

ჯონ უილიამსი და დებორა ბესტი თვლიან, რომ გენდერული სტერეოტიპები ყალიბდებოდა, რათა უზრუნველყოთ ასეთნაირად ჩამოყალიბებული შრომის განაწილების განმტკიცება. სტერეოტიპი გულისხმობს, რომ შესაბამისი სქესის წარმომადგენელს აქვს ან შეუძლია, განავითაროს მისთვის მიკუთვნებული როლის შესაბამისი თვისება. ერთხელ ჩამოყალიბებული სტერეოტიპები სოციალიზაციის მოდელების ფუნქციას ასრულებენ. ისინი აიძულებს ბიჭებს, იყვნენ უფრო დამოუკიდებელნი და გაბედულნი, ხოლო გოგონებს – მზრუნველნი და კონტაქტურნი. ამგვარად, გასაგები ხდება, რომ ადამიანები სხვადასხვა კულტურის ფართო დიაპაზონის ფარგლებში მიდიან იქამდე, რომ მახასიათებლების ერთი ნაკრები ასოცირდება მამაკაცის სქესთან, ხოლო მეორე – ქალთა სქესთან (<http://www.nplg.gov.ge/gwdict/index.php?a=term&d=5&t=9581>).

გენდერის (ქალთა და მამაკაცთა, როგორც სოციალურ სქესთა) სამეტყველო ქცევა ენაში აღბეჭდილ ისტორიულად ჩამოყალიბებულ სტერეოტიპთა ბაზაზე აიგება. გენდერული სტერეოტიპები შეხედულებათა სისტემაა იმის შესახებ, თუ როგორ უნდა იქცეოდეს ქალი და მამაკაცი. დადგენილია, რომ მამაკაცები და ქალები განსხვავდებიან როგორც სამოქმედო, ასევე სამეტყველო კომუნიკაციის სტრატეგიებითაც. აღნიშნული მოსაზრება სამეტყველო ქცევათა გენდერულ თავისებურებებთან ერთად ამ თავისებურებების კოგნიტურ ასპექტსაც გულისხმობს,

რასაც ქალისა და მამაკაცის მიერ სამყაროს სურათის სხვადასხვაგვარ აღქმამდე მივყავართ.

გენდერული ლინგვისტიკა/ გენდერლინგვისტიკა/ ლინგვისტური გენდეროლოგია – ერთი ტერმინის ვარიანტებია, რომლებიც თანამედროვე საენათმეცნიერო ლიტერატურაში პარალელურად გამოიყენება, თუმცა დასახელებული ვარიანტების არსებობა არ უკავშირდება იმ ფაქტს, რომ თვით ამ ტერმინის განსხვავებული დეფინიციები არსებობს. თანამედროვე ცნებათა და ტერმინთა ლექსიკონის (რედ. ვ. მაკარენკო) მიხედვით, გენდერული ლინგვისტიკა არის ენათმეცნიერების ერთ-ერთი მიმართულება, რომელიც შეისწავლის მეტყველთა სქესით შეპირობებულ განსხვავებებს ენაში. მოყვანილი განმარტება ენისა და მეტყველების ფუნქციონირების სოციოლინგვისტურ მოდელს ესადაგება. გენდეროლოგთა მეორე ნაწილის მტკიცებით, ენის მონაცემები ინფორმაციის ერთ-ერთი ძირითადი წყაროა გენდერის, როგორც კულტურისა და სოციალური ურთიერთობების პროდუქტის, ხასიათისა და კონსტრუირების დინამიკის შესახებ (იქვე, 2002).

მეცნიერები ხაზგასმით აღნიშნავენ, რომ გენდერი სოციუმის მიერ შექმნილი აბსოლუტური კონსტრუქტია. ამ სიტყვაში ერთდროულად ნაგულისხმევია ინდივიდის მიერ მამაკაცურობისა თუ ქალურობის მოდელის მორგების პროცესიცა და შედეგიც, იმ მოდელისა, რომელიც თავის მხრივ, სოციალურად და კულტურულადაა შეპირობებული და მიღებულია მოცემულ საზოგადოებაში მოცემულ ისტორიულ ეტაპზე. აღნიშნული მიდგომა ითვალისწინებს საზოგადოებაში დადგენილი ნორმების, შაბლონების, სოციოკულტურული აქსიოლოგიური სტერეოტიპების მიხედვით სხვადასხვა სქესის წარმომადგენელთა კომუნიკაციური ქცევისა და ურთიერთქმედების შესწავლას. ორივე კონცეფციის გაერთიანებით, ენისა და გენდერის მიმართებათა კვლევისას თანამედროვე ენათმეცნიერებაში შეიძლება გამოიყოს შემდეგი ძირითადი მიმართულებები:

- გენდერული სხვაობის გამოვლენა ენის სხვადასხვა დონეზე: ფონეტიკაში, მორფოლოგიაში, სემანტიკასა და სინტაქსში;

- ვერბალურ სტერეოტიპთა სხვადასხვაობის დაძვინა ქალურ და მამაკაცურ აღქმაში;
- საზოგადოებაში სოციალურ ფუნქციათა გადანაწილებით განპირობებულ სემანტიკურ სხვაობათა გამოვლენა, განსაკუთრებით გენდერული პოზიციიდან, რომელიც ქალთა და მამაკაცთა ენის სოციალურ ბუნებას უკავშირდება;
- ფსიქოლინგვისტური თეორიების შექმნა, რომლებშიც „ქალური“ და „მამაკაცური“ ენები ქალებისა და მამაკაცების ენობრივ ქცევათა თავისებურებებს უკავშირდება;
- გამოვლენილი მაჩვენებლების კოგნიტური ანალიზი, რომლის დროსაც მნიშვნელოვანია არა მხოლოდ სხვადასხვაობათა სიხშირის დადგენა, არამედ სამყაროს სურათის განსხვავებულ ასპექტებს შორის კავშირის გამოვლენა (ომიაძე, 2010:109-110).

ვიმოწმებ ბერეკაშვილის მიხედვით, სოციოლოგების: ჯ. როთმანის, შ. ბერნის, ს. ბემის, ს. ბასოვის და ა.შ. აზრით, დაბადების მომენტიდან და უფრო ადრეც, დაბადებამდე (Rottmann, 2007) იწყება ადამიანის გენდერული სოციალიზაცია. გენდერული სოციალიზაცია შეიძლება წარმოვიდგინოთ, როგორც გენდერული როლებისა და სტერეოტიპების აღქმის და მათი გათავისების პროცესი. „სოციალურ ფსიქოლოგიაში გამოიყენება ცნება დიფერენცირებული სოციალიზაცია, რომლითაც ხაზი ესმება იმას, რომ სოციალიზაციის პროცესში ქალები და მამაკაცები (გოგონები, ბიჭები) იმყოფებიან სრულიად განსხვავებულ სოციალურ-ფსიქოლოგიურ პირობებში“ (ბერეკაშვილი, 2012:16-17).

ვიმოწმებ, ბერეკაშვილის მიხედვით, გენდერული სტერეოტიპის ყველაზე განმაზოგადებელი განმარტება იანგერს ეკუთვნის: გენდერული სტერეოტიპი ესაა მასკულიზაციის და ფემინიზაციის სოციალურად ჩამოყალიბებული კატეგორიები, რომლებიც განმტკიცებულია სქესით, განსხვავებული როლებით, სტატუსებით და ქცევით. სტერეოტიპების არსებობას ხელს უწყობს ადამიანის მოთხოვნილება მოიქცეს სოციალურად მიღებული წესით და იგრძნოს, რომ არ ეწინააღმდეგება სოციალური გარემოცვის წარმოდგენებს (Basow, 1992).

გენდერულ სტერეოტიპებში განიხილავენ სამი სახის სტერეოტიპებს:

- 1) მასკულიზაცია-ფემინიზაციის სტერეოტიპები: წარმოდგენები თვისებების შესახებ;
- 2) წარმოდგენები ქალისა და მამაკაცისთვის დამახასიათებელი ქცევების შესახებ;
- 3) წარმოდგენები როლების, ფუნქციების და საქმიანობების შესახებ.

სტერეოტიპიზაციის შესახებ მრავალი ათეული ნაშრომი შეიქმნა ბოლო პერიოდში. მათგან ყველაზე დამუშავებული საკითხი სოციალიზაციის პროცესში ქალურობის (ფემინიზაციის) და მამაკაცურობის (მასკულიზაციის) შესახებ წარმოდგენათა ფორმირებას ეხება. ი. ბროვერმანისა და მისი კოლეგების აზრით, სტერეოტიპების შინაარსი ახლოსაა ამ კატეგორიებთან და დაიყვანება სითბოსა და ექსპრესიულობაზე ქალებში, ხოლო მამაკაცებში კომპეტენციასა და რაციონალურობაზე (ბერეკაშვილი, 2012:30-31).

მკვლევრებმა: მაკ-კიმ და შერიფსმა თავიანთ შემაჯამებელ ნაშრომში გამოიყვანეს ერთგვარი ინტრაკულტურული კონსტანტა გენდერული სტერეოტიპებისთვის (McKee, Sheriffs, 1957) ისინი ხასიათდება შემდეგნაირად: ტიპური მამაკაცური ფლობს ისეთ თვისებებს, რომლებიც დაკავშირებულია სოციალურად შეუზღუდავ სტილთან, კომპეტენციასთან, რაციონალურობასთან, აქტიუობასა და ეფექტურობასთან, ხოლო ტიპურად ქალური შეიცავს სოციალურ და კომუნიკაციურ უნარებს, სითბოს და ემოციურ მხარდაჭერას. ამასთან, აღნიშნავენ, რომ მასკულიზური თვისებები საყოველთაოდ უფრო ღირებულად ითვლება (Агеев, 1987).

ბაკანი თვლის, რომ მასკულიზური თვისებების კომპლექსი შეიძლება დახასიათდეს ტერმინებით - agency ანუ ძალა და აქტიურობა, ხოლო ქალური თვისებები, როგორც - Communion, ანუ ერთობა. ამ ფორმულირებებში მასკულიზაცია განსაზღვრულია, როგორც აქტიური, კონტროლირებული და ინსტრუმენტული მიდგომა, ხოლო ფემინური - როგორც უფრო რეაქტიული, ემოციური და გულითადი (Bakan, 1966), აშმორისა და დელბოკასთვის გენდერული სტერეოტიპების მათგან განსაზღვრული პრინციპი დომინანტობა-დაქვემდებარების და კონტროლის განზომილებანია (Ashmore, Delboca, 1979), სადაც მამაკაცი ასოცირდება დომინანტურსა და ძალაუფლების მქონესთან, ხოლო ქალი დამორჩილებულსა და

ძალის არმქონესთან. პრაქტიკულად, მამაკაცურობის სტერეოტიპში თავს იყრის აქტივობასთან, ძალაუფლებასა და რაციონალურობასთან ასოცირებული თვისებები: სიმტკიცე, თვითკონტროლი, შეჯიბრი, ორიგინალურობა, კრეატიულობა, რისკიანობა, ამბიციურობა, ლოგიკა, გადაწყვეტილებების მიღების უნარი, ჭკუა, ობიექტურობა. ქალის თვისებები წარმოდგენილია, როგორც საპირისპირო პოლუსზე მყოფი (Eagly & Shteffen, 1984). საკუთრივ პოლარიზაციაც გენდერული სტერეოტიპის ერთ-ერთი მახასიათებელია (Bem, 1994), ამიტომ ქალები დაშორებულნი არიან ზემოთ ჩამოთვლილ მამაკაცურ თვისებებს და მათი საპირისპირო მიეწერებათ: პასიურობა, დაურწმუნებლობა, ნორმების შესრულებაზე ზრუნვა, მორჩილება, დამოკიდებულება, უპასუხისმგებლობა, სისუსტე, არაობიექტურობა, არალოგიკურობა. კოგნიტურ სფეროში ყველაზე დადებით ქალურ მახასიათებლად ინტუიცია უნდა ჩავთვალოთ (Иванова, 2001). გენდერული სტერეოტიპების მახასიათებლები ზოგადად ნებისმიერი სხვა სტერეოტიპის მახასიათებლებს ემთხვევა. პირველ რიგში, გენდერული სტერეოტიპი ნორმატიულია – წარმოდგენები იმის შესახებ, თუ როგორი უნდა იყოს ნამდვილი ქალი ან მამაკაცი, როგორ უნდა იქცეოდეს, როგორ იცვამდეს და ა.შ. სოციალურად გაზიარებულია და რეალური ქალებიც და მამაკაცებიც ამას ანგარიშს უწევენ. სწორედ გენდერული სტერეოტიპები, როგორც იდენტობის ერთ-ერთი საყრდენი, იქცევა ადამიანის ქცევის მართვის უძლიერეს მექანიზმად (რიაზოვა, 2008). მეორე ძირითადი მახასიათებელი ისაა, რომ გენდერული სტერეოტიპები ემოციურად შეფერილია და შედარებითი ელემენტი ახლავს (უფრო განვითარებული, ნაკლებ განვითარებული, რაციონალური-ირაციონალური, სრულფასოვანი-არასრულფასოვანი, ძლიერი-სუსტი და ა.შ., სადაც ვიცით, რომ პირველი ყოველთვის უპირატესია მეორეზე ვიმოწმებ, ბერეკაშვილის მიხედვით (ბერეკაშვილი, 2012:32-33).

გენდერული სტერეოტიპის გამოყენება და კვლავწარმოება საზოგადოებაში ქალისა და მამაკაცის უთანასწორო და იერარქიულ დამოკიდებულებას ამართლებს და ასაზრდოებს. ეს ელემენტი აუცილებლად გასათვალისწინებელია მაშინ, როდესაც, მაგალითად, ქალებზე ფარული მექანიზმების გავლენა გაანალიზდება. შეფასებები, რომლებიც გენდერულ სტერეოტიპებში დევს: ქალის სისუსტე, პასიურობა, კაცის

გაბედულება, სიმტკიცე, ქალის ემოციურობა და კაცის თავშეკავება – ეს შეხედულებები ქალების შეზღუდვისა და ქალურობის დისკრედიტაციის ფაქტორებად გვევლინება. მათზე დაყრდნობით შესაძლებელია გარკვეული შედარებების და დასკვნების გაკეთება, რომლებიც საშუალებას მოგვცემს, გენდერული მახასიათებლების გამოყენებით ქალსა და მამაკაცზე არსებული წარმოდგენების თავისებურებები განვიხილოთ.

შეგვიძლია დავასკვნათ, რომ გენდერული კვლევების თანამედროვე მდგომარეობა აშკარა პოპულარულობით სარგებლობს ფსიქოლოგიასა და სოციოლოგიაში და მოითხოვს კვლევების გაღრმავება-სისტემატიზაციას ლინგვისტიკაში, ვინაიდან Homo Loquens-ი მამაკაცი და Homo Loquens-ი ქალი ხასიათებიან განსხვავებული სამეტყველო ქცევებით.

1.3. მეტყველებისა და სამეტყველო სტრატეგიის და ტაქტიკის გენდერული მახასიათებლები.

ენაში ქალისა და მამაკაცის თანასწორუფლებიანობის ფაქტებს ე.წ. ფემინისტური ლინგვისტიკა იკვლევს. მიჩნეულია, რომ სამყაროს სურათი მამაკაცის ხედვითაა დაფიქსირებული, ამიტომ ენა არა მარტო ანთროპოცენტრისტული, ე. ი. ადამიანზე ორიენტირებულია, არამედ ანდროცენტრული, ე. ი. მამაკაცზე ორიენტირებულიცაა (ქურდაძე, 2012:77).

საკითხი უფრო თვალსაჩინოა გრამატიკული სქესის მქონე ენებში (ინგლისური, რუსული ენები). ქართულ ენას არ აქვს გრამატიკული სქესი, ამიტომ ქართული ლიტერატურა და ფოლკლორი გენდერული ასიმეტრიის და, საერთოდ, გენდერული კუთხით კვლევისათვის მეტად სპეციფიკურ მიდგომას და მრავალი ფაქტორის გათვალისწინებას მოითხოვს.

ამერიკელმა ენათმეცნიერმა ადელაიდა ჰაასიმ (Adelaide Haas) შემოიღო ტერმინი **გენდერლექტი**, რომელიც ქალების ან მამაკაცების მეტყველებისათვის დამახასიათებელ ლექტს აღნიშნავს (1979 <http://www.nplg.gov.ge/gwdict/index.php?a=term&d=5&t=17158>).

სამოქალაქო ენციკლოპედიური ლექსიკონის მიხედვით, გენდერლექტი არის ქალური და მამაკაცური მეტყველების დამახასიათებელი ნიშან-თვისებების ერთობლიობა. დადგენილია, რომ ადამიანი სხვადასხვა სიტუაციაში სხვადასხვაგვარ სასაუბრო რეპერტუარს იყენებს. სახლში, ქუჩაში, სამსახურში, სტუმრად, ოფიციალურ მიღებაზე, ძველსა თუ ახალ სიტუაციაში ფუნქციონირებს საუბრის სხვადასხვა სტილი, რომელიც გენდერული ფაქტორებითაა განპირობებული. არსებობს აზრი, რომ ქალები უფრო ხშირად იყენებენ მეტყველებაში კნინობით სუფიქსებს, ზრდილობიან წინადადებებს, უფრო ხშირად მიმართავენ პარტნიორს სახელით, ვიდრე - მამაკაცები (<http://www.nplg.gov.ge/gwdict/index.php?a=term&d=6&t=3367>).

გენდერლექტის განსაზღვრა უკავშირდება ენის სოციალურ ვარიანტულობას. ენა კულტურის შემადგენელი ნაწილია, იგი ენობრივი ვარიაციების სახით არსებობს. ენობრივი ვარიანტულობა სოციალური ლინგვისტიკის ტრადიციული პრობლემაა. „ენის ვარიანტულობა არ გახლავთ ინდივიდის სამეტყველო აქტის ვარიანტი, არამედ იგი ენის გამოყენების საშუალება და ფორმაა, რომელიც განპირობებულია სოციალური კუთხით“ (Крючкова, 1991:44).

ვიმოწმებ, გობიანის მიხედვით, ქალური მეტყველებისათვის დამახასიათებელია ემოციური ექსპრესი-ულობა, ხშირი მობოდიშება, გულღიაობა, ქარაგმებისა და ირიბი გამოთქმების გამოყენება, გრამატიკულად გამართული მეტყველება, ტონალობების უფრო ფართო დიაპაზონი და მათი სწრაფი ცვლა, მაღალი ხმა, ძირითადი სიტყვების გამოყოფა, ხშირი ღიმილი, მაშინ როცა მამაკაცური მეტყველების დამახასიათებელი ნიშნებია: სურვილების პირდაპირი ფორმულირება, დაჟინებულობა, მომთხოვნელობა, საუბარში ინიციატივის აღების სურვილი, აგრესიულობა. ეს ნიშნები უკვე კარგად იკვეთება მოზარდობის პერიოდში. ქალები იყენებენ მეტი რაოდენობის კითხვით სიტყვებს, ვიდრე - მამაკაცები. განსხვავდება კითხვის დასმის მიზანიც. შეკითხვის დასმით ქალი ცდილობს წარმართოს საუბარი, მამაკაცი კი შეკითხვას ინფორმაციის მოპოვების მიზნით დასვამს (გობიანი, 2013:113-114).

ვიმოწმებ, გობიანის მიხედვით, გენდერი გავლენას ახდენს საუბრის ინტონაციურ საშუალებებზეც. გოგონების და ქალების მეტყველების მელოდიურობა უფრო ვარიაციულია, ვიდრე – ბიჭების და მამაკაცების. ქალების ენა უფრო კონსერვატიულია და ინარჩუნებს რეგიონალურ თავისებურებებს. მათს მეტყველებაში უკეთესად არის დაცული პროსოდია (ინტონაცია, მახვილი, სეგმენტაცია, პაუზა) (Троицкая, 2000:1).

გენდერული აქტუალიზატორების გამოყენება (ინტონაციური, ლექსიკური, გრამატიკული, სტილისტიკური) ორივე სქესს ახასიათებს, მაგრამ მათი გამოყენების სპეციფიკა სხვადასხვაა:

1. მამაკაცი აქტუალიზატორებს უფრო მეტად იყენებენ ახალგაზრდებთან საუბარში ან სტატუსით უფრო დაბალ და, მათი აზრით, ნაკლებად მოაზროვნე მოსაუბრეებთან, მაგალითად:
 - ქალი: „მაქვს თუ არა დასვენების უფლება?!“
 - მამაკაცი: „მერე შენ საქმეს მე გავაკეთებ, ჰო?“
2. აქტუალიზატორების გამოყენებით მამაკაცი ცდილობს ხაზი გაუსვას მოსაუბრისადმი თავის დამოკიდებულებას ან მიიღოს დასმულ კითხვაზე მისთვის სასურველი პასუხი;
3. ქალები აქტუალიზატორებს პარტნიორული საუბრის წარმართვისთვის იყენებენ. როცა ორი ქალი საუბრობს, ერთი ადრესანტია, მეორე – ადრესატი. ადრესანტი აქტუალიზატორების და რეპლიკების საშუალებით ამოწმებს, დაკარგა თუ არა ადრესატმა თხრობისადმი ინტერესი. ადრესატი იძლევა ინფორმაციას, რომ მზადაა ჩაერთოს საუბარში და გამოთქვას თავისი აზრი. მაგალითად,
 - A- მრცხვენია, რამდენი ხანია მას ვერ დავურეკე. არ შემიძლო, ხომ იცი, რომ ავად ვიყავი. ჩემი ქმარი არაფერს ჯავრობს, ზის 24 საათი თავის სამსახურში, მე შენ გეტყვი და, ხელფასი აქვს დიდი, მამაშენის არ იყოს.
 - B: ოჰ, ხელფასი მართლა მცირეა.
 - A: ცოტა თანხა გავუგზავნე, უკმაყოფილო დარჩებოდა, ვითომ?
 - B: არ ვიცი. არა მგონია (Троицкая, 2000:5).

4. ქალთა მეტყველებას ახასიათებს ყურადღების გამომხატველი ელემენტარული სიგნალები, მინიმალური რეაქციები. მაგ: აუ, ჰე, აჰა, ა, უჰ, ოჰ; ან თავის დაქნევა, თავის გაქნევა, ხელის მოძრაობა. ეს მინიმალური რეაქციები დიალოგის მხარდამჭერი ელემენტებია. თუ მსმენელისგან მინიმალური რეაქცია იგვიანებს, ე.ი. მისთვის საუბრის თემა უინტერესოა.
5. აქტუალიზატორების გამოყენებით მამაკაცი ცდილობს, ხაზი გაუსვას მოსაუბრისადმი თავის დამოკიდებულებას (უმეტესად ირონიულ დამოკიდებულებას) ან მიიღოს დასმულ კითხვაზე მისთვის სასურველი პასუხი, მაგალითად:
 - მამაკაცი: „12 საათზე გვიანი იქნება, ხო?
 - ქალი: „ხო, გვიანია“ .

არსებობს სიტუაციით და სუბკულტურით განპირობებული პრესტიჟის განსხვავებული ფორმები. ქალებში ხშირია სიტუაციით გამოწვეული ენობრივი კოდის ცვლა. ყოველი ადამიანი ფლობს სტილურ საშუალებებს და სიტუაციის მიხედვით ირჩევს ოფიციალურ და არაოფიციალურ სტილს. არასტანდარტულ, არაოფიციალურ პრესტიჟულ ფორმებს უფრო ხშირად მამაკაცები იყენებენ.

პრესტიჟული ენობრივი ფორმებისადმი ქალთა მაღალი მგრძნობელობა სოფლებში მცხოვრებ ქალებში იკლებს. აქ შეიმჩნევა კონსერვატორული დიალექტური საუბრის მანერა. სტანდარტული ენობრივი ფორმებისაკენ მიდრეკილება უფრო ძლიერია ქალაქელ ქალებში. არსებული მასალებით დასტურდება, რომ ყველა ფენის ქალი უფრო დიდი რაოდენობით იყენებს პრესტიჟულ ენობრივ ფორმებს, ვიდრე მამაკაცები (გობიანი, 2013:108).

ტელეფონზე საუბრისას ქალი ყველაფერზე ლაპარაკობს. თემები შემდეგია: მამაკაცები, ჭორები, საკუთარი თავი, განწყობა, ფასები ბაზარსა და მაღაზიაში, მომსახურეობის ახალი სფეროები, სამსახური, შვილები და ა.შ. ტელეფონზე საუბრისას მამაკაცი კონკრეტულ თემებზე ლაპარაკობს. საუბრის დროს თემა არა მხოლოდ შინაარსობრივად, არამედ ემოციურადაც განვითარდება. ქალები საუბრის მხარდამჭერი რეაქციების მეტ რაოდენობას იყენებენ და ემოციურობა მათი მეტყველების ძირითადი მახასიათებელია. აქედან გამომდინარე, თემის

განვითარებაში ქალები უფრო აქტიური არიან, ხოლო სასაუბრო თემის არჩევაში მამაკაცებს აქვთ პრიორიტეტი. საზოგადოებაში მიღებულია აზრი, რომ ქალებს კომპლიმენტების მოსმენა უყვართ. აღმოჩნდა, რომ არც მამაკაცია გულგრილი ქათინაურების მიმართ. არსებობს განმასხვავებელი ნიუანსიც: ქალისათვის არ არის მნიშვნელოვანი, კომპლიმენტი შეესაბამება თუ არა რეალობას. მათთვის მთავარია შექება, გარშემომყოფთა ყურადღება, თავაზიანობა. მამაკაცებისათვის კომპლიმენტი არის მისი ღირსების გულწრფელი აღიარება, მისი უპირატესობის დადასტურება, მისი უნიკალურობის დამტკიცება.

ქალთა მეტყველება მეტი რაოდენობის არსებითსა და ზედსართავ სახელებს შეიცავს, მამაკაცებისა – ზმნებს. ქალები ხშირად იყენებენ კონკრეტულ არსებით სახელებს, მამაკაცები – აბსტრაქტულს. მამაკაცები სარგებლობენ აქტიური გვარის ზმნებით, ქალები – პასიურით (Крючкова, 1991:45).

ქალებისთვის დამახასიათებელია სინონიმური გამეორებები, რაც მათ ტავტოლოგიისაგან თავის არიდების საშუალებას აძლევს. მამაკაცები აზრის გამოსახატავად ხშირად იმეორებენ ერთსა და იმავე სიტყვას.

მაგალითად:

ქალი – „დამქანცა სახლმა, დამღალა სამსახურმა!“

მამაკაცი – „დავიღალე, გაიგე, დავიღალე!“

მამაკაცი მოვლენასა თუ საგანს ზუსტად ასახელებს. ქალის თვისებაა, არ დაასახელოს ისინი პირდაპირ, ამიტომ ხშირია მათთან პერიფრაზები, ევფემიზმები. მამაკაცი იყენებს მეტი რაოდენობის ჰიპერბოლებს. ამის მიზეზია მამაკაცთა სურვილი, რაც შეიძლება გააფართოონ საუბრის არეალი. ისინი ენასა და მეტყველებაშიც კი არ თმობენ დომინანტურ პოზიციას, რადგან, როგორც ამბობენ: „ვინც ენას ფლობს, ფლობს ძალაუფლებას. საუბრის დროს დომინანტური პოზიციის შესანარჩუნებლად მამაკაცები იყენებენ გარკვეულ კომუნიკაციურ სტრატეგიებს. მაგალითად: დასმულ კითხვაზე ისინი არ იძლევიან საპასუხო რეაქციას, ცდილობენ მოსაუბრეს გააწყვეტინონ საუბარი ან პირიქით, დუმილს ინარჩუნებენ და ა.შ.“ ვიმოწმებ, გობიანის მიხედვით, (გობიანი, 2013:119-120).

ენისა და გენდერის შესწავლა სოციოლინგვისტიკის ქვედარგია, რომელიც გენდერულ სხვაობასთან თავს იჩენს მეტყველებაში, ლექსიკასა და გრამატიკაში, ასევე ქალისა და მამაკაცის მეტყველების ურთიერთქმედების მაგალითებში. შესაბამისად, სქესი ენაში საინტერესო საკვლევი საკითხია.

ფონეტიკაში ქალთა ენის მახასიათებლები ძირითადად გამოხატულია წარმოთქმაში, ხმის ტემბრსა და ტონალობაში. წარმოთქმისას ქალები ცდილობენ უფრო კორექტულად და სტანდარტულად ისაუბრონ, მამაკაცებთან შედარებით.

ქალისა და მამაკაცის მეტყველებას შორის არსებული განსხვავებები დამოკიდებულია ენის სხვადასხვა სფეროზე: ფონეტიკაზე, ფონოლოგიასა და ლექსიკაზე. სწორედ ქალისა და მამაკაცის განსხვავებულ მეტყველებას მიეძღვნა დიდი რაოდენობით ლინგვისტური კვლევები.

ნ. ბელაია სტატიაში „გენდერული განსხვავებების გამოვლენის შესახებ ენაში“, წერს, რომ „ქალები უფრო მეტად, ვიდრე მამაკაცები არიან დიალოგის წარმართვის ინიციატორები, სწორედ ქალებს ეკუთვნით პირველი რეპლიკები. ქალები, როგორც წესი, დიალოგს იწყებენ ეტიკეტის დაცვით, რომლის მიზანია არა პირდაპირ გამოხატოს თავისი მოსაზრება, არამედ დაამყაროს ემოციური კავშირი მოსაუბრესთან. უმეტეს შემთხვევაში, პირველი რეპლიკა, რომელსაც ქალი აკეთებს, არის კითხვის დასმა. კითხვითი ინტონაცია რეფლექსურ დონეზე აიძულებს მამაკაცს გასცეს პასუხი და ამით თავი დააღწიოს შიდა დიალოგს. თავიანთ უთანხმოებას ქალები გამოხატავენ დუმილით და არა სიტყვიერი პროტესტით. ამ თვალსაზრისით „ქალური“ ლექსიკონის მასშტაბები შედარებით მცირეა. ქალები სარგებლობენ ძირითადი ლექსიკური ერთეულებით, ანუ ისეთი ლექსიკური ერთეულებით, რომლებიც ხშირად გამოიყენება. მაშინ, როცა მამაკაცები უფრო ხშირად იყენებენ ნეოლოგიზმებს, სიტყვების პროფესიულ და არქაულ ფორმებს. ისინი უფრო ხშირად იყენებენ გავრცელებულ სიტყვებსა და ფრაზებს. ქალები თავიანთი დიალოგის განვითარებისთვის არ აღიარებენ ელემენტარულ სამეტყველო ენას და ცდილობენ გამოიყენონ ქვეტექსტები, მაშინაც კი, თუ ისინი არ არსებობს. მამაკაცებისთვის ყველა კომუნიკაციური ურთიერთობისას მთავარია არა მიზანი, არამედ კომუნიკაციაში წამოჭრილი პრობლემების გადაჭრა“ (ბელაია, 2009:98-99).

თანამედროვე კომუნიკაციური სივრცე საკმაოდ რთულ სისტემას წარმოადგენს. მასში ერთ-ერთი ძირითადი ადგილი უჭირავთ კომუნიკაციის მონაწილეებს. ამა თუ იმ სიტუაციასა და გარემოებაში ადამიანი განსხვავებულად იქცევა. ადამიანთა ურთიერთობა ისეთივე უსაზღვრო და მრავალგვარია, როგორც თვით ადამიანთა საზოგადოება.

პიროვნებათშორისი კომუნიკაცია ნიშნავს ინფორმაციის გაცვლას და მის ინტერპრეტაციას ორი ან მეტი ინდივიდის მიერ, რომლებიც ეკონტაქტებიან ერთმანეთს. აღნიშნული საკითხი მთავარ როლს თამაშობს ადამიანის სოციალიზაციაში. გენდერული კვლევები უდავოდ მნიშვნელოვანია კომუნიკაციური თვალსაზრისით, სადაც თავს იჩენს გენდერის ენისა და მეტყველების თავისებურებანი (Кирилина, 1999: 35).

ენათმეცნიერ რ. ლაკოფის თვალსაზრისით, ქალებსა და მამაკაცებს სხვადასხვა სამეტყველო სტილი აქვთ. არსებობს ფონეტიკური, რიტმული, ინტონაციური, მორფოლოგიური და ლექსიკური სტილი. ფაქტობრივად, ყველა დონეზე არსებობს გენდერული სამეტყველო ფორმები. ქალებს შეუძლიათ ისაუბრონ მეტად ან ნაკლებად, ლამაზად ან უბრალოდ ვიდრე – მამაკაცებს. ქალები არ წარმოთქვამენ დაბოლოებებს, კაცები დინჯები არიან. ქალები განსაკუთრებული ინტონაციით საუბრობენ. ისინი ხშირად გადადიან ერთი თემიდან მეორეზე, აწყვეტინებენ მოსაუბრეს საუბარს და მიმართავენ მას (Lakoff, 1975:26).

როგორც რ. ლაკოფი აღნიშნავს, ქალის და მამაკაცის მეტყველების სტილის თავისებურება ვლინდება სხვადასხვა დონეზე, რომელთა შორის განსხვავებების არსებობა გვაძლევს ვერბალური ქცევების გენდერულ თავისებურებას, მაგალითად:

მამაკაცის წერითი მეტყველების თავისებურებანია:

1. არმიისა და ციხის ჟარგონების გამოყენება;
2. ეტიკეტური ხასიათის, განსაკუთრებით კონსტატაციური სიტყვების ხშირი გამოყენება, როგორებიცაა: აშკარად, უდავოა, რა თქმა უნდა;
3. აბსტრაქტული არსებითი სახელების დიდი რაოდენობით გამოყენება;

4. ემოციური მდგომარეობის გამოხატვა ან საგნისა თუ მოვლენის შეფასების ან ყველაზე დაბალი ემოციური ინდექსაცია, ერთფეროვანი ლექსიკური ნიშნების გამოყენება ემოციის გამოხატვის დროს;
5. ოფიციალური და ემოციურად მარკირებული ლექსიკის კომბინაციის გამოყენება ნათესავებისა და ახლობელი ხალხის მიმართ;
6. ჟურნალ-გაზეთების კლიშეების გამოყენება;
7. უცენზურო სიტყვების გამოყენება;
8. შეუსაბამო პუნქტუაციის ნიშნების გამოყენება ემოციური გამოსვლის დროს.

ქალის წერითი მეტყველების თავისებურებანია:

1. ბევრი გაცნობითი (გაცნობითი ხასიათის ან ფუნქციის) სიტყვის (მაგალითად: სიმართლე გითხრათ, იქნებ, სხვათა შორის და ა.შ.), ასევე მოდალური ვარაუდის გამომხატველი ნაწილაკების (ალბათ, როგორც ჩანს, ჩემი აზრით) გამოყენება;
2. „პრესტიჟული,“ სტილისტიკურად მოტივირებული ფორმების, კლიშეების, წიგნის ლექსიკის გამოყენების (გამოსცადა სიძულვილის გრძნობა და სწრაფი, მწვავე საუბარი, მოზარდების სილუეტი) ტენდენცია;
3. კონოტაციურად ნეიტრალური სიტყვებისა და გამონათქვამების, ევფემიზმების (ნასვამ მდგომარეობაში მყოფი ნაცვლად მთვრალისა) გამოყენება;
4. შემფასებლური განცხადებების გამოყენება (ნაბიჭვარი, ნაგავი), დეიქტიური ლექსემების გამოყენება ნაცვლად პირის დასახელებისა;
5. მაღალფარდოვანი მეტყველება გრძნობების აღწერისას (იქვე, 1975).

იმისათვის, რომ გვეჩვენებინა მამაკაცისა და ქალის წერითს მეტყველებაში განსხვავებები, ჩვენ ერთ-ერთ სამთავრობო დაწესებულებიდან გამოვითხოვეთ ქალებისა და მამაკაცების მიერ დაწერილი განცხადებები. ავიღეთ 20 განცხადება, რომელთაგან ათი ქალის, ხოლო ათი კაცის მიერ არის შესრულებული. შედარებითი ანალიზისას გამოიკვეთა შემდეგი განსხვავებები და მსგავსებები:

განცხადების ტექსტი ორივე შემთხვევაში (ქალის/კაცი) მიერ გამართული და გაუმართავია სტილისტიკურად, ამათგან თერთმეტი ხელნაწერია. კალიგრაფიას თუ

შევადარებთ, ვნახავთ, რომ თერთმეტი ხელნაწერი განცხადებიდან ოთხი გახლავთ კაცის მიერ შესრულებული, ხოლო დანარჩენი შვიდი ქალის ნაწერია.

სტილისტიკურად გამართული სამი განცხადებიდან ორი ქალის მიერაა დაწერილი. აქვე ისიც გვინდა დავამატოთ, რომ ოცი განცხადებიდან ცხრა გვაქვს ნაბეჭდი და ამ ცხრიდან მხოლოდ ორია ქალის მიერ შესრულებული, დანარჩენი კაცის მიერ არის დაწერილი. ვინაიდან აღნიშნული განცხადებები ჩვენ გამოვითხოვეთ სამთავრობო დაწესებულებიდან, ყველა მათგანის შინაარსი ერთი აზრის, თხოვნის მატარებელია, ტრაფარეტულია.

ქალები თხოვნას გამოხატავენ შემდეგნაირად:

- „გთხოვთ თქვენი კომპეტენციის ფარგლებში გაგვიწიოთ დახმარება...“,
- „იმედი მაქვს თქვენი გულისხმიერების, რომ გულთან ახლოს მიიტანთ ჩემს გაჭირვებას და გამიწევთ სათანადო დახმარებას“..,
- „წინასწარ გიხდით მადლობას“- 3 -ჯერ.
- „ გთხოვთ, გულთან მიიტანოთ ჩემი თხოვნა“.
- „გთხოვთ, მომცეთ ნორმალური საცხოვრებელი ბინა“,
- „... გთხოვთ დაგვეხმაროთ“.
- „... ჩემი საცხოვრებელი პირობები არის გაუსაძლისი, რისთვისაც გთხოვთ დახმარებას“,
- „...გთხოვთ დამეხმაროთ საცხოვრებელი ფართით“..,
- „...მაქვს თქვენი ყურადღების იმედი, გთხოვთ, შემეხმიანოთ“..,
- „... გთხოვთ, გვიშუამდგომლოთ მთავრობასთან“...

შევადაროთ მამაკაცის მიერ გამოხატული თხოვნის მაგალითები:

- „... გთხოვთ, მიშუამდგომლოთ ჯანდაცვის სამინისტროსთან..“,
- „...გთხოვთ, დამეხმაროთ უძრავი ქონების დაკანონებისათვის“..,
- „გთხოვთ, გამიწიოთ ერთჯერადი დახმარება...“,

- „იმედი მაქვს, ჩემს მოთხოვნას გაითვალისწინებთ და დააკმაყოფილებთ განცხადებას“,
- „... გთხოვთ, გამიწიოთ შუამდგომლობა“...,
- „ გთხოვთ, გვიშუამდგომლოთ ბრალდებულის მხარესთან...“,
- „... გთხოვთ, სათანადო რეაგირებას...“,
- „ გთხოვთ, დამეხმაროთ, რომ წავიდე ხარკოვში სამკურნალოდ“...,
- „გთხოვთ, დაგვეხმაროთ პრობლემის მოგვარებაში“,
- „გთხოვთ, თქვენი კომპეტენციის ფარგლებში დამეხმაროთ დარღვეული უფლების აღდგენაში“;
- „ძალიან გთხოვთ, კიდევ ერთხელ შეახსენოთ მთავრობას ჩემი გაჭირვება“.

აქედან შეიძლება დავასკვნათ, რომ ქალების მიერ შესრულებული განცხადებები უფრო ემოციურია და თავაზიანი, მაშინ როცა მამაკაცების მიერ დაწერილი განცხადებები შედარებით უფრო კატეგორიულია და ამასთან კონკრეტული საკითხის შესრულების მოთხოვნას გულისხმობს. განცხადებებში გადმოცემული შინაარსი უმეტესად გარკვევით და აზრიანად არის გადმოცემული, ქალების მიერ შესრულებულ განცხადებებში კი, პირიქით, ვხვდებით გაუგებრად გადმოცემულ აზრს. შესადარებლად წარმოგიდგინთ როგორც ქალის, ისე მამაკაცის მიერ დაწერილ ერთ განცხადებებს. მაგალითად:

„ბატონო ცოტნე! მოგმართავთ თხოვნით დასაქმებასთან დაკავშირებით. ვარ ცხრამეტი წლის. ჩემი მცდელობით ვმუშაობდი არასტაბილურად სხვადასხვა ადგილას. ამიტომ დღემდე ვრჩები სამსახურის მაძიებლად. გთხოვთ დახმარებას და შუამდგომლობას შესაბამის სამსახურებთან დასაქმებისთვის.“- ავტორი ქალი.

მოცემული ტექსტიდან ნათლად ჩანს, რომ ქალბატონი ითხოვს დასაქმებას, სად ჰქონდა ნამუშევარი, ან რა გამოცდილება აქვს ან კიდევ სად უნდა დასაქმება, სრულიად გაუგებარია ჩვენთვის.

განვიხილოთ შემდეგი მაგალითი:

„2016 წლის ნოემბრიდან გაურკვეველი მიზეზის გამო მომიხსნეს სოციალური დახმარება, გთხოვთ გამიწიოთ შუამდგომლობა ერთ-ერთი რაიონის სოციალური სააგენტოს ხელმძღვანელობასთან, რათა აღმიდგინონ დახმარება“. - ავტორი კაცი

მოცემულ განცხადებაში სრულიად გასაგებად არის აღწერილი, თუ რას მოითხოვს ბატონი კონკრეტულად.

შედარებითი ანალიზით შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ქალების წერითი მეტყველება ხასიათდება ბუნდოვნებით, სენტიმენტალურობით, მზრუნველობით და ექსპრესიულობით, მაშინ როცა მამაკაცების წერითი მეტყველება ხასიათდება ლოგიკურობით, არგუმენტული მოთხოვნით, კატეგორიულობითა და იმპერატიულობით.

საინტერესოა ასევე გენდერული კომუნიკაციის კვლევა. გენდერული თავისებურებანი სხვადასხვა ენაში განსხვავებულია. კერძოდ, მამაკაცისა და ქალის სქესის მიხედვით სხვაობა, რომელიც ხშირად შესამჩნევია ფონეტიკასა და მორფოლოგიაში. როცა ევროპელები კარიბის კუნძულებზე პირველად აღმოჩნდნენ, ნახეს, რომ ქალები და მამაკაცები განსხვავებულად საუბრობდნენ. მაგალითად:

„the men have a great many expressions peculiar to them, which the women understand but never pronounce themselves. On the other hand, the women have words and phrases which the men never use, or they would be laughed to scorn. Thus it happens that in their conversations it often seems as if the women had another language than the men.... The savage natives of Dominica say that the reason for this is that when the Caribs came to occupy the islands these were inhabited by an Arawak tribe which they exterminated completely, with the exception of the women, whom they married in order to populate the country. Now, these women kept their own language and taught it to their daughters.... But though the boys understand the speech of their mothers and sisters, they nevertheless follow their fathers and brothers“ (Jespersen, 1922:238).

„მამაკაცებს აქვთ ბევრი მათთვის განკუთვნილი გამონათქვამები, რომლების მნიშვნელობასაც ქალები იგებენ, თუმცა არასდროს წარმოთქვამენ. მეორეს მხრივ, ქალები იყენებენ ისეთ სიტყვებს და ფრაზებს, რომლებსაც მამაკაცები არასდროს წარმოთქვამენ, ან გამოყენების შემთხვევაში მათ დასცინებენ. ამგვარად, ქალებისა და მამაკაცების სამეტყველო თავისებურებებიდან ჩანს, რომ ქალების ენა განსხვავდება მამაკაცების ენისაგან. დომინიკის მკვიდრნი ამ გარემოებას იმ ფაქტით ხსნიან, რომ როცა კარიბელები მოვიდნენ ამ კუნძულების დასაპყრობად, მათ ყველა არავაკის

მკვიდრი ტომები გაანადგურეს, გარდა იმ ქალებისა, რომლებზეც იქორწინეს ქვეყნის გამრავლების მიზნით. ახლა ეს ქალები საკუთარ ენას ინახავენ და ასწავლიან თავიანთ ქალიშვილებს... მართალია, ბიჭები დედისა და დების მეტყველებას ხვდებიან, მაგრამ ისინი მაინც თავიანთი მამებისა და ძმების მეტყველების მიმდევრები არიან“(Jespersen, 1922:238).

გენდერული მეტყველების კვლევისას საინტერესოა ასევე, როგორი დამოკიდებულება აქვთ ქალებსა და მამაკაცებს თავიანთი პროფესიული ავტორიტეტის მიმართ და როგორ ვლინდება ის ვერბალურ ქცევებში. კლასიკური განმარტებით სოციალური როლი უკავშირდება ურთიერთობის ისეთ სოციალურ სიტუაციებს, რომელშიც რეგულარულად მეორდება ქცევის გარკვეული სტერეოტიპები. დაკვირვება ჩაატარეს ერთნაირი სტატუსის მქონე ქალებისა და მამაკაცების მეტყველებაზე (მაგ. ექიმებზე ან პროფესორ-მასწავლებლებზე) რათა დაედგინათ, განსაზღვრავს თუ არა სქესი და სტატუსი მათ განსხვავებულ ვერბალურ ქცევებს. აღმოჩნდა, რომ ამ პროფესიის ადამიანთა მეტყველებისთვის დირექტივების (დირექტივა – მითითება) გამოყენება ტიპურია (ექიმ-პაციენტის, პროფესორ-სტუდენტის ინტერაქცია) (Goodwin,1980:157).

ვაჯამებთ რა გენდეროლოგების ლინგვისტურ კვლევას, ვემხრობით რ. კონელის აზრს და გამოვყოფთ სამ მიმართულებას:

1. სოციოლინგვისტური გენდერული კვლევის მიმართულება, რომელიც მიზნად ისახავს ქალისა და მამაკაცის კომუნიკაციური ქცევის შესწავლას. მოცემული მიმართულების მიზანია ქალისა და მამაკაცის კომუნიკაციური ქცევის მოდელირება;
2. ფსიქოლინგვისტური გენდერული კვლევა, რომელიც განსაზღვრავს ასოციაციურ კავშირს „მამრობითობისა“ და „მდედრობითობის“ ცნობიერებას შორის და კავშირშია გენდერული კონცეპტოსფეროს პერსპექტიულ მოდელირებასთან;
3. ლინგვოკულტუროლოგიური გენდერული მიმდინარეობა, რომელიც ყურადღებას ამახვილებს წარმოდგენილი ენის აგების შესწავლაზე და თავის მხრივ უკავშირდება მამაკაცებსა და ქალებს.

თანამედროვე სოციოლინგვისტიკაში გენდერული კვლევები ზოგადად ამ ჰიპოთეზებს ეყრდნობა, თუმცა ჩნდება კითხვები: ავითარებს თუ არა ყველა ბიოლოგიური მდედრი/მამრი საკუთარ თავში მდედრობითი/მამრობითი გენდერის დამახასიათებელ თვისებებს? როგორ უნდა ავხსნათ მათ შორის არსებული განსხვავებები? – ამ კითხვებზე პასუხის გასაცემად მართებულად მიგვაჩნია მოსაზრება, რომ მდედრობითი და მამრობითი სინამდვილის აღქმისა და განცდის ორი სხვადასხვა გზაა. ისინი ცვლადი ფენომენებია და მათი ვარიაციულობა და მრავალფეროვნება გარემოზეა დამოკიდებული (Connel, 1993:23).

ამდენად, გენდერული კვლევის პრობლემატიკის მასშტაბების გაფართოება სოციალურ მეცნიერებაში ბოლო პერიოდში ნათელია, უკვე დასრულდა ამ მიმართულების საწყისი ეტაპი ენათმეცნიერებაშიც. ლინგვისტური გენდეროლოგია უკვე გაფორმდა, როგორც ენათმეცნიერული მიმართულება, რომელიც იკვლევს ენისა და კომუნიკაციის გენდერულ ასპექტებს. ჩამოყალიბდა გენდერული კვლევების მეთოდოლოგიური და თეორიული ბაზა, რომელმაც სოციალურ მეცნიერებაში მიიღო კონკრეტული დისციპლინური მიმართულება.

ჩვენ მიერ განხილული სამეცნიერო კვლევების შეჯერებით ვასკვნით, რომ გენდერული კვლევა ენათმეცნიერებაში ეხება ორ ძალზე მნიშვნელოვან საკითხს. ესენია:

1) ენა და მასში გამოხატული სქესი. ასეთი მიდგომის მიზანი იმის ახსნა და აღწერაა, თუ როგორ ვლინდება ენაში სხვადასხვა სქესის ადამიანის არსებობა (პირველ რიგში განიხილება სახელობითი სისტემა, ლექსიკა, სინტაქსი, სქესის კატეგორია), როგორი შეფასებები მიეკუთვნება ქალისა და მამაკაცის ენას და რომელ სემანტიკურ სფეროებში არის გამოხატული ისინი;

2) მეტყველება და ქალისა და მამაკაცის კომუნიკაციური ქცევის გამოხატვა, სადაც გამოიკვეთება ტიპური სამეტყველო სტრატეგიები და ტაქტიკა, ლექსიკური ერთეულების გენდერულად სპეციფიკური არჩევანი, კომუნიკაციური წარმატების მიღწევის საშუალებები, ლექსიკური ერთეულების შერჩევის უპირატესობა, სინტაქსური კონსტრუქციები, რომლებიც ქალისა და მამაკაცის სამეტყველო თავისებურებებში იჩენს თავს.

თავი II

ვერბალური კომუნიკაციის გენდერული ფაქტორები

მთარგმნელობით ასპექტში

2.1. ქალისა და მამაკაცის მეტყველების განმაპირობებელი გენდერული ფაქტორები

კომუნიკაციური სივრცე წარმოადგენს საკმაოდ რთულ სისტემას, რომელშიც ერთ-ერთი ძირითადი ადგილი უკავიათ კომუნიკაციის მონაწილეებს. ამა თუ იმ სიტუაციასა და გარემოში ადამიანი განსხვავებულად იქცევა. გენდერის ენობრივი ასპექტი, როგორც ვ. კ. ნეროზნაკი აღნიშნავს, გულისხმობს ტექსტის თავისებურებების შესწავლას. იგი ხაზს უსვამს მხატვრული ტექსტების პარამეტრების შესწავლის აუცილებლობას „გენდერულ განზომილებაში“. (Нерознак, 1999:70), გენდერული „მეს“ რეკონსტრუქციას ტექსტში, ასევე „გენდერული ენობრივი პიროვნების სამეტყველო პორტრეტის შექმნას“.

ქალისა და მამაკაცის კომუნიკაციური სტრატეგიის შესწავლისას, პირველ რიგში, ვლინდება სამეტყველო სტილის, განათლებისა და კომუნიკაციების სოციალური დიფერენციაცია. შესაბამისად, ფსიქოლოგების, სოციოლოგების და ლინგვისტების უმრავლესობის მოსაზრებებით, კომუნიკაციურ სტრატეგიებში გენდერული განსხვავებები თავს იჩენს ჯერ კიდევ ბავშვობაში. მამაკაცები და ქალები თავდაპირველად იძენენ ორ განსხვავებულ, ბიჭებისა და გოგონების სამყაროს. ასაკის მატებასთან ერთად ისინი ასრულებენ საზოგადოების გარკვეულ მოთხოვნებს და გამოიმუშავენ ქალებისა და მამაკაცებისთვის დამახასიათებელ სტერეოტიპებსა და ქცევის ნორმებს. შეიძლება ითქვას, რომ ეს საშუალებას აძლევს ქალს თავისი რეაქციის გამოვლენისას იყოს უფრო პირდაპირი, რის შედეგადაც მისი მეტყველებისა და ქცევისათვის დამახასიათებელი გახდა თავშეუკავებლობა, ემოციურობა და სენტიმენტალურობა. მამაკაცის მეტყველების ქცევისათვის დამახასიათებელია თავის შეკავება ემოციებისა და გრძნობების გამოხატვისგან, რაც ქმნის მისი, როგორც შეუვალის, პორტრეტს. ქალური მეტყველება, მამაკაცის მეტყველებასთან შედარებით, უფრო ემოციური და გაზვიადებულია. მამაკაცის მეტყველების მიზანია, მიაღწიოს დამოუკიდებლობას და შეინარჩუნოს ისიც და მაღალი სტატუსიც. ქალები ხშირ

შემთხვევაში საუბრობენ კონტაქტის დამყარებისთვის, მამაკაცები კი გამოსავლის პოვნის მიზნით.

გენდერის ფაქტორის გავლენის დადგენა კომუნიკაციაზე ლინგვისტურ კვლევებში აქტუალურია. ასევე საინტერესოა გენდერის ხვედრითი წილის განსაზღვრა სხვადასხვა კულტურაში და გენდერული სამეტყველო ქცევის ტაქტიკის შესწავლა.

თანამედროვე მეცნიერებაში სქესი განიხილება, არა როგორც ბიოლოგიური საწყისი, არანედ როგორც მრავალკომპონენტური სოციოკულტურული ფენომენი, რომელიც ანტროპოცენტრიზმის ზოგად ტენდენციებსა და ჰუმანიტარული მეცნიერების სხვადასხვა სფეროში ინტეგრაციისას იჩენს თავს. ტერმინი „გენდერი“ ენათმეცნიერებაში დაინერგა, რათა ყურადღება გამახვილებინათ სქესზე, როგორც სოციალური კომპონენტის მქონე კონცეპტზე, რომელიც ფიქსირებულია რა კულტურულ ტრადიციებსა და სტერეოტიპებში, თავს იჩენს პიროვნების თვითიდენტიფიკაციისას საქმიანობის სხვადასხვა სფეროში.

საინტერესოა რუსი ენათმეცნიერის ი. ხალეევას მოსაზრება, რომელიც განიხილავს გენდერის კატეგორიას ლინგვოფილოსოფიურ ასპექტში. გენდერიზმთან, როგორც რეალობასთან, მიდგომა საშუალებას გვაძლევს, განვსაზღვროთ გენდერის, როგორც ერთგვარი ინტერდისციპლინური ინტრიგის, როლი.

გენდერის ცნება, ი. ხალეევას აზრით, უკავშირდება დისკურსის ცნებას. „დისკურსი არის ენა ენაში“, თუმცა იგი წარმოდგენილია კონკრეტულ სოციალურ სინამდვილეში...„ დისკურსი არსებობს და გამოიხატება ტექსტებში, რომლების მიღმაც დგას სპეციალური გრამატიკა, ლექსიკა, სინტაქსის გამოყენება, სემანტიკა, საერთო ჯამში - განსაკუთრებული სამყარო“. ამ გზით, როგორც მეცნიერი ი. ხალეევა აღნიშნავს, რომ გენდერის ინტერდისციპლინური პარადიგმა შეიძლება განისაზღვროს, როგორც განათლების ერთგვარი ტიპი, ან შედარებით განსხვავებული განზომილება, გენდერული დისკუსიის შედარებითი ტიპოლოგია, როგორც ტრადიციული კულტურის მქონე თანდაყოლილი ბუნება“ (Халеева, 1999:11).

თანამედროვე ენათმეცნიერების პრაგმატიკის სიღრმეში ინტერესი გაიზარდა გენდერული იდენტობის პარამეტრების მიმართ. გენდეროლოგების მოსაზრებით, აღნიშნული ინტერესი გამოიწვია სამეცნიერო პარადიგმის ცვლილებამ (გადასვლა სტრუქტურალიზმიდან პრაგმატიკაზე), ასევე სოციალურმა ცვლილებამ (Кирилина, 1997:15-20). ამჟამად, კომუნიკაციის ძირითადი თვისებები ვლინდება მის მრავალჯერ გამოყენებაში, გლობალიზაციასა და განვითარებაში (კომუნიკაციის პროცესში მონაწილეობს ადამიანების დიდი რაოდენობა).

ზემოაღნიშნულმა ობიექტურმა მიზეზებმა გამოიწვია ინტერესი ფემინისტი მეცნიერის, რ. ლაკოფის, წიგნისადმი „ენა და ქალის ადგილი“, რომელიც გახდა ამოსავალი წერტილი დასავლური გენდერული ენაცმეცნიერული კვლევისა. ა.ვ. კირილინა განიხილავს რა გენდერულ კვლევას, გამოყოფს რამდენიმე მიმართულებას. ესენია:

1. სოციოლინგვისტური გენდერული კვლევა;
2. ფემინისტური ლინგვისტიკა;
3. გენდერული კვლევები, ორივე სქესის შესწავლა;
4. მასკულიზმის კვლევა;
5. სქესის ფსიქოლინგვისტური შესწავლა, რომელიც ერწყმის ნეიროლინგვისტიკას (Кирилина, 1999:36).

სამეტყველო ზემოქმედების მიზანია მეტყველების საშუალებით თანამოსაუბრის აზრისა თუ ქცევის შეცვლა. არსებობს სამეტყველო ზემოქმედების მთავარი საშუალებები:

1. მტკიცებულება, არის მოყვანა არგუმენტებისა, რომლებიც დაადასტურებს ამა თუ იმ თეზისის სისწორეს. ის არის სამეტყველო ზემოქმედების ლოგიკური გზა.
2. **დარწმუნება**-ეს არის თანამოსაუბრისთვის ჩანერგვა რწმენისა. დარწმუნებისას გამოიყენება, როგორც ლოგიკა, ასევე ემოცია და ემოციური ზეგავლენა. დასარწმუნებელი ენობრივი საშუალებებია: **დაიჯერე, ზუსტად ასეა, სხვებიც ასე ფიქრობენ. ზუსტად ვიცი, რატომ არ გჯერა.**
3. **დაყოლიება** - ეს არის უპირატესად ემოციური პროცესი. ამ დროს თანამოსაუბრეს აიძულებენ, უარყოს თავისი შეხედულებები და აღიაროს მოსაუბრის

შეხედულება. დაყოლიება ყოველთვის ემოციურია და ინტენსიურად გამოიყენება პირად საუბრებში. ის ეფუძნება თხოვნისას დაჟინების ხანგრძლივობას, წინადადებისა თუ თხოვნის მრავალჯერ განმეორებას.

4. ხვეწნა-მუდარა არის ემოციური თხოვნა, რომლის დროსაც იყენებენ ჩვეულებრივ მრავალგზის თხოვნას.

5. ჩაგონება, შთაგონება - იძულება ადამიანისა, დაიჯეროს, დარწმუნდეს, რომ მას ესაუბრებიან ყოველგვარი აწონ-დაწონის და კრიტიკული გააზრების გარეშე. ჩაგონება ეფუძნება ძლიერ ნებისყოფას, პიროვნულ კულტურას. ქარიზმატულ ადამიანებს შეუძლიათ შთააგონონ ადამიანებს ის, რაც მათ სურთ. უფროსების შთაგონება ასევე შეუძლიათ ბავშვებს, ხშირად გოგონებსაც, რომ ახალგაზრდა ქალები გათხოვდნენ მკაცრსა და შეუპოვარ მამაკაცებზე.

6. თხოვნა - იძულება თანამოსაუბრისა, გააკეთოს ის, რაც მოსაუბრის ინტერესებში შედის, მოსაუბრესთან ურთიერთობისას იხელმძღვანელოს არსებული წესით. თხოვნის ეფექტურობა შედარებით უფრო მაღალია, ვიდრე კომუნიკაციური ბარიერები, ადრესატის სტატუსის შესაბამისი თხოვნის გამოყენება და სხვა. გარდა ამისა, თხოვნაზე უარის თქმის უამრავი შესაძლებლობა არსებობს.

7. ბრძანება - ეს არის ადამიანის იძულება, გააკეთოს ის, რაც აღემატება მის ძალებს და რისი გაკეთებაც აუცილებელია მისთვის, ანუ ყოველგვარი ახსნის გარეშე განკარგულების გაცემაა. ბრძანება მისაღებია ხელქვეითებთან, უმცროსებთან და სოციალური იერარქიის დაბალი ფენების წარმომადგენლებთან ურთიერთობისას, მაგრამ არაეფექტურია თანატოლებსა და მაღალ საფეხურზე მდგომებთან. ადამიანთა უმრავლესობის მიერ ბრძანება აღიქმება, როგორც ფსიქოლოგიურად ნეგატიური მოვლენა.

8. იძულება, ძალდატანება არის იძულება ადამიანისა, გააკეთოს ის, რაც ეწინააღმდეგება მის ნება-სურვილს.

9. სამეტყველო ზემოქმედება ადამიანზე მეტყველების საშუალებით ზეგავლენაა, დარწმუნებაა იმაში, რომ გაითვალისწინოს სხვისი შეხედულება, შეგნებულად მიიღოს გადაწყვეტილება ამა თუ იმ ქმედებაზე, ინფორმაციის გადაცემაზე, შემდგომ ქმედებაზე და ა.შ.

10. მანიპულირება - ეს არის ზემოქმედება ადამიანზე და მისი დარწმუნება, გააკეთოს ესა თუ ის ქმედება გაუცნობიერებლად მისი სურვილისა, აზრისა. მაგალითად, ადამიანს არ უნდოდა დაღვევა და აიძულეს, შთაგონების, ზეგავლენის, სირცხვილის გამო, რომ ის კოლექტივისაგან არ გამოყოფილიყო და ა.შ. სამეტყველო ზემოქმედების შესახებ მეცნიერება შეისწავლის როგორც თავად სამეტყველო ზემოქმედების, ასევე მანიპულაციის საშუალებებს (Стернин, 2003:10-11).

საკვლევ მასალაზე დაკვირვებით შეგვიძლია ვთქვათ, რომ მამაკაცისთვის დამახასიათებელია ბრძანება, მოთხოვნა, იძულება და მისთ.; ხოლო ქალებისთვის დამახასიათებელია მანიპულირება, მტკიცება, თხოვნა, მუდარა, დაყოლიება, სამეტყველო ზემოქმედება და ა.შ.

თანამედროვე ადამიანი უნდა ფლობდეს ყველა კომუნიკაციურ ჩვევას სხვადასხვა კომუნიკაციურ სიტუაციაში. სხვადასხვა სახის თანამოსაუბრესთან ურთიერთობისას იქმნება, როგორც სამეტყველო ზემოქმედების, ასევე მანიპულაციის აუცილებლობა. მანიპულაცია, როგორც სამეტყველო ზემოქმედების ტიპი, არ შეიძლება განვიხილოთ, როგორც სალანძღავი სიტყვა, ან როგორც სამეტყველო ზემოქმედების სრულიად საფუძვლიანი საშუალება, რაც თავის მხრივ თავს იჩენს გენდერშიც.

ამერიკელმა მეცნიერმა და მკვლევარმა რ. ლაკოფმა თავის ნაშრომში „ენა და ქალის ადგილი“ 1975 წელს აღნიშნა, რომ:

1. ქალები გამოიყენებენ ისეთ ლექსიკას, რომელსაც მამაკაცები არ გამოიყენებენ;
2. ქალები გამოიყენებენ უფრო „ცარიელ“, არაფრისმთქმელ შემფასებლურ სახელებს;
3. ქალები ზედმეტად გამოიყენებენ კითხვით ფორმებს;
4. ქალები გამოიყენებენ მოფერებით ფორმებს;
5. ზედმეტად გამოიყენებენ გამამლიერებელ სიტყვებს;
6. ზედმეტად კორექტულ გრამატიკას გამოიყენებენ.

სხვადასხვა მეცნიერი სხვადასხვაგვარად განსაზღვრავს გენდერს, ენას და მეტყველებას. საინტერესოა ამერიკელი მეცნიერის- დებორა ტენენის წიგნები „ენა, სქესი და ძალაუფლება“ (Language, sex and power), „შენ უბრალოდ არ გესმის,

ქალებისა და მამაკაცების საუბარი“ (You just don't understand, men and women conversation).

დ. ტენენი აღნიშნავს, რომ ქალები და მამაკაცები ენას სხვადასხვა მიზნით იყენებენ. ქალი იყენებს ენას, როგორც პიროვნებათშორისი ურთიერთობების მნიშვნელოვან ნაწილს. მამაკაცები, პირიქით, იწყებენ საუბარს, რომ აჩვენონ, თუ როგორ აკონტროლებენ სიტუაციას. საუბარი ეხმარება მამაკაცს, შეინარჩუნოს დამოუკიდებლობა და აამაღლოს თავისი სტატუსი. ამის მიზეზია კომუნიკაციური სტილი. ავტორი გამოყოფს ორ მნიშვნელოვან მახასიათებელს: ჩართულობას და დამოუკიდებლობას. მამაკაცები არიან დამოუკიდებლები, ხოლო ქალები ჩართულნი არიან კომუნიკაციაში (Tannen, 2005:129).

მამაკაცური მეტყველება მოგებიანია მამაკაცებისთვის, ხოლო ქალებისთვის ნაკლებად. დ. ტენენი ქალებს ურჩევს, მამაკაცური სტილის მეტყველებისაგან თავი შორს დაიჭირონ, თუმცა შეიძლება ასეთი მეტყველების სტილი იმ ქალებს დაეხმაროს, რომლებიც სამსახურში მაღალ პოზიციებზე დგანან და თვლიან, რომ მამაკაცური მეტყველების გამოყენება სხვა ქალებზე მიმართვის დროს მოგებიანია. ტენენი იმასაც აღნიშნავს, რომ ქალისთვის უფრო ხელსაყრელია, სხვა ქალებს ესაუბროს ისეთი სამეტყველო ფორმებით, როგორებიც მას აქვს, ვიდრე მამაკაცივით (Tannen, 1990). ქალებისთვის დამახასიათებელია ასევე არაპირდაპირი მეტყველება, რითაც ისინი მანიპულირებენ მამაკაცებზეც. განვიხილოთ შემდეგი მაგალითი:

დაქორწინებული წყვილი ზის მანქანაში, ცოლი მიუბრუნდა ქმარს და ეუბნება, „ყავის დასალევად ხომ არ გავჩერებულიყავით?“

„ არა, გმადლობ, „ უპასუხა ქმარმა გულწრფელად. მათ გზა განაგრძეს.

შედეგი ასეთია: სინამდვილეში ცოლს უნდოდა მართლა გაჩერებულიყვნენ, ხოლო ქმარმა იფიქრა, რომ მას უბრალოდ საუბრის დაწყება სურდა ამ ფორმით. ქალი გააბრაზა იმ ფაქტმა, რომ ქმარმა მას ვერ გაუგო, ხოლო ქმარი გაბრაზდა თავის ცოლზე, იმის გამო, რომ მან არ უთხრა პირდაპირ ის, რაც სურდა.

ქალები ცდილობენ იბრძოლონ სიახლოვისთვის, მხარდაჭერისა და ინტიმურობისთვის, მამაკაცები დაინტერესებული არიან თავიანთი სტატუსით,

ფოკუსირებული არიან დამოუკიდებლობისაკენ სწრაფვაზე, რაც თავიანთი კულტურისა და ტრადიციებიდან გამომდინარეობს. მაგალითად:

როცა ჯოშს მისი სკოლის მეგობარი შეხვდა, მან იგი სახლში დაპატიჟა. სახლში მისულმა ცოლს უთხრა, რომ სტუმარი ეყოლებოდათ. ცოლი გაბრაზდა და ფიქრობდა, როგორ შეეძლო ჯოშს ასე მოქცეულიყო და მან ქმარს უთხრა: „რატომ არ უთხარი შენს მეგობარს, ცოლს შევუთანხმდებო?“ ჯოშმა კი უპასუხა: „არ შემიძლო მეგობრისთვის მეთქვა, ცოლს უნდა ვთხოვო ნებართვაო!“ (Tannen, 2005:89-90).

ჯოშისთვის ის ფაქტი, რომ ცოლისთვის უნდა შეეთანხმებინა აღნიშნული მოვლენა, ნიშნავდა, რომ მას არ შეეძლო თავისუფლად მოქმედება, თუმცა მისი ცოლისთვის ეს ჩვეულებრივი მოვლენა იყო, რადგან ის ყოველთვის უთანხმებდა ქმარს ყველაფერს. განვიხილოთ შემდეგი მაგალითი:

დიანას ძალიან უყვარს ყველა საქმის დაწყება შემდეგი სიტყვებით „მოდით“ მოდი, ეს აქ დავდოთ, მოდი, მანქანა ამ კუთხეში გავაჩეროთ, მოდი ვისაუზმოთ და სხვა. ეს კი მის ქმარს ნერვებს უშლის, ის მიიჩნევს, რომ დიანას მიერ წარმოთქმული „მოდით“ არის ბრძანება, თითქოს ის ამით ბრძანებლობს მასზე.

ქმარს, როგორც სხვა მამაკაცებს, აღიზიანებს, როცა ეუბნებიან, რა უნდა გააკეთოს, თუმცა დიანა ასეთი ფორმით სთავაზობს რაღაცას და არ ბრძანებლობს, მაგრამ მისი ქმარი, როგორც სხვა მამაკაცები, ფიქრობს, რომ მასზე მანიპულირებენ (Tannen, 2005:89-90).

თუ როგორ მანიპულირებენ ძლიერი და სუსტი სქესის წარმომადგენლები ერთმანეთზე და როგორ სამეტყველო ფორმებს იყენებენ ურთიერთობისას, კარგად ჩანს ტიპურ მამაკაცურ და ქალურ ტყუილებში. მაგალითად: ბუნებით გამჭრიახმა ქალებმა კარგად შეისწავლეს თავიანთი ქმრების პატარა ტყუილები. აი, ტიპური მამაკაცური ტყუილების პატარა ჩამონათვალი:

- „სამსახურში დარჩენა მომიწია, თანაც ქუჩებში საშინელი საცობებია. გამჭრიახი ქალი ამ სიტყვებს არასოდეს მიიღებს სერიოზულად და არც ქმრის გამოამკარავებას შეეცდება. ლუდის მსუბუქი სუნი ისედაც ყველაფერზე მეტყველებს.

- „შენ ისეთი ლამაზი ხარ, ისეთი კარგი მეოჯახე“, - სავარაუდოა, რომ მამაკაცს რაღაცისგან თავის არიდება სურს, რადგან სიტყვები: ლამაზი და მეოჯახე, მამაკაცის აზროვნებაში ერთმანეთს არ უკავშირდება.
- „სულ რაღაც 50-50 გრამი დავლიეთ“. ასეთი მკაცრი სიზუსტე იმაზე მიუთითებს, რომ სვეს ბევრი და თანაც ნაირნაირი.
- „არასოდეს არცერთი ქალისადმი არ მიგვრძნია ის, რასაც შენ მიმართ ვგრძნობ“. ქმარს სურს, რომ იყოს თქვენთვის ერთადერთი, ამიტომ უთხარით, რომ გჯერათ მისი და დაამშვიდეთ.

ის, რომ ცოლმა იცის ქმრის ეშმაკობები, ეხმარება მას დაწყნარდეს და იყოს თავისთავში დარწმუნებული. თუ ქმარი სადმე „სიცრუის მორევში“ გაიჭედა, ცოლი უნდა დაეხმაროს მას თავის დაღწევაში. სიცრუე ხომ კოლოსალურ ფსიქიკურ ენერჯიას მოითხოვს.

არის ასეთი ანეგდოტი: „ქმარი ბრუნდება სახლში მთვრალი და თანაც გვიან. ცოლი ეკითხება: სად იყავი ამდენ ხანს? კაცი პასუხობს: ძვირფასო, იქნებ შენ თვითონ მოიფიქრო რამე, მე ძალიან დაღლილი ვარ...“

რაც შეეხებათ ქალებს, მათთვის ეს ტყუილი სულაც არ არის:

- განსაზღვრულ ასაკში დაივიწყოს თავისი კალენდარული ასაკი;
- 3-4- ჯერ შეამციროს ან გაზარდოს ტუჩის საცხის ფასი;
- ამბავი, რომ საინტერესო გახადოს მოიგონოს სხვადასხვაგვარი წვრილმანი და მოყვეს მათზე.
- მამაკაცთან საუბრისას შეაქოს მისი გარეგნობა, მიუხედავად წვერ-გაუპარსაობისა და ჭუჭყიანი ფეხსაცმელებისა (Tannen, 2005:74).

ქალისა და მამაკაცის ტყუილის გარეგნული ნიშნები ერთმანეთისგან განსხვავდება. მამაკაცი როცა იტყუება, აგრესიული ხდება, არ უყურებს მოსაუბრეს თვალებში და წყვეტილად სუნთქავს, ხმამაღლა ლაპარაკობს, თითებს ათამაშებს სახეზე და შეიძლება წამოხტეს და გავარდეს ოთახიდან. ქალი, ასეთ სიტუაციაში, როგორც წესი, არაბუნებრივად ილიმება, ბავშვური ხმით ლაპარაკობს, ტანსაცმელზე ხელს ისვამს, ფეხს ფეხზე იდებს და უფრო ხშირად ახამხამებს წამწამებს.

საყოველთაოდ ცნობილია, რომ მამაკაცი გაბრაზებას გამოხატავს უშვერი სიტყვების გამოყენებით ე.წ. გინებით, მაშინ, როცა ქართველი ქალი იმავე სიტუაციაში წყევლით გამოხატავს სიბრაზეს. გაზეთ „კვირის პალიტრაში“ ვიპოვეთ საინტერესო სტატია შემდეგი სათაურით: „რა მოხდება, ცოლების წყევლა რომ ახდეს?“

ჩვენ შემოგთავაზებთ რამდენიმე მათგანს:

- თუ ლოგინში წევხარ და ნაგვის გადაყრაზე უარს ამბობთ, ვერასოდეს ადგებით იმ ლოგინიდან...
- წვეულებიდან დაბრუნებულმა შინ საჭმელი თუ მოითხოვეთ, მუცელში შვავი გაგიჩნდებათ...
- თუ გვიან დაბრუნდებით შინ, ყველა კაცი ერთნაირი გახდება და გაწყდება მათი სინსილა...
- თუ შინ ზედიზედ მთვრალი დაბრუნდით, დაიწყებთ ნავთისა და მდულრის სმას.
- ეზოში დომინოს თუ თამაშობთ და ცოლი ბაზარში მარტო წავა, თქვენი მაჭანკლის ოჯახი 90-ჯერ დაიქცევა.

შეიძლება ითქვას, რომ წყევლა ქალისთვისაა მეტად დამახასიათებელი, გამონაკლის შემთხვევებში შეიძლება მოისმინო წყევლა-კრულვა მამაკაცისაგან, ან პირიქით, ქალების საინტერესო გინებასაც მოვკრათ ყური. ქალური და მამაკაცური მეტყველება კი უდავოდ განსხვავებულია.

ამდენად, ქალებისა და მამაკაცების მეტყველების თავისებურებების განხილვის შედეგად შგვიძლია დავასკვნათ შემდეგი:

- ქალებისა და მამაკაცების მეტყველება განსხვავდებიან ფუნდამენტალურად და ასევე ბუნებრივად;
- ორივე სქესის მეტყველებაში ვხვდებით თითოეული მათგანისთვის დამახასიათებელ სამეტყველო ფორმებს.

საინტერესოა ქალისა და მისი ძლაუფლების განსაზღვრა: ქალი უფროსი, ლედი ბოსი. ხელმძღვანელის სტატუსი თავისთავად პრობლემატურია, ამას ქალთა სქესთან დაკავშირებული ცრურწმენა ემატება.

„მამაკაცების უმრავლესობას არ მოსწონს ქალების ხელმძღვანელობით მუშაობა. მენეჯმენტის პროფესორმა ნ. იოსეფოვიჩმა შეისწავლა მამაკაცთა ასეთი განწყობის მიზეზი:

პირველ რიგში - მამაკაცთა აზრით, ქალები არ არიან დარწმუნებული საკუთარ თავსა და მოქმედებაში. უფროსმა კი უნდა იცოდეს, რას აკეთებს.

მეორე - ქალს არ შეუძლია დაქვემდებარებული განყოფილების დაცვა ხელმძღვანელობისაგან, რადგან არ აქვს საკმარისი პრესტიჟი.

მესამე - მამაკაცები ხშირად განიცდიან გარკვეულ უხერხულობას ქალი უფროსის წინაშე, ამიტომ ურთიერთობისას თავაზიანნი და დამაბულნი არიან. თავად ქალები კი ცდილობენ, მამაკაცებს თავი მოაჩვენონ „თავისიანად“ და იქცევიან ძალიან უხეშად.

ნაკლებად მნიშვნელოვანია, რამდენად სარწმუნოა ეს მტკიცებულებები, მთავარი ის არის, რომ მამაკაცთა უმრავლესობა ასე ფიქრობს, თუმცა არამარტო მამაკაცებს, ქალებსაც უჩნდებათ ეჭვი და უკმაყოფილების გრძნობა. თუკი მანამდე მას, როგორც ქალს, „დაწინაურება“ არ ელოდებოდა, რეალობიდან გამომდინარე, უჩნდებათ ეჭვი საკუთარ შესაძლებლობებზე, რაც ქვეცნობიერად იწვევს შურს და ბრაზს წარმატებული თანამშრომლის მიმართ“ (Колесов, 2002:34).

საყოველთაოდ გავრცელებულია, რომ ბიჭებს ბავშვობიდან ასწავლიან, მოიქცნენ ისე, როგორც „მამაკაცს შეჭფერის“ და იმ შემთხვევაში, თუ ისინი ეტიკეტის ნორმებს დაარღვევენ, მაშინ ამბობენ, არა უშავს, „ბიჭები მაინც ბიჭები არიან,“ თუმცა ამ ტიპის შეფასებებს, თითქოს მიმტვევებლურს, გოგონების მიმართ ნაკლებად შევხვდებით.

საბედნიეროდ, აღნიშნული როლების მოდელები სტერეოტიპები უფროა, თუმცა აღნიშნული ტენდენცია, ზრდილობიანი მეტყველების ფორმების გამოყენება ქალების მიერ კვლავაც მოთხოვნადია. თუმცა, როგორც კაცის ისე ქალის მიერ უშვერი სიტყვების გამოყენება არა მხოლოდ ულამაზო და არასასიამოვნო მოსასმენია, არამედ ეტიკეტის დარღვევაცაა. აღნიშნული კი იმაზე მიუთითებს, თუ რამდენად მნიშვნელოვან როლს თამაშობს საზოგადოება და არსებული სტერეოტიპები ქალისა და მამაკაცის მეტყველებასა და, საერთოდ, კომუნიკაციაზე.

ის ფაქტი, რომ ქალები და მამაკაცები სხვადასხვაგვარად საუბრობენ, ეს ჩვეულებრივ სამეტყველო ფორმებშიც კარგად ჩანს, მაგალითად:

- „ვაუ რა მშვენიერი სახლია!“
„Wow, What a beautiful home!“
- „ეს ქურთუკი ძალიან გიხდებათ!“
”That coat looks lovely on you!“
- „კარგი პიჯაკია!“
”Nice coat!“
- „მაგარი შორტებია!“
”This shorts are cool!“

ზემოთ მოყვანილი მაგალითებიდან ადვილი გამოსაცნობია, თუ რომელი ფრაზა შეიძლება გამოეყენებინა ქალს და რომელი - მამაკაცს. მოკლე, უემოციო და ლაკონიურ ფრაზებს იყენებს მამაკაცი, მაშინ, როცა შედარებით უფრო გრძელ, ემოციით აღსავსე ფრაზებს იყენებენ ქალბატონები.

თავაზიანობის გამოყენების სულ სხვა სიტუაციებს ვხვდებით, როცა ორივე სქესის წარმომადგენლების ინიციატივაა ერთმანეთზე კარგი შთაბეჭდილების მოხდენა შემდგომი ახლო ურთიერთობების მიზნით. ეს ის შემთხვევაა, როცა მამაკაცები ზედმეტად ყურადღებიანი და თავაზიანებიც არიან.

„ფსიქოლინგვისტიკა და სოციოლინგვისტიკა შეისწავლიან ქალისა და მამაკაცის ზეპირი თუ წერილობითი მეტყველების თავისებურებებს, ასევე კომუნიკაციური მეტყველების აღქმის ვერბალურ პროცესსაც.

ტექსტის აგების ტიპი დამოკიდებულია საუბრის თემატიკაზეც, რომელსაც წარმართავს მოსაუბრე. თემატიკის ჩართვა უკავშირდება არა სქესს, არამედ მეტყველებას, ოჯახს და სხვა როლებს“ (Каменская, 2001:24).

მაგალითად:

- მამაკაცები რთულად გადაერთვებიან სხვა თემატიკაზე, თითქოს „წაიყრუებენ“, რადგანაც გართული არიან განსახილველი თემით;
- ქალები ჩვეულებრივ მიუთითებენ კონკრეტული მოვლენისადმი პიროვნულ თვისებებზე;

- მამაკაცურ მეტყველებაში აღინიშნება ნომინაციების ტერმინოლოგიური სიზუსტე. ისინი უფრო ძლიერებად მიიჩნევიან, იგულისხმება „პროფესია“;

- ტიპური ქალური მეტყველებისთვის დამახასიათებელია ექსპრესიული მეტყველება.

„მამაკაცის ზეპირი თუ წერითი მეტყველებისთვის დამახასიათებელია ჟარგონების გამოყენება, განსაკუთრებული კონსტატაციით აბსტრაქტული სიტყვების დიდი რაოდენობით გამოყენება; სათქმელის გადაცემის წინ ემოციურობის გამოყენება ან ისეთი სიტყვების გამოყენება, რომლებიც გადმოსცემს ემოციებს; ემოციურად და ოფიციალურად მარკირებული სიტყვა-შეთანხმებების გამოყენება ნათესავებსა და ახლო ადამიანებთან ურთიერთობისას; საგაზეთო-პუბლიცისტური კლიშეების გამოყენება; სასვენი ნიშნების შეუსაბამოდ დასმა ემოციური შეფერილობის მქონე სიტყვების გამოყენებისას“ (Каменская, 2001:24).

ქალური მეტყველებისთვის დამახასიათებელია:

- პრესტიჟული სამეტყველო ფორმების, კლიშეების, სალიტერატურო-ლექსიკის გამოყენება;

- კონოტაციურად ნეიტრალური ევფემიზმების გამოყენება (მაგალითად: მთვრალის ნაცვლად - ზედმეტი დალია);

- შაბლონური გამონათქვამების გამოყენება;

- გრძნობების აღწერისას დიდი რაოდენობით მხატვრული ხერხების გამოყენება;

- ემოციური მეტყველების ნიშნების ხშირი გამოყენება.

ამდენად უნდა ავლნიშნოთ, რომ კაცები ვერბალური კომუნიკაციის დროს ერთი და იმავე ლექსიკური ერთეულებით გამოხატავენ დადებითსა და უარყოფით შემფასებლურ აზრებს, ხოლო ქალები არგუმენტაციის დროს ხშირად მიუთითებენ მოვლენებზე.

XX საუკუნის 80-იანი წლების ბოლოსა და 90-იანი წლების დასაწყისში გამოჩნდა ჰიპოთეზა „გენდერული სუბკულტურის“ შესახებ, რომელიც გამომდინარეობდა გამპერცის შრომებიდან. უფრო ადრეულ ნაშრომებში ეთნოლოგიის, ეთნოგრაფიის, კულტურის ისტორიის, მალცისა და ბორკერის (Maltz, Borker, 1983), ასევე ტენენის

შრომებშიც (Tannen, 2000) კულტურათმორისი კომუნიკაციის პრინციპი ეყრდნობა გენდერულ ურთიერთობებს.

ევროპული ენების ჩარჩოებში გენდერულმა კვლევის განვითარებამ ლინგვოკულტუროლოგებს საშუალება მისცა, შეესწავლათ მამაკაცისა და ქალის მეტყველების კულტურულად განპირობებული მეტყველება, მათი სტრატეგიები. ამგვარი კვლევების ჩატარება კომუნიკაციურ სიტუაციებში დაკავშირებულია მოცემული საზოგადოების კულტურის შესწავლასთან.

„ქალებისათვის დამახასიათებელია სიკეთე, ხასიათის სირბილე, ჰუმანურობა, დემოკრატიზმი. ისინი ბუნებასთან უფრო ახლოს არიან, უარყოფითი განწყობა აქვთ ძალადობის მიმართ, ვერ ეგუებიან უხეშობას, სხვათა გაჭირვება გულთან ახლოს მიაქვთ, ადვილად ექვემდებარებიან აღზრდას, ადაპტაციას, მკვეთრად საზღვრავენ თავიანთ ფუნქციას ოჯახში, ბავშვების მიმართ. ქალებში, მამაკაცებთან შედარებით, უფრო ძლიერად ვლინდება გონიერი, უხეში ძალადობის, როგორც ცხოველური ინსტინქტის გამოვლინების (მათ შორის სექსუალური) საწინააღმდეგო გრძნობა. ქალი გაცილებით უფრო მიჯაჭვულია კაცზე და მუდმივად ითხოვს მისგან სიყვარულის დადასტურებას, წინააღმდეგ შემთხვევაში სულიერ წონასწორობას კარგავს. ქალებისათვის დამახასიათებელია გონივრული ზომიერება, აქტიური ურთიერთობებისაკენ სწრაფვა. მოკლედ რომ ვთქვათ, ქალი ცივილიზაციის სტაბილურობის გარანტია, მაგრამ იგი მოკლებული არ არის ნეგატიურ თვისებებსაც, რომელთა შორის აღსანიშნავია: გულმავიწყობა, თავშეუკავებლობა, ისტერიულობა, ნევროზულობა, დეპრესიული მდგომარეობის მკვეთრი გამოვლინება, შურიანობა, ბევრი ლაპარაკი.

მამაკაცებსაც ახასიათებთ როგორც დადებითი, ისე უარყოფითი თვისებები. ეს თვისებებია: საზრიანობა, მოხერხებულობა, გამომგონებლობა, ახალ გარემოსთან ადაპტირების უნარი, ფსიქიკური საქმიანობის აქტიურობა, რაც მის თვითდამკვიდრებასა და თვითრეალიზაციაში ვლინდება. ყველა ეს თვისება დადებით კატეგორიას შეიძლება მივაკუთვნოთ. მამაკაცების აზროვნება ქალებისაგან მეტი აბსტრაქტულობით განსხვავდება. მამაკაცები ძირითადად სამსახურზე არიან კონცენტრირებული და არა ოჯახზე. ხშირად სიმამაცე მათთვის შიშის დაძლევის

უკავშირდება, ხოლო აქტიურობა მათ საშუალებას აძლევს, თავი მამაკაცებად შეიგრძნონ. ნეგატიურ თვისებებს შეიძლება მივაკუთვნოთ: აგრესიულობა, ძალაუფლებისაკენ სწრაფვა, ავანტიურიზმი, სიმკაცრე, სარკაზმი, თავიანთ თავზე დიდი წარმოდგენა, ემოციების გამოვლენის, როგორც სისუსტისაგან, თავის შეკავება. ქალების მხრიდან სიყვარულის დასადასტურებლად ისინი ფიზიკურ სიახლოვეს ითხოვენ. მათ უყვართ კომფორტი, ხშირად ლაპარაკობენ სამსახურებრივ საქმიანობაზე, სპორტსა და არა სახლზე, ოჯახზე, ხელოვნებაზე. განაწყენებისას ხშირად იცვლიან გატაცების ობიექტს.

ბიოლოგიურად განსხვავდება აგრეთვე მამაკაცისა და ქალის კუნთოვანი სისტემა. ქალთა კუნთოვანი სისტემა ახალგაზრდა ასაკში მამაკაცთა კუნთოვანი სისტემის 65%-ს უტოლდება, ხოლო ხანშიშესულობაში კიდევ უფრო ნაკლებია. ქალების გული უფრო პატარაა და სისხლის რაოდენობაც ნაკლებია, სასუნთქი ორგანოებიც უფრო სუსტია, განსხვავებულია კუნთების ბიოქიმიური შედგენილობაც. მათ ჩონჩხს სპეციფიკური კონსტრუქცია აქვს. ქალები მამაკაცებს უსწრებენ მოძრაობის ტემპით, მაგრამ უფრო მალე იღლებიან. ისინი უფრო რეაგირებენ გარემოს გამღიზიანებლებზე, ნაკლებად მდგრადი ნერვული სისტემა აქვთ და ფსიქოლოგიურად მომენტალურად გარდაიქმნიებიან. საშუალოდ, ქალებისა და მამაკაცების გონებრივი მონაცემები ერთნაირია. ინგლისელი მეცნიერი ე. ბარნეტი წერდა, რომ გაცილებით უფრო მეტია საშუალო განვითარების ქალები, ვიდრე მამაკაცები. მამაკაცებში უფრო ხშირად ვხვდებით უკიდურეს გამოვლინებებს - ან ძალიან მაღალ ან დაბალ ინტელექტს“ (Барнетт, 1968)

მეცნიერის მტკიცებით, 40 წლის შემდეგ ქალები თავიანთ ინტელექტს უკეთესად ინარჩუნებენ. ე. მონტეგიუ აღნიშნავს, რომ კაცები უფრო ხშირად ავადმყოფობენ. მათ უფრო სუსტი ფსიქიკა აქვთ და უფრო ხშირად ხვდებიან ფსიქიატრიულ დაწესებულებებში. ისინი ქალებზე უფრო ხშირად ასრულებენ სიცოცხლეს თვითმკვლელობით.

თუმცა სრულიად მართებულია შენიშვნა იმის თაობაზე, რომ გონმა, როგორც უნივერსუმმა, არ იცის სქესობრივი განსხვავება. ყველაფერი იმის გაკეთება, რაც შეუძლია მამაკაცს, შეუძლია ქალსაც“ (კიკნაძე, დონაძე, 2006).

<http://www.nplg.gov.ge/gsd/cgi-bin/library.exe?e=d-00000-00---off-0civil2--00-1----0-10-0--0---0prompt-10---4-----0-11--10-ka-50---20-about---00-3-1-00-0-0-01-1-0utfZz-8-00&cl=CL1.8&d=HASH017c4c29ab02a4d620c75af3.2.3>=1>).

ზემოთ აღნიშნული მახასიათებლები ვლინდება ქალთა და მამაკაცთა მეტყველებაში, რომელთა შესწავლა და მათზე კვლევების ჩატარება ერთობ მნიშვნელოვანი ნაბიჯი იქნება მათი სამეტყველო ფორმების შესწავლაში.

ინგლისურ ენაში აკვირდებიან გენდერული როლების აღქმის ტენდენციის ცვალებადობას. ორივე სქესი დრო და დრო საკმარისად აღიწერება, როგორც „შრომისმოყვარე“, პროფესიის მქონე, „ძლიერი“ „მაღალკლასობრივი“ „ძალაუფლების მატარებელი“ და სხვა პიროვნება. ასევე საყურადღებოა ქალების აღწერის ტენდენცია, როგორც „თვითდაჯერებული“ საკუთარ თავზე შეყვარებული, „წარმატების უნარის მქონე“ „საკუთარი წარმატებული კარიერის შემქმნელი“ და სხვა.

განვიხილოთ ქართული, რუსული და ინგლისური ენების კომპარატიული მყარი სიტყვათშეთანხმებები (კოლოკაციები) მაგალითად, „ხარივით ჯანმრთელი“, „აღვის ხის მსგავსი“, „არყის ხესავით მოხდენილი“, „მზის სადარი“, და სხვა, გამოვლინდა გენდერული სტერეოტიპების დამახასიათებელი გამოხატვა, როგორც ქალის, ისე მამაკაცის დამახასიათებელი კოლოკაციები მიუთითებენ მათს გარეგნობაზე. ქალისთვის ტიპურია უარყოფით ხასიათზე მინიშნება, ხოლო მამაკაცებისთვის - უარყოფით საქციელზე.

ლინგვისტური თვალსაზრისით ქალს ანიჭებენ უპირატესობას თუ მამაკაცს, ჯერ კიდევ გაურკვეველია. არის თუ არა ქალი კონსერვატიული ენობრივი ნორმების მიმართ? ზოგიერთი ლინგვისტი იხრება ქალური მეტყველების დიდი ნორმატიულობისაკენ, იქიდან გამომდინარე, რომ ის ყოველთვის დიდ როლს თამაშობს მოზარდი თაობის აღზრდაში, რის გამოც ცდილობს, ისაუბროს ნორმების შესაბამისად ლიტერატურული ენის თანახმად. იგივე ტენდენცია დადგინდა სამეტყველო ანალიზის აქცენტირებისას. ქალები აქცენტს აკეთებენ უფრო პრესტიჟული სამეტყველო ფორმების გამოყენებაზე. ქალური ბილინგვიზმის

შემთხვევაში კი, როგორც წესი, ქალები უპირატესობას ანიჭებენ იმ ენას, რომელიც მომავალში უზრუნველყოფს მათი შვილების წარმატებას.

„ქალისა და მამაკაცის კომუნიკაციური ურთიერთობის თემატური აქცენტი და მათთვის დამახასიათებელი ლექსიკური ერთეულების თავისებურებანი წარმოადგენს კომუნიკაციის პროცესის შესწავლის საგანს, როგორც აღნიშნავდა ტ.ვ. გომონი. მეცნიერი აღნიშნავს, რომ ქალური მეტყველების კომპლექსში შედის ისეთი თემები, როგორებიცაა: სამზარეულო, მოდა, აღზრდა, ხოლო მამაკაცები განიხილავენ ტექნიკის შეკეთების საკითხებს, სპორტის ახალ ამბებს და სხვ.“ (Кирилина, 1999:58).

მოცემული კვლევის თემატიკა გულისხმობს იმ კონცეფციების დანერგვას, რომლებიც ასახავს ეფექტური გენდერული კომუნიკაციის პროცესების სპეციფიკას. გენდერული კომუნიკაციის ქცევის აღწერის მიზნით წარმოგიდგინთ მთელ რიგ ტერმინებს (Горошко 2001:35):

- გენდერული კომუნიკაციური ქცევა არის ადამიანის ქცევა კომუნიკაციისას, რომელიც აწესრიგებს გენდერულ სტერეოტიპებს და კომუნიკაციურ ნორმებს, ტრადიციებს, რომლებიც პასუხობენ, რეაგირებენ სოციალურ გენდერულ როლებზე.
- გენდერული კომუნიკაციური ნორმები - ეს არის ნორმები, რომლებიც ყველაზე მკაცრად აღწერს გენდერული ჯგუფების წარმომადგენლებს (მაგალითად, მამაკაცებს: დაუთმონ ქალებს ადგილი, არ გამოიყენონ უშვერი სიტყვები ქალების თანდასწრებით; ქალებმა გაუწიონ მასპინძლობა სტუმრებს და სხვ.).
- გენდერული კომუნიკაციის ტრადიციები ნაკლებად მკაცრად რეგლამენტირებული კომუნიკაციური წესებია, რომლებიც მიმართულია ამა თუ იმ გენდერული ჯგუფებისთვის.
- გენდერული კომუნიკაციის ქცევის პრინციპი ძირითადი წესია, რომლითაც ხელმძღვანელობენ ქალები და მამაკაცები კომუნიკაციის პროცესში.
- კომუნიკაციური ქცევის გენდერული სტილი - ეს არის ერთი გენდერული ჯგუფის კომუნიკაციური ქცევის განზოგადებული ფორმულირება, რომელიც საპირისპირო განსხვავებებით ერწყმის სხვა კომუნიკაციური

ჯგუფის გენდერული ქცევის დადგენილ ხასიათს. უნდა აღინიშნოს, რომ ტერმინი ეხება ენის გამოყენების ნაირსახეობას, რომელიც განსხვავდება სხვა მსგავსი ენობრივი ერთეულების შემადგენელთაგან და მათი ორგანიზაციის თავისებურებისაგან, როგორც ერთი სემანტიკური და კომპოზიციური მთლიანობა. გენდერლექტი - არსებული ენის სოციალური ორგანული ფორმა, რომელიც აღწერს საზოგადოების გენდერულ დიფერენციაციას.

- კომუნიკაციის შერეული ჯგუფი - კომუნიკაციური ჯგუფი, რომელიც შედგება სხვადასხვა გენდერული ჯგუფის კომუნიკანტებისგან;
- კომუნიკაციის ერთგვაროვანი ჯგუფი - კომუნიკაციური ჯგუფი, რომელიც შედგება ერთი გენდერული ჯგუფის კომუნიკანტებისგან.
- გენდერული კომუნიკაციის იმპერატივი - კომუნიკაციური ქმედება, რომელიც აუცილებელია მიღებული ნორმებისა და ტრადიციების გამო, კომუნიკაციის კონკრეტული სიტუაციიდან და დადგენილი გენდერული როლებიდან გამომდინარე.
- გენდერული კომუნიკაციური ტაბუ - კომუნიკაციური ტრადიცია თავიდან ავიცილოთ გარკვეული ენობრივი გამონათქვამები, ქმედებები, რომელიც ეხება გარკვეულ თემებზე საუბარს სხვადასხვა საკომუნიკაციო სიტუაციაში შერეული ჯგუფის ურთიერთობის დროს.
- გენდერული კომუნიკაციური ბარიერი (შეიძლება იყოს სხვადასხვა სოციალური, როლური, კოგნიტური ბარიერები) - ტიპური სირთულეები, რომელიც თავს იჩენს სხვა გენდერული ჯგუფის წარმომადგენლებთან ურთიერთობისას, რომელიც კავშირშია გენდერულ სტერეოტიპებთან და გამოიყენება წარუმატებელი კომუნიკაციის თავიდან ასაცილებლად.
- გენდერული როლი - გარკვეული სახის სოციალური როლი, ადამიანის ქცევა, რომელიც გამოწვეულია მისი გენდერული იდენტობიდან.
- გენდერული კომუნიკაციური თამაშები - ტიპური კომუნიკაციური სიტუაციები ქალსა და მამაკაცს შორის.

აქედან გამომდინარე, „გენდერული თავისებურებების სამეტყველო კვლევის შესწავლისას დიდი ყურადღება უნდა მივაქციოთ ენის ხასიათს, რომელიც გამოიყენება გავრცელებულ კომუნიკაციურ პროცესში“ (Кирилина 1999:43).

იმისათვის, რომ გაგვერკვია, არსებობს თუ არა ქალისა და მამაკაცისთვის დამახასიათებელ ლექსიკურ ერთეულებზე სტერეოტიპული წარმოდგენა, ჩვენ ჩავატარეთ ექსპერიმენტი: შევარჩიეთ ნაკლებად ცნობილი პოეტების (ქალებისა და მამაკაცების) ლექსები და წავაკითხეთ მდებდრობითი და მამრობითი სქესის წარმომადგენლებს, რომლებსაც უნდა გამოეცნოთ, თუ ვის მიერ (ქალი/მამაკაცი) იყო დაწერილი აღნიშნული ლექსი და მოეყვანათ ამის არგუმენტები. თავიანთი მოსაზრება მათ წერილობით უნდა დაეფიქსირებინათ. ექსპერიმენტში მონაწილეობდა XII კლასის 16-17 წლის ასაკის 30 მოსწავლე, აქედან 12 ვაჟი და 18 გოგონა. ლექსების ავტორების გენდერი სწორად აღმოაჩინა 16 მონაწილემ (7 ვაჟი და 9 გოგონა), არასწორად კი - 14 მონაწილემ (6 ვაჟი და 8 გოგონა). ჩვენი აზრით, ექსპერიმენტის ყველაზე მნიშვნელოვანი შედეგი ისაა, რომ ყველა მონაწილე ცდილობდა მოეყვანა თავისი გადაწყვეტილების არგუმენტი, ე.ი. არსებობს რამდენადმე მყარი წარმოდგენა, რა არის დამახასიათებელი მამაკაცისა და ქალის მეტყველებისთვის. ჩვენ შემოგთავაზებთ მათ კომენტარებს: ერთ-ერთი მოსწავლე ხათუნა ბოლქვაძის ლექსზე „სადღაც, შორს, ცაზე გამოჩნდა მთვარე“ წერს, რომ არის კაცის დაწერილი, შემდეგი სტრიქონების გამო:

„აჩრდილი შენი ღრუბლებმა შთანთქეს“

უაზროდ ბორგავს კლდის წვერზე მთვარე.“

იმავე ავტორის შემდეგ ლექსზე - „მენატრები!!!“ მამრობითი სქესის წარმომადგენელი წერს, რომ არის კაცის დაწერილი, რადგან ქალი არ დაწერდა შემდეგ სიტყვებს:

„ირგვლივ წყვდიადი,

დაეშვა ფარდა...“

ჩემი გრძნობები

სიყვარულს ჰგავდა.“

გოგონა თამარ ლომიძის ლექსებზე „ისე მომწყურდი“, „შენზე ოცნება“ წერს, ლექსის შინაარსიდან გამომდინარე ფიქრობს, რომ ლექსი დაწერილია კაცი პოეტის მიერ. „ისე მომწყურდი“ - ამ სიტყვებიდან გამომდინარეც შეიძლება ეს მოსაზრება დადასტურდეს, რადგან ეს სიტყვა უფრო მამაკაცის ნათქვამი შეიძლება იყოს. მაგალითად: მამაკაცს „მოსწყურდა“ ქალის ხილვა, მისი აზრით, უფრო მამაკაცის ნააზრევი უნდა ყოფილიყო.

ხუტა ბერულავას ლექსზე - „მინდა შეგიმკო თმები გვირილით“ ვაჟი აღნიშნავს, რომ არის კაცი პოეტის მიერ დაწერილი, რადგან ავტორი ფიქრობს მთავარი გმირის თმების გვირილით შემკობას, პოეტი ქალი რომ ყოფილიყო ლექსი სხვანაირი შინაარსის მატარებელი იქნებოდა.

მარიკა ბარათაშვილის ლექსზე „ეს გაზაფხული“ გოგონა წერს, რომ არის ქალის დაწერილი, იმიტომ რომ „ასეთი სულიერი სინაზე მოდის ქალისაგან“, მაგალითად: „ასტრებს აღარ ანაზებს, ან „ო, ღმერთო“, ასეთი გამოთქმები ქალებისთვისაა დამახასიათებელი.

შოთა ხიდაშელის ლექსზე „ზაფხული“ ბიჭი მოსწავლე აღნიშნავს, რომ არის ქალის მიერ დაწერილი, რადგან ლექსის დასკვნით ნაწილში დაუკმაყოფილებელ ვნებათაგან მთლიანად დაუცველი მდედრის იდუმალი ხმა გამოსჴვივის, მისი აზრით, ის, რაც მოხდა, მეორე მხრიდან უფრო ვალის მოხდას ჰგავს და ვალმოხდილის - მამრის თვითკმაყოფილება სულაც არ არის იდენტური მდედრის განწყობისა.

ანდრო ბუაჩიძის ლექს „გამოღვიძების“ შესახებ მამრობითი სქესის წარმომადგენელი აღნიშნავს, რომ ქალის დაწერილია, რადგან მასში ისეთი ფანტაზია და სიტყვებია ჩაქსოვილი, რომელიც ქალს უნდა დაეწერა.

ლექსზე „ატირდა ქარი“ (მზია კვირიტიძის ავტორობით) ქალი წერს, რომ არის მანდილოსანის დაწერილი, რადგან ასეთ ნაზ, თბილ და სათნო სიტყვებს უფრო მანდილოსნები იყენებენ და ამ გრძნობით სიყვარულს გამოხატავენ. მაგალითად: „მოსწყდა ფიქრით ცრემლები“, „სავსე გრძნობით და ნაზი ვნებებით“ და სხვა.


ვახტანგ ხარჩილავას ლექსზე „ეს იყო ღამის და მთვარის ბრალი“- მანდილოსანი აღნიშნავს, რომ არის კაცის დაწერილი, რადგან ქალი ყოველთვის

ღირსია მშვენიერების, სიყვარულისა და თაყვანისცემისა, რომელიც მამაკაცმა უნდა გამოიჩინოს მის მიმართ.

ზურაბ ნარმანიას ლექსზე „გაიხარე სულო ჩემო“ მამაკაცი წერს, რომ ქალის მიერ არის დაწერილი, რადგან ეს სიტყვები ქალის სიტყვებს ჰგავს.

ამდენად, ჩვენ აღვნიშნეთ, რომ ქალების მეტყველება გამოირჩევა ემოციურობით, შორისდებულებისა და ნაწილაკების ხშირი გამოყენებით, სინაზით, სითბოთი და სიყვარულით აღსავსე სიტყვებით, ხოლო მამაკაცის მეტყველება აგრესიულობით, ნეიტრალურობით, მკაცრი ტონით, ნაკლები ემოციურობითა და სერიოზულობით ხასიათდება.

აქედან გამომდინარე, გთავაზობთ ქალი და მამაკაცი მწერლების ჩვენეული ექსპერიმენტიდან მიღებული ლექსიკური ერთეულების კლასიფიკაციას:



ჩატარებული ექსპერიმენტის მონაცემები გვაძლევს უფლებას დავასკვნათ, რომ ქართველი ახალგაზრდა თაობის გენდერული სტერეოტიპები ხასიათდება შემდეგი სპეციფიკით:

1) ქალების მეტყველება გამოირჩევა ემოციურობით (სინაზით, სითბოთი, სიყვარულით), რაც გამოიხატება შესაბამისი ლექსიკით, ინტონაციური სიმდიდრით, შორისდებულებისა და ნაწილაკების ხშირი გამოყენებით;

2) მამაკაცის მეტყველება ხასიათდება ნეიტრალურობით, მკაცრი ტონით, ნაკლები ემოციურობითა და სერიოზულობით, და შესაძლოა, აგრესიულიც კი გახდეს.

ამავდროულად აღსანიშნია, რომ აქ არ არსებობს რაიმე მკაცრი შეზღუდვა.

რაც შეეხება პოეტური სტრიქონების ავტორების გენდერის არასწორ დაზუსტებას, ეს, ჩვენი აზრით, გარკვეული ფაქტორებით არის განპირობებული:

- 1) პირველ რიგში, აღსანიშნავია, რომ გენდერული პრიორიტეტები ენობრივი ერთეულებისა და სამეტყველო ფორმების არჩევის დროს არ არიან მკაცრი და საყოველთაოდ სავალდებულო, ისინი, გარკვეულწილად, ამორფულია და მოძრავი;
- 2) მეორედ კი, ექსპერიმენტის დროს გამოყენებული ლირიკული ნაწარმოებები განსაკუთრებულ სფეროს წარმოადგენს, როდესაც შეყვარებული მამაკაცი კი ემოციებს უხვად გამოხატავს.

ჩვენი აზრით, ჩატარებული ექსპერიმენტის მნიშვნელოვანი შედეგია თვით გენდერული სტერეოტიპების არსებობის დადასტურება.

ამრიგად, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ მამაკაცების მეტყველება გამოირჩევა ნეოლოგიზმებითა და ახალი ტერმინებით, ქალების მეტყველება კი უფრო ნეიტრალურია და მათს საუბარში ხშირად გამოიყენება გაცვეთილი სიტყვები თუ ფრაზები, თუმცა დღესდღეობით შეიცვალა ტრადიციული ქალისა და მამაკაცის როლების სტრუქტურა. თანამედროვე ქალი არის ჭკვიანი და დამოუკიდებელი, რომელთა მიმართ მამაკაცების პოზიტიური დამოკიდებულება შეიძლება ნეგატიურად აღმოჩნდეს, რადგან ეს ნეგატივი შეიძლება იყოს ის სირთულეები, რომელთა გადალახვაც მოუწევს მამაკაცს თანამედროვე წარმატებულ ქალთან კომუნიკაციის დამყარებისას.

2.2. გენდერული ნიშნით განსაზღვრული მეტყველების მთარგმნელობითი

სტრატეგიები

გენდერის თემატიკა ლინგვისტიკაში მრავალფეროვანია. მის ერთ-ერთ მნიშვნელოვან, მაგრამ ნაკლებად შესწავლილ ასპექტს წარმოადგენს გენდერის ფაქტორის გავლენა კომუნიკაციის წარმატებულობა/წარუმატებლობაზე და მისი შესწავლა თარგმანის ასპექტში; თუ რამდენად ითვალისწინებს მთარგმნელი გენდერულ ფაქტორს თარგმნისას.

ო. ბურუკინას მოსაზრებით, დღესდღეობით გენდერი არ წარმოადგენს სქესის პრიმიტიულ კატეგორიას, არამედ საბაზისო ასოციაციის კომპლექსს, რომელიც შემოქმედებით პროცესში ორიგინალი ტექსტის ასოციაციასთან სინთეზში სტიმულირდება; თუმცა მკვლევარი აღნიშნავს, რომ თარგმანის თეორიაში გენდერულ ასპექტს ექცევა ნაკლები ყურადღება, რაც სამწუხაროა, ვინაიდან აღნიშნული საკითხის გათვალისწინება ბევრ პრაქტიკოს მთარგმნელს დაეხმარებოდა მთელი რიგი შეცდომის თავიდან აცილებაში.

კვლევის გენდერულ ასპექტებს მთარგმნელობით სფეროში აქვს ორი მიმართულება: პირველი ეხება ენის გენდერული თავისებურებების იდენტიფიკაციასა და შენარჩუნებას თარგმანში, ხოლო მეორე მიმართულება ორიენტირებულია მთარგმნელის მიერ გენდერული განსხვავებების იდენტიფიკაციასა და მოცემული განსხვავების შენარჩუნებაზე ადეკვატური თარგმანის განხორციელებისას. ასე, მაგალითად, ო. ა. ბურუკინა პირველი მიმართულებით განიხილავს ცნობილი ბრიტანელი მწერლის - ბ. კარტლენდის რომანების რამდენიმე თარგმანს. ის აღნიშნავს, რომ თარგმანის პროცესი გახლავთ ძიება, რომელიც დაკავშირებულია შესაძლო ვარიანტების არჩევასთან. ასევე ითვალისწინებს მომავალი მკითხველის ლინგვისტურ და კოგნიტურ ცოდნას, რომელიც ასახავს მათი კულტურის თავისებურებას. „გენდერული ფაქტორის შეუფასებლობას თარგმანისა შეიძლება ჰქონდეს არასასიამოვნო შედეგები, რომლებიც თავს იჩენენ სათარგმნი ტექსტის ადრესატის ანუ მკითხველის ენისა და კულტურის გაუთვალისწინებლობისას“ (Бурукина, 1999: 25).

ნებისმიერ ორიგინალურ ნაშრომში გენდერულ ფაქტორს ხშირად აქვს უდიდესი ღირებულება. ის განსხვავებულია სხვადასხვა კულტურაში. თარგმანი არის კულტურათაშორისი კომუნიკაციის მნიშვნელოვანი საშუალება, ამიტომ მთარგმნელი არა მარტო ენობრივ ერთეულებს თარგმნის, არამედ კულტურულ კონოტაციებსა და ქვეტექსტს. მან უნდა გადმოსცეს ახალი რეციპიენტისთვის ორიგინალში ჩაქსოვილი გენდერული ნიუანსებით გამოხატული კულტურული ინფორმაცია.

თარგმანის ტექსტი არის „ბიკულტურული“. გარკვეულწილად, თარგმანი ადაპტაციას გადის კულტურულ რეციპიენტებთან, ის ბოლომდე ვერ ფარავს ორიგინალი ტექსტის კულტურულ თავისებურებებს. სწორედ ამიტომ მთარგმნელს უწევს კომპრომისზე წასვლა. გენდერული ფაქტორის გაუთვალისწინებლობამ თარგმნისას შეიძლება გამოიწვიოს მიუღებელი შედეგი, როგორცაა მოცემული ენის კულტურული თავისებურებების თარგმნაზე უარის თქმა, რაც მიუღებელია ამ ენისა და კულტურის მატარებელთათვის.

თარგმანის გენდერული თავისებურებანი ჯერ კიდევ ნაკლებად შესწავლილი საკითხია, ამიტომაც მისი შესწავლა ძალიან აქტუალურია. ნებისმიერი მთარგმნელი, ყველაზე ნიჭიერი და გამოცდილიც კი, აღმოჩნდება სირთულეების წინაშე, რადგანაც მას უხდება ტექსტის გადატანა სხვა კულტურულ გარემოში სხვა ფონური ცოდნის გამოყენებით. მთარგმნელს უხდება ორიგინალი ტექსტის სტილის შენარჩუნებაც, ისე რომ არ დაიკარგოს წყარო ტექსტის სტილი. როგორც ტ. კაზაკოვა აღნიშნავს, მთარგმნელი გვევლინება კულტურათშორისი კომუნიკაციის პროცესის ძირითად რგოლად, რომელიც „ქმნის საკუთარი ორიგინალური აზრის კონტინუუმის მოდელს, რომლის ღირებულება დამოკიდებულია ბევრ სხვა ფაქტორებზე, როგორებიცაა: მთარგმნელის ინფორმირებულობის ხარისხი, ორიგინალი ტექსტის ავტორსა და მთარგმნელს შორის მანძილი, ასევე მთარგმნელის აზროვნება“ (Kazakova, 2001).

ზოგადად, თეორიული მასალების განხილვის შედეგად გამოვლინდა, რომ ტერმინ „გენდერის“ მნიშვნელობა არასრულად გაიგება, რაც ზოგჯერ იწვევს ტერმინოლოგიურ გაურკვევლობას. ზოგიერთი მეცნიერისთვის აღნიშნული პრობლემა გახლავთ წმინდა გრამატიკული მოვლენა, სხვების აზრით, ბიოლოგიური ან სოციალური, თუმცა კვლევების თანახმად, სოციალური და გრამატიკული განსხვავებები უდევს საფუძვლად გენდერულ გაგებას, რაც განსხვავებულად იჩენს თავს თარგმანში. აქედან გამომდინარე, მართებულია ის გარემოება, რომ გენდერული ლინგვისტიკა განიხილება, როგორც მრავალი ასპექტის მქონე მოვლენა თარგმანმცოდნეობაში.

თანამედროვე ენათმეცნიერებაში გენდერული კვლევები ხასიათდება სამი ძირითადი მიდგომით: პირველი მიდგომა გულისხმობს ქალისა და მამაკაცის

სოციალური ბუნების ინტერპრეტაციას და მიზნად ისახავს იმ ენობრივი განსხვავებების თავისებურებების გამოვლენას, რომლებიც შესაძლოა თავისებურად გადანაწილდეს საზოგადოებრივი მდგომარეობით. მეორე, სოციოფსიქოლინგვისტური მიდგომა, მეცნიერულად ამცირებს ქალისა და მამაკაცის სამეტყველო ქცევის მახასიათებლებს. მეცნიერები მუშაობენ აღნიშნული მიმართულებით, რომ განსაზღვრონ სტატისტიკური მაჩვენებლების პარამეტრები, რომლებსაც აქვთ ფუნდამენტური მნიშვნელობა ქალისა და მამაკაცის სამეტყველო ქცევის ფსიქოლინგვისტური თეორიების წარმოსადგენად. მესამე მიმართულების მიმდევრები ზოგადად აღნიშნავენ სქესის სამეტყველო ქცევის ენობრივი ბარიერის კოგნიტურ ასპექტებს. მათთვის მნიშვნელოვანია არა მხოლოდ ენობრივი განსხვავებების განსაზღვრის სიხშირე, არამედ ენობრივი კატეგორიის კოგნიტურ ბაზებზე დაყრდნობით კომპლექსური ლინგვისტური მოდელების შექმნა.

თანამედროვე მეცნიერულ პარადიგმაში სამივე მიდგომა განიხილება, როგორც ერთი მთლიანი. ენათმეცნიერი ა. კირილინა ატარებს რა ლინგვისტური გენდეროლოგიის უფრო დეტალურ და სისტემურ ანალიზს, განსაზღვრავს ექვს ძირითად მიმართულებას, რომლებიც დიფერენცირდება კონცეპტუალურად, შესწავლის ობიექტის ხასიათისა და მეთოდოლოგიის მიხედვით. ეს მიმართულებებია:

1. სოციოგენდერული ლინგვისტიკის მიმართულება;
2. ფემინისტური ლინგვისტიკა;
3. აქტუალური გენდერული კვლევები, რომლებიც სწავლობს ორივე სქესის ლინგვისტური ქცევის თავისებურებას;
4. მასკულინური სქესის კვლევა;
5. ფსიქოლინგვისტური კვლევები;
6. კროსკულტურული, ლინგვოკულტუროლოგიური კვლევები, რომლებიც ჩართულია გენდერული სუბკულტურის ჰიპოთეზაში (Кирилина, 1999:180).

საინტერესოა გენდერის ფაქტორის გავლენა კომუნიკაციის წარმატებულობა-წარუმატებლობაზე და მისი შესწავლა თარგმნის ასპექტში: რამდენად ითვალისწინებს მთარგმნელი გენდერულ ფაქტორს თარგმნისას.

ნებისმიერი ორიგინალური ნაშრომი, როგორც ო.ა. ბურუკინა აღნიშნავს, „ენის მატარებელთა მიერ აღიქმება, როგორც მშობლიური ტექსტი. ასეთ შემთხვევაში გენდერულ ფაქტორს ხშირად აქვს უფრო მეტი ღირებულება, ვიდრე სხვა სტილისტიკურ-გრამატიკულ ასპექტებს. თარგმანი არის კულტურათაშორისი კავშირების ძალიან მნიშვნელოვანი საშუალება, იმიტომ რომ იგი ხდება შუამავალი ერთი ენის//კულტურის მატარებლებსა და მეორე ენის//კულტურის მატარებლებს შორის. ენა, როგორც მსოფლმხედველობის გადაცემის საშუალება, დიდ როლს თამაშობს სხვა კულტურის წარმომადგენლებისთვის; ეს ძალიან მნიშვნელოვანია. ეს ხედავს მსოფლიოში კულტურული თვალსაზრისით, არის უნიკალური და მისი გადაცემა უცხოურ ენაზე ხშირად სირთულეს წარმოადგენს. სწორედ ასეთ შემთხვევაში თარგმანი შეიძლება შეფასდეს, როგორც პროცესი „უსასრულო სიახლოვის“ და „უსასრულო ფარდობითობის თეორიის შესახებ,“ რადგან არ არსებობს ერთმნიშვნელოვანი პასუხი იმის თაობაზე, თუ როგორ გამოიხატება რეალური ქმედების ნიშნები სხვადასხვა ენაზე“ (Бурукина, 2000:99-107).

ო. ბ. მოისოვა თვლის, რომ შეიძლება ვისაუბროთ მთარგმნელთა გენდერული ენის მსოფლიო სურათის შესახებ, რომელიც მოიცავს გენდერული ურთიერთობებისა და იდეების მრავალფეროვან ინტერპრეტაციას. იგი განიხილება, როგორც ღირებულებების, დამოკიდებულებების, იდეალების სტრუქტურირებული კომპლექტი, რომელშიც გამოხატულია სქესის სოციალური დიფერენციაცია, სპეციფიკა, რომელიც განისაზღვრება ტექსტის ავტორისა და მისი მთარგმნელ-თარჯიმანის გენდერული სამყაროს სურათის ანტიპოდი“ (Мойсова, 2009:20).

თარგმანი ხასიათდება, როგორც „ბიპოლარულობა,“ სადაც მთარგმნელი აღმოჩნდება ხოლმე ორ ენასა და კულტურას შორის გადაწყვეტილების მიმღები. თარგმანის ტექსტი არის „ბიკულტურული“. გარკვეულწილად, თარგმანი ადაპტაციას გადის კულტურულ რეცეპტორებთან, ის ბოლომდე სრულად ვერ ფარავს ორიგინალი ტექსტის კულტურის თავისებურებებს. წინააღმდეგ შემთხვევაში არსებობს ინგლისური ტექსტის გაქართულების საშიშროება, ან პირიქით. სწორედ ამიტომ მთარგმნელს უწევს კომპრომისზე წასვლა. გენდერული ფაქტორის გაუთვალისწინებლობამ თარგმნისას შეიძლება გამოიწვიოს მოცემული ენის

კულტურული თავისებურებების თარგმნაზე უარის თქმა, რაც მიუღებელია ამ ენისა და კულტურის მატარებელთათვის, თუმცა ნებისმიერი ორიგინალი ნაწარმოები აღიქმება, როგორც ენის მატარებლების მიერ დაკვირვების საგანი, სადაც გენდერული ფაქტორის გათვალისწინება გაცილებით უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე სხვა სტილისტიკურ-გრამატიკული ასპექტები. საჭიროებიდან გამომდინარე, თარგმანის ენის გენდერულ-კულტურული თავისებურებები ართულებს მთარგმნელის არც თუ ისე იოლ დავალებას; ის აიძულებს მთარგმნელს, მოძებნოს გამოსავალი რთული სიტუაციიდან, გაარღვიოს დაბრკოლებები, სრულად ასახოს ორიგინალ ტექსტში არსებული ფაქტები, იმის სურვილით, რომ შექმნას თარგმანის სრულყოფილი ვარიანტი მშობლიურ ენაზე. ასეთ სიტუაციაში მთარგმნელი მიმართავს ტრანსფორმაციების გამოყენებას.

ლიტერატურული თარგმანის თეორიული მასალების შესწავლამ განავითარა ლიტერატურული კვლევების სფერო. ახალი მიდგომები სცილდება ტრადიციულ ესენციალისტურ მიდგომებს, რომელსაც მეცნიერი ა. ლეფვერი (Lefevere, 1988:173) უწოდებს კორპუსულ მიდგომას. აღნიშნული ეფუძნება ლიტერატურაში რომანტიკულ აზროვნებას. ამ ცნებას ავტორი ხედავს, როგორც მოჩვენებით-ღვთაებრივ „შემოქმედს“, რომელმაც შექმნა „გენიოსი“. იგი ითვლება შემოქმედების საწყისად, რომელიც არის ორიგინალური, უნიკალური, ორგანული, ტრანსცენდენტული და, შესაბამისად, წმინდა. თარგმანი არის უნიკალური ერთეულის უბრალო ასლი, რომელიც ხაზს უსვამს იმას, რომ ასლის შექმნა შეუძლებელია. თარგმანის ტრადიციული პრობლემების განხილვა მოიცავს არა მხოლოდ ლექსიკურ, სინტაქსურსა და კონცეპტურ პრობლემებს, არამედ ისეთ მახასიათებლებს, როგორებიცაა: სტილი, ჟანრი, მხატვრული ენა, ისტორიულ - სტილისტიკური ზომები, დენოტაციები, კონოტაციები, ასევე კულტურული ელემენტები და კულტურის სპეციფიკური კონცეფციები და ღირებულებები.

თარგმნისას ქალისა და მამაკაცის ენა დიდ მნიშვნელობას იძენს. ინგლისური, რუსული და სხვა ენებიდან თარგმნისას აშკარად ვლინდება სქესის კატეგორია.

ამდენად, გენდერული ასპექტების შესწავლა გახლავთ ერთ-ერთი მთავარი საკითხი თანამედროვე ლინგვისტურ, მთარგმნელობით, სოციოლოგიურ და

კულტუროლოგიურ კვლევებში. შეიძლება დავასკვნათ, რომ მთარგმნელობითი კომპეტენციის ფორმირების ჩარჩოებში მხატვრული თარგმანის შესწავლისას გენდერულ ასპექტებს მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს.

მხატვრული ლიტერატურის თარგმანის განვითარება ინტენსიურად ეჯახება ურთიერთსაპირისპირო პრინციპებს, როგორებიცაა: ტექსტის ერთგულება და თავისუფალი თარგმნა, ორიგინალთან მიახლოებული და თავისუფალი თარგმანი, ზოგჯერ, პირიქით, ორიგინალთან საკმაოდ დაშორებული თარგმანიც კი. გენდეროლოგია ეხება ენის სტრუქტურას, რომელიც აღიარებს ენის მნიშვნელოვან როლს სქესის კულტურულ რეპრეზენტაციაში. ენათმეცნიერებაში გენდერული საკითხები მოიცავს სხვადასხვა საკითხის ფართო სპექტრს, რომელიც ითვალისწინებს მამრობითი ან მდედრობითი სქესის თვითმყოფადობის კონსტრუირებას, როგორც მოლაპარაკე პიროვნების ერთ-ერთ პარამეტრს. ეს მიდგომა ასევე მოიცავს გენდერული ურთიერთობების ასახვის შესწავლას ლინგვისტიკის სხვა დარგებში, როგორებიცაა: კოგნიტური ლინგვისტიკა, სოციოლინგვისტიკა, ფსიქოლინგვისტიკა და სხვა (Виноградова, 2005:18).

თანამედროვე სამეცნიერო ლიტერატურაში არსებობს მთელი რიგი სამუშაოები, რომლებიც განიხილება, როგორც გენდერული ოპოზიციების ლინგვისტური მეთოდების მარკირება, მათ შორის ყურადღება გამახვილდა ენის გრამატიკასა და ლექსიკაზე. ვ. კომისაროვის აზრით, „გრამატიკულად მარკირებული საშუალებების მნიშვნელობებს შორის „მამრობითი“ და „მდედრობითი“ სქესის კატეგორიებს გენდერის პირობითი მნიშვნელობა ენიჭება. აღნიშნულის თანახმად, ლინგვისტურ კვლევებში, პირველ რიგში, კვლევის ობიექტად ვლინდება სქესის გრამატიკული კატეგორიის თანაფარდობა ბიოლოგიურ სქესთან, რომელიც ფიქსირდება ლექსიკური მნიშვნელობის მქონე ერთეულებში და გამოხატავს ადამიანის ბიოლოგიურ პარამეტრებს. სიტყვის ლექსიკური მნიშვნელობა გრამატიკულ მნიშვნელობასთან ერთად და დამოუკიდებლად შეიძლება გახდეს გენდერის კულტურული ინტერპრეტაციის მნიშვნელობის გამოსახატავი ენობრივი საშუალება. ამდენად, ენის ლექსიკური და გრამატიკული საფუძველი წარმოადგენს

გენდერული ურთიერთობების შესწავლის მნიშვნელოვან საგანს“ (Комиссарова, 2004:213).

მკვლევარები: ვ. კომისაროვა და ა. ვანდიშევა საუბრობენ „სამყაროს გენდერული ხატის“ შესახებ, რომელიც მოიცავს გენდერული ურთიერთობებისა და წარმოდგენების მრავალფეროვნებას. „სამყაროს გენდერული ენობრივი ხატი“ არის სამყაროს გენდერული სურათის ვერბალური ფორმა, მისი გამოხატვის სიღრმისეული საშუალება, სამყაროს შესახებ ცოდნისა და წარმოდგენების ერთობლიობა. იგი დამკვიდრებულია გენდერული სტერეოტიპების სახით. ისინი გასაგებია მსოფლიოს ხალხთა უმრავლესობისთვის. მისი რეპრეზენტაცია უნივერსალური გენდერული სტერეოტიპების ენაში არ წარმოადგენს რთულ პრობლემას ენათშორისი ურთიერთობის დროს. ეროვნულ-სპეციფიკური (ეთნიკური) გენდერული სტერეოტიპები ქმნიან ეთნოკულტურული გენდერულ-ენობრივი სამყაროს სურათის ბაზას. ასეთი გენდერული სტერეოტიპებისა და მათი კომპონენტების თარგმნა ქმნის ენათშორისი ურთიერთობის პრობლემებს. გენდერული სტერეოტიპების წარმოქმნა და ფორმირება აიხსნება „მამრობითი“ და „მდედრობითი“ სოციალურ როლებს შორის განსხვავებების გამო“ (Вандышева, 2007:25).

ქალისა და მამაკაცის სამეტყველო მენტალობის თავისებურებების შესწავლა გენდერული ენობრივი სამყაროს ხატში საშუალებას გვაძლევს, ვივარაუდოთ, რომ მამრობითი და მდედრობითი სქესის მეტყველებას შორის, როგორც წერითს, ისე ზეპირ მეტყველებაში, არსებობს არსებითი განსხვავება, რაც დამოკიდებულია მთელ რიგ ფაქტორებსა და გამომწვევ მიზეზებზე. კომუნიკაციის შემდგომმა შესწავლამ გვაჩვენა, რომ უნდა გავითვალისწინოთ „გენდერული ნეიტრალიტეტის“ ფაქტორი.

მოცემულ პრობლემასთან დაკავშირებით სხვადასხვა ლიტერატურის ანალიზის შედეგების შესწავლის საფუძველზე მეცნიერი ა. ვანდიშევა აღნიშნავს, რომ „ბოლოდროინდელი კვლევები მიუთითებენ კომუნიკაციის ენობრივი საშუალებების არჩევის განსხვავებული ფაქტორების კომპლექსურ გამოვლენაზე. ხშირად აღნიშნული მნიშვნელოვან როლს თამაშობს არა მხოლოდ გენდერულ ფაქტორზე, არამედ კომუნიკაციურ სიტუაციაზე, სოციალურ და პროფესიულ

სტატუსზე, ასაკობრივ ხასიათზე, ასევე ეთნიკურ კომუნიკანტებზე“ (Вандышева, 2007:25).

ი. დენისოვა გენდერს განიხილავს, როგორც მხატვრული ნაწარმოებისა და თარგმანის სტრუქტურულ ელემენტს, რომელიც გავლენას ახდენს მხატვრული ნაწარმოების სიუჟეტების გამოხატვაზე. ავტორის აზრით, გენდერული კომპონენტების არასათანადო შეფასებას თარგმნისას მივყავართ პრაგმატიკულ შეცდომებამდე, რომლებიც ყველაზე მნიშვნელოვანია მხატვრულ ლიტერატურაში (Денисова, 2011:42-47).

ლ. კეროლის მოთხრობის -„ალისა საოცრებათა ქვეყანაში“ ანალიზი (L.Carroll „Alice’s adventures in Wonderland“, 1864) ადასტურებს იმ ფაქტს, რომ გმირების სახელების გენდერული ასპექტებისადმი უყურადღებობამ შეიძლება გავლენა მოახდინოს პერსონაჟების ხასიათისა და თვისებების არასწორად აღქმაზე. თავის სტატიაში ი.ვ. დენისოვს მოჰყავს გენდერული ცვლილებების საინტერესო მაგალითები მამრობითი სქესის ოთხი პერსონაჟის სახელების თარგმნისას: თავგი Mouse (Мышь), მუხლუხა Caterpillar (Гусеница), ძილისგუდა Dormouse (Соня), კუ Mock Turtle (Черепаха).

ო. ა. ბურუკინას მოსაზრებით, „სათარგმნი ტექსტის არასწორმა თარგმნამ და თარგმნისას კულტურული საკითხების გაუთვალისწინებლობამ შეიძლება არასასიამოვნო გავლენა მოახდინოს ამ ენის მატარებლებზე“ (Бурукина, 2000).

ავტორი ყურადღებას ამახვილებს მთარგმნელების შეცდომებზე, რომლებსაც უშვებენ სათარგმნი ენის მეტაფორის შენარჩუნებისას, მათ რიგ შეთხვევებში შეიძლება ჰქონდეთ გენდერული მარკერები. მაგალითად, რომანში „სინათლის სხივი“ („A Shaft of Sunlight“) იყენებს პოეტურ შედარებას, ძალიან გავრცელებულს ინგლისურენოვან კულტურაში: „... *her eyes were the transparent blue of a thrush’s eggs*“ რუსი მთარგმნელი შეეცადა, შეენარჩუნებინა მოცემული მეტაფორა და ორიგინალი ტექსტის სრული ხიბლი, სრულიად უცხო რუსული ენის კულტურისათვის. ამ მოცემულ კონკრეტულ სიტუაციაში არაფრით არ გამოიხატება გენდერული ასპექტის მნიშვნელობა. უფრო მეტიც, ვიღებთ აბსურდულ შედარებას: „... *голубизна глаз, сравнимая лишь с нежнейшей голубиной яиц дрозда*“ („...მისი თვალები ისეთივე

გამჭვირვალე იყო, როგორც შაშვის ნაზი ცისფერი კვერცხები“). ქართულ ენაში ადამიანის თვალეში შეიძლება შევადაროთ კატისას (კატის თვალეში ემშაკურად უციმციმებდა, კატისებრ მოელვარე მყიფე თვალეში, ნალვერდლებივით მოელვარე, სუფთა და წმინდა ზღვისფერი თვალეში, ან უბრალოდ გამჭვირვალე ცისფერი თვალეში, დიდრონი ცისფერი თვალეში (კორპუსული ლინგვისტიკა <http://corpora.iliauni.edu.ge/?q=ka/search-words&page=2>).

ზოგიერთ კვლევაში მთარგმნელის გენდერული პრობლემა განიხილება მთარგმნელის პიროვნებაში, რომელიც გავლენას ახდენს მათ მიერ განხორციელებულ მთარგმნელობით საქმიანობაზე.

მთარგმნელი ასრულებს მედიატორის როლს ორ კულტურას შორის. ეს განსხვავებულად აისახება ორიგინალსა და სათარგმნ ტექსტებში სხვადასხვა მთარგმნელობითი ტრანსფორმაციის გამოყენებით.

ერთ-ერთი რუსი მეცნიერის, ი. ნ. რემხეს მოსაზრებით, „მთარგმნელი ასრულებს ინტერპრეტატორის როლს, რომელიც ავლენს თავის კოგნიტურ სტრატეგიებს, განსაკუთრებით თავისი კოგნიტური ბაზების ფორმირებას. აგრეთვე მისი გონების სტრუქტურულსა და ფუნქციურ-კოგნიტურ მექანიზმებს“ (Ремхе, 2011:262-264).

ზოგადად შეიძლება ითქვას, რომ ტერმინ **გენდერის** მნიშვნელობის არასრული გაგება ზოგჯერ იწვევს ტერმინოლოგიურ გაურკვევლობას. ზოგიერთი მეცნიერისთვის აღნიშნული პრობლემა გახლავთ წმინდა გრამატიკული მოვლენა, სხვების აზრით, ბიოლოგიური ან სოციალური. კვლევების თანახმად, გენდერულ გაგებას საფუძვლად უდევს სოციალური და გრამატიკული განსხვავებები, რომლებიც განსხვავებულად იჩენს თავს თარგმანში. აქედან გამომდინარე, გენდერული ლინგვისტიკა მრავალმხრივი მოვლენაა თარგმანმცოდნეობაში.

„თარგმანის ფენომენის საიდუმლო ენისა და აზროვნების ურთიერთობაშია საძიებელი. რომ არ არსებობდეს ენისა და აზროვნების დიალექტიკური ერთიანობა, ენას რომ არ გააჩნდეს უნარი, გარდასახოს ყოველი აზრი, თარგმანი ვერ იარსებებდა“, - წერს დალი ფანჯიკიძე (ფანჯიკიძე, 1988:5).

მისივე აზრით, თარგმანი არ არის მონოლითური, იგი ამბივალენტურია თავისი ბუნებით. „თარგმანში ერთმანეთს ერწყმის ორი სხვადასხვა კულტურა. ამასთან, იგი გვევლინება, როგორც ორი სხვადასხვა ინდივიდის შემოქმედებითი ენერჯის, სხვადასხვა ენის ბაზაზე გამომჟღავნების შედეგი“ (იქვე).

მხატვრული ლიტერატურის თარგმნისას ურთიერთს უპირისპირდება შემდეგი პრინციპები: „სათარგმნი ტექსტის ერთგულება და თავისუფლება, ორიგინალთნ მიახლოება, ბუნებრიობის შენაჩუნება და ზოგჯერ პირიქით, დაშორებაც კი, თუმცა მკითხველი განიხილავს ორივეს, როგორც ორიგინალ, ისე თარგმნილ ლიტერატურას“ (Ananiashvili, 1992: 396).

მხატვრული თარგმანის შესწავლისას მნიშვნელოვანია, მომავალმა მთარგმნელებმა ორიენტაცია გააკეთონ არა მხოლოდ ინფორმაციაზე, რომელიც წარმოდგენილია მოცემულ ტექსტში, არამედ გამოიყენონ თავიანთი გამოცდილება, ცოდნა, მათში განვითარებული ცხოვრებისეული ასოციაციები, შეხედულებები და მოსაზრებები.

ცნება „გენდერი“ უკვე დიდი ხანია გასცდა გრამატიკის ჩარჩოებს. ის განიხილება, როგორც სოციალურ-კულტურული და დისკურსული ფსიქოლინგვისტური მოვლენა. „დღესდღეობით გენდერი ეს არ არის უბრალოდ სქესის კატეგორია, არამედ ბაზისური ასოციაციების კომპლექსი, რომელიც ასოციაციების ორიგინალთან სინთეზში შემოქმედებით პროცესს ასტიმულირებს“ (Кирилина, 1999:180, Кирилина, 2000: 47-80).

თარგმანის თეორიაში გენდერის ცნებას ძალიან მცირე ყურადღება ეთმობოდა. მიაჩნიათ, რომ „ზოგადი თარგმანის თეორიაში გენდერული საკითხების უგულებელყოფა შეიძლება შესამჩნევი არ იყოს, მაგრამ კერძო თარგმანის თეორიაში მათი უგულებელყოფა უბრალოდ დაუშვებელია“ (Бурукина, 2000:99-107).

თარგმანი შეიძლება დავახასიათოთ, როგორც ორი პოლარული სივრცე, რადგანაც მთარგმნელს გადაწყვეტილების მიღება ყოველთვის უხდება ორი ენისა და კულტურის პოლუსებს შორის. თარგმანის ტექსტი კი არის „ბიკულტურული“. გარკვეულწილად ადაპტაციების გამოყენება რეციპიენტის კულტურის გავლით მაინც ვერ გაარღვევს ორიგინალი ტექსტის კულტურულ თავისებურებებს.

წინააღმდეგ შემთხვევაში თარგმნისას თავს იჩენს ინგლისური ან რუსული ტექსტების გაქართულების საშიშროება, ამიტომ მთარგმნელი ხშირად მიდის კომპრომისებზე. თარგმნა ეს არის ძიება, რომელიც დაკავშირებულია შესაძლო ვარიანტების არჩევანთან. აღნიშნული არჩევანის განსახორციელებლად მთარგმნელი მუდმივად იყენებს საკუთარ ლინგვისტურსა და კოგნიტურ ცოდნას, გარდა ამისა, იგი ითვალისწინებს მომავალი მკითხველის ლინგვისტურსა და კოგნიტურ ცოდნასაც, რომელიც ასახავს მათი კულტურის თავისებურებებს. თარგმნისას გენდერული ფაქტორის გაუთვალისწინებლობით შეიძლება მივიღოთ უსიამოვნო შედეგი, ამიტომ სანამ გენდერის ფაქტორის გამოყენებაზე უარს ვიტყვით, უნდა გავითვალისწინოთ თარგმანის ენის კულტურული თავისებურებები, რომლებიც მისაღებია მოცემული ენის მატარებელთათვის. ერთადერთ მისაღებ „უნაკლო“ თარგმანად შეიძლება ჩაითვალოს

- თარგმანი, რომელშიც მთარგმნელი არის თანაავტორი და შეიძლება გამოხატოს საკუთარი თავი თარგმანში;
- რომელიც არ უგულებელყოფს კონტექსტს (ფართო გაგებით, ითვალისწინებს სათარგმნი ენის გენდერულ და კულტუროლოგიურ თავისებურებებს);
- რომელსაც აქვს შესაძლებლობა გახდეს ორიგინალი ენობრივ, მხატვრულსა და კულტურულ საფუძველზე (Федоров, 1983:303).

თუმცა ნებისმიერი ორიგინალური ნაწარმოები აღიქმება ორიგინალად, მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ იგი შეესაბამება ამ ენაში არსებულ ყველა მის კანონს, მათ შორის გათვალისწინებულია გენდერული ფაქტორიც, რომელსაც ხშირად აქვს მეტი ღირებულება, ვიდრე ბევრ სტილისტიკური და გრამატიკული ასპექტის გამოყენებას. თარგმანის ენის გენდერულ-კულტუროლოგიური თავისებურებების დაცვის აუცილებლობა ართულებს მთარგმნელის ისედაც რთულ ამოცანას, აიძულებს მას იპოვოს გამოსავალი ურთულესი სიტუაციიდან, ორიგინალის ტექსტში არსებული ფაქტურა სრულად აღიქვას და შექმნას კარგი თარგმანი მშობლიურ ენაზე. ასეთ შემთხვევაში მთარგმნელი იყენებს ტრანსფორმაციებს.

უფრო ნათლად რომ გვეჩვენებინა გენდერული განსხვავება თარგმნისას, ავიღეთ შოტლანდიელი მწერლის - რობერტ ბერნსის ლექსი „ჯონ ანდერსონ“ („John

Anderson, My Jo“) და განვიხილეთ აღნიშნული მისი თარგმანები (მთარგმნელები მურმან ლებანიძე და თამარ ერისთავი). თარგმნილი ვერსიების წაკითხვისას ძნელი გასაგები არ არის, თუ რომელი ვარიანტია ქალის და რომელი მამაკაცის მიერ თარგმნილი.

ლექსის თარგმნილი ვარიანტების განხილვამდე ჯერ შემოგთავაზებთ თვით ორიგინალს, რომელშიც შეტანილია შოტლანდიური ენის ელემენტებიც.

John Anderson, my jo, John,
When we were first acquent;
Your locks were like the raven,
Your bonie brow was brent;
But now your brow is beld, John,
Your locks are like the snaw;
But blessings on your frosty pow,
John Anderson, my jo.

John Anderson, my jo, John,
We clamb the hill thegither;
And mony a cantie day, John,
We've had wi' ane anither:
Now we maun totter down, John,
And hand in hand we'll go,
And sleep thegither at the foot,
John Anderson, my jo.

(By Robert Burns, 1789

[https://www.poetryfoundation.org/poems/50357/
john-anderson-my-jo-john\)](https://www.poetryfoundation.org/poems/50357/john-anderson-my-jo-john)

ერთმანეთს შევადართო ზემოთ აღნიშნული ლექსის ქართული თარგმანები, რომლებიც მოვიძიეთ 1996 წელს გამოცემულ ინგლისური ენის სასკოლო სახელმძღვანელოში, ვიპოვოთ განსხვავებები და გავაკეთოთ დასკვნები.

ლექსის სათაური ორივე თარგმნილ ვარიანტში ერთი და იგივეა - „ჯონ ანდერსონ“, მსგავსად ორიგინალისა.

„ჯონ ანდერსონ, ჩემო ჯონ, ჩემო მეგობარო,
როცა შევუდექით წუთისოფლის მთას,
გახსოვს, შენი ქოჩორი, გახსოვს შავი ქოჩორი,
შენი შავი ქოჩორი ჰგავდა ყორნის ფრთას.“

მურმან ლებანიძის მიერ შესრულებული თარგმანის ამ ვერსიაში ვხედავთ, რომ პოეტი ჯონს მიმართავს, როგორც მეგობარს და იხსენებს მათ მიერ გატარებულ წუთისოფლის გზას, რასაც ნამდვილად ვერ ვიტყვით თამარ ერისთავის მიერ თარგმნილ ვარიანტზე. აი, მაგალითად:

„ჯონ ანდერსონ, სულზე ტკბილო ჯონ,
სულ პირველად როცა გნახე შენ,
ყორნისფერი თმები გქონდა, ჯონ,
უნაოჭო გქონდა სახე შენ“.

აღბათ დაგვეთანხმებით, რომ აღნიშნული სტროფი გაჟღენთილია უფრო ნაზი, თბილი და სიყვარულით აღსავსე სიტყვებით: „სულზე ტკბილო ჯონ“, „სულ პირველად როცა გნახე შენ“. ქალს არასდროს ავიწყდება მსგავსი წვრილმანები, აქედან ისიც შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ შეიძლება პოეტი თავის სატრფოს მიმართავს და არა უბრალოდ მეგობარს.

აღნიშნული ტენდენცია უფრო სარწმუნო რომ გავხადოთ, განვიხილოთ ლექსის შემდეგი სტროფები:

„ახლა შენ ის აღარ ხარ, აღარც თმა გაქვს შავი,
მაგრამ ღმერთებს ვთხოვ, კურთხეული ყონ
ეგ ჭადარა თავი, ეგ ბებერი თავი,
ჯონ ანდერსონ, მეგობარო, ჩემო ჯოუ ჯონ!

ჯონ ანდერსონ, ჯონ ანდერსონ, ჩემო ჯოუ ჯონ,
ერთად მივყვებოდით აღმართ-აღმართ გზებს.

ერთად გვიტარებია ბევრი კარგი დრო,
ბევრი სიხარულიც გავატანეთ წლებს.

ახლა თავქვე ვეშვებით, ახლა ერთად ვლამდებით,
მოდი, ხელი ჩაგკიდო, ერთად გავალთ ფონს,
ერთად დავსაფლავდებით, ერთად დავსახლკარდებით,
ჯონ ანდერსონ, ჩემო ჯოუ ჯონ!“

თვალსაჩინოა ის ფაქტი, რომ მ. ლებანიძე გამოხატავს საკუთარ დამოკიდებულებას ჯონ ანდერსონის მიმართ. იგი მას მეგობარს უწოდებს და ეს აზრი ბოლომდე გაჰყვება თარგმანს, მსგავსად ორიგინალისა, თუმცა ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ორიგინალის ავტორიც მამრობითი სქესის წარმომადგენელია და უდავოა, რომ მან ეს ლექსი ჯონ ანდერსონს მიუძღვნა, როგორც ერთგულ მეგობარს და ეს მეგობრული დამოკიდებულება ლექსის ყველა სტროფში იგრძნობა. იმავე შინაარსის მატარებელია მ. ლებანიძის თარგმანიც. მან ზუსტად გადმოიტანა ეს მეგობრული ელემენტები, რომლებიც ორიგინალში იყო აღნიშნული, შეიძლება ამაში პროფესიონალიზმთან ერთად სქესიც დაეხმარა. უნდა აღვნიშნოთ, რომ მ. ლებანიძეს ლექსის შინაარსი შენარჩუნებული აქვს, თუმცა ფორმა შეცვლილია, მან ვერ დაიცვა ლექსის ზომა: ორიგინალის 7-მარცვლიანი სტრიქონი მან შეცვალა 14-მარცვლიანით.

სრულიად განსხვავებულია თამარ ერისთავის მიერ შესრულებული თარგმნილი ვარიანტი:

„ ის იერი შეგიცვალა დრომ,
თოვლის ფთილას დაგიმსგავსა თმა,
მაგრამ ტკბილად დამიბერდი, ჯონ,
ჩემო ტკბილო, ჩემო სულის თქმავ!
ჯონ ანდერსონ, ჩემო ტკბილო ჯონ!
ერთად განვვლეთ აღმართები გზის,
ჩვენს გულს ახსოვს სიხარული, ჯონ,
ბევრი ტკბილი და ნეტარი დღის.
ახლა დაღმა მივჩანჩალებთ, ჯონ,
კვლავ შენთან ვარ და შენ ჩემთან ხარ,
საფლავშიაც ერთად ჩავალთ, ჯონ,
დავიძინებთ იქაც მხარდამხარ“.

აქ შეგვიძლია ვისაუბროთ გენდერულ ფაქტორებზე არა მარტო ავტორის პიროვნებიდან გამომდინარე, არამედ მისი ადრესატის გენდერზე ორიენტირებით. მამაკაცი არასდროს ეტყვის თავისივე სქესის წარმომადგენელს, მცირე გამონაკლისების გარდა, *ჩემო სულისთქმავ, ჩემო ტკბილო, ნეტარო* და სხვა, ხოლო თუ მიმართვის ობიექტი ქალია, მაშინ დასაშვებია. ქალი ხშირ შემთხვევაში უფრო რომანტიკულია, ემოციებითაა აღსავსე და ამას გადმოსცემს აღნიშნულ ვარიანტშიც, შესაძლოა მას ის გარემოებაც ეხმარება, რომ მიმართვის ობიექტი მამაკაცია.

იმისათვის, რომ გაგვერკვია, თუ როგორ თარგმნიან მამაკაცის მიერ დაწერილ ლექსებს ქალი და მამაკაცი მთარგმნელები, ჩვენ ავიღეთ გალაკტიონ ტაბიძის ინგლისურად თარგმნილი რამდენიმე ლექსი, რომლებიც ინგლისურად თარგმნა, როგორც ქალმა, ასევე მამაკაცმა მთარგმნელმა.

წარმოგიდგინთ „მთაწმინდის მთვარის“ ინესა მერაბიშვილისა და ზაზა ზაალიშვილისეულ თარგმანებს და „ქარი ჰქრის...“ დონალდ რეიფილდისა და ინესა მერაბიშვილის მიერ შესრულებულ თარგმანებს. მთარგმნელები შეეცადნენ, შეენარჩუნებინათ ფორმა, სტილი, რიტმულობა, თუმცა უნდა აღვნიშნოთ, რომ ქალის თარგმნილი ვერსია უფრო ზუსტია და ლექსის შინაარსიც შენარჩუნებულია, ხოლო მამაკაცის მიერ თარგმნილში ლექსთა წყობა შეცვლილია და ემოციური ფონი უფრო გაზრდილია. მეტი ემოციურობისთვის გამოყენებულია შორისდებულები და ალერსობითი სიტყვები. ეს კი უფრო ქალებისთვისაა დამახასიათებელი.

აღნიშნული მაგალითებით ვიღებთ სრულიად საპირისპირო მოცემულობას: კაცი მთარგმნელის თარგმანებში უფრო მეტ ემოციურობას და ნაკლებ სიზუსტეს ვხვდებით, მაშინ როცა ქალის თარგმნილ ვარიანტებში გვაქვს უფრო მეტი სიზუსტე და ნაკლები ემოციურობა. მაგალითად:

„მთაწმინდის მთვარე“

„ჯერ არასდროს არ შობილა მთვარე ასე წყნარი!

მდუმარებით შემოსილი შეღამების ქნარი

ქროლვით იწვევს ცისფერ ლანდებს და ხეებში აქსოვს...

ასე ჩუმი, ასე ნაზი ჯერ ცა მე არ მახსოვს!“

(გალაკტიონ ტაბიძე, 1915).

THE MOON OVER MTATSMINDA

„Skies have never seen the moon tranquil, as is this!

A magic lyre seems serene in the dusk of bliss,

Calling forth on flight blue ghosts, binding them with trees...

I have never seen the skies tender, as are these!“

(მთარგმნელი ინესა მერაბიშვილი, 2014:95).

THE MOON OVER MTATSMINDA

My eyes have never seen so lovely

The Moon and sky above

In silenced wrapped it's breathless music

Over Night

Beams of Moon embroider shadows

with the threads of light

Oh my eyes have never seen it

As lovely as tonight

(მთარგმნელი ზაზა ზაალიშვილი

<https://www.tania-soleil.com/the-moon-over-mtatsminda/>).

წარმოგიდგენთ გალაკტიონ ტაბიძის ლექსს „ქარი ქრის,“ რომელშიც ერთმანეთს ერწყმის აზრი და ემოციურობა, რაც მთარგმნელის ურთულესი დავალებაა, რათა მან მოახერხოს ორივე მხარის გადატანა უცხო ენაზე. აუცილებელია თარგმანს შეუნარჩუნდეს დედანის რითმი, რიტმი და ინტონაცია, ამიტომ მთარგმნელმა უნდა შეისწავლოს ყველა პოეტური საშუალება, რომლებიც აზრის გადმოცემას ემსახურება. თარგმანები სტრიქონთა რაოდენობის მხრივ ორიგინალს ემთხვევა:

ქარი ჰქრის...

„ქარი ჰქრის, ქარი ჰქრის, ქარი ჰქრის,

ფოთლები მიჰქრიან ქარდაქარ...

ხეთა რიგს, ხეთა ჯარს რკალად ხრის,

სადა ხარ, სადა ხარ, სადა ხარ?

(ტაბიძე, 1924).

წარმოგიდგენთ დონალდ რეიფილდისეულ თარგმანს, სადაც მთარგმნელი ცდილობს, არ დაუკარგოს ორიგინალს მხატვრული მხარე და შინაარსი. შორისდებულის გამოყენებით იგი ცდილობს, ემოციური დატვირთვაც კი შეუნარჩუნოს ლექსს, მაგალითად:

„Oh the wind, how it blows, how it blows
The wind blows whirleaves off afar,
Arches trees, trees in rank, trees in hosts,
Tell me where, where you are, where you are.“

(მთარგმნელი დონალდ რეიფილდი, 1975

<http://galaktion.ge/?page=Translation&year=1975&p=1&id=3767>).

ინესა მერაბიშვილის შესრულებულ ვარიანტში ჩვენ ვხედავთ, რომ მთარგმნელი სწვდება ორიგინალის შინაარსს და ცდილობს იგი თარგმანში იმავე სიზუსტით, მხატვრული სახის დანაკარგების გარეშე გადმოიტანოს, რიტმის გამო ცვლის სიტყვათა რიგს და თავად სიტყვასაც, მაგალითად „lines of trees“ – „ხეთა ჯარს,“ თუმცა აზრს ინარჩუნებს. იგი ზედმეტი ემოციურობისგანაც იკავებს თავს, რასაც ვერ ვიტყვით ჩვენ მიერ წარმოდგენილ პირველ ვერსიაში.

„Whirls the wind, whirls the wind, whirls the wind,
And the leaves whirl from wind still to wind...
Rows of trees, lines of trees bend in arch
Were art thou, where art thou, why so far ?..“

(მთარგმნელი ინესა მერაბიშვილი, 2014:88).

აქედან გამომდინარე შეიძლება დავასკვნათ, რომ გენდერული სხვაობა აშკარად ჩანს თარგმანშიც. აუცილებლად უნდა მივაქციოთ ყურადღება იმ გარემოებას, თუ ვის მიერ არის ესა თუ ის ნაწარმოები დაწერილი, ან ვისზეა გათვლილი ესა თუ ის სიტყვა თუ მიმართვა ზეპირსა თუ წერითს მეტყველებაში, (იგულისხმება ქალი და მამაკაცი), ვის ეძღვნება და ვინ თარგმნის ისევ ქალი თუ მამაკაცი.

ამდენად, ჩვენ შევეცადეთ გაგვეჩვენოთ ქალისა და მამაკაცის სამეტყველო ენა თარგმნისას, თუ რა სამეტყველო ფორმებს იყენებენ ქალი და მამაკაცი. პარალელურად აქცენტი კეთდებოდა მათი მეტყველების თავისებურებებზე, როლებსა და ურთიერთობებზე; მათზე, როგორც საზოგადოების თანასწორუფლებიან წევრებზე, რომლებიც ორ ურთიერთსაწინააღმდეგო მოვლენას წარმოადგენენ. აქ გასათვალისწინებელია ქალისა და მამაკაცის სოციალური როლები, საზოგადოებრივი მდგომარეობა და მათ მიერ გამოყენებული ლინგვისტური ერთეულები. ისინი განსხვავდებიან ერთმანეთისაგან გენდერული თვალსაზრისით და საინტერესო კვლევების ჩატარების საფუძველს იძლევიან.

თავი III

ლიტერატურული პერსონაჟების ვერბალური ქცევის გენდერული თავისებურებანი ორიგინალსა და თარგმანში

3.1. ქალისა და მამაკაცის მეტყველების მსგავსი და განმასხვავებელი ნიშნები

მხატვრული ლიტერატურა ეროვნულ-კულტურული ინფორმაციის მთავარი წყაროა და გამოხატავს ერის მრავალსაუკუნიანი ისტორიის განმავლობაში ჩამოყალიბებულ ეროვნულ მენტალიტეტს, ამიტომ ლიტერატურული პერსონაჟების სამეტყველო პრიორიტეტები აღნიშნული ეპოქის გენდერულ სტერეოტიპებს ავლენს. როგორც ჩვენ უკვე აღვნიშნეთ, გენდერული ლინგვისტიკა ახალგაზრდა მიმართულებაა, დღესდღეობით ძნელია გენდერული მახასიათებლების ერთიანი სურათის შექმნა: სხვადასხვა ენისა და კულტურის ფარგლებში შესწავლილია ქალებისა და მამაკაცების მეტყველების დამახასიათებელი მარკერები ფონეტიკის, მორფემიკის, ლექსიკის, სტილისტიკისა და სინტაქსის დონეებზე.

ევროპულ ენებში, ო. იესპერსენის აზრით, ფონეტიკურ და მორფოლოგიურ დონეზე განსხვავებები ქალთა და მამაკაცთა ვერბალურ ენებს შორის თითქმის არ შეიმჩნევა. სხვაობები გვხვდება, ძირითადად, ლექსიკის დონეზე, იგი, უმეტეს წილად, გამოწვეულია, ერთი მხრივ, ტაბუს კონცეპტით- ქალებისათვის ტაბუდადებული გარკვეული ენობრივი ფორმების გამოყენებით (მაგალითად, სექსიზმების გამოყენება), მეორე მხრივ, სოციალურ რანგთა წყობით: კაცებს აქვთ მაღალი სოციალური პრესტიჟი და, შესაბამისად, ენობრივი პრივილეგია (Jespersen, 1925:237).

ე. ი. გოროშკო განიხილავს ქალისა და მამაკაცის წერითი მეტყველების განსხვავებას ტექსტებში. კვლევის შედეგად მან აღმოაჩინა, რომ ქალების დაწერილი ტექსტები უფრო გრძელი აღმოჩნდა, წინადადებებში გამოიყენებოდა სიტყვების დიდი რაოდენობა, ლექსიკა ნაკლებად მრავალფეროვანი იყო, ჭარბობდა ზმნები და ნაწილაკები, ასევე ემოციურობა, მარტივი წინადადებები, კავშირები, კონკრეტული არსებითი სახელები. მამაკაცების წერითი მეტყველება, პირიქით, ნაკლებად გრამატიკულად გამართული, რეალური შეფასებებით გამორჩეული აღმოჩნდა. ისინი

იყენებენ უფრო მეტ არსებით, ზედსართავსა და რიცხვით სახელებს, რთულ წინადადებებს, მაკავშირებლებს და აბსტრაქტულ არსებით სახელებს. როგორც ე.ი. გოროშკო ასკვნის, მამაკაცები წარმოადგენილი არიან დადებითი მახასიათებლებით (Горошко, 1999:54).

გენდერული კვლევების ლექსიკონში ერთ-ერთი სტატია ეძღვნება ქალისა და მამაკაცის წერითი მეტყველების სტილს. ქალურ წერით მეტყველებაში დიდი რაოდენობით გვხვდება განსაზღვრებები, გარემოებები, ნაცვალსახელები და დამატება, ასევე ჩართული სიტყვები და გამოთქმები (ალბათ, როგორც ჩანს, ჩემი აზრით) და სხვ. ქალებს აქვთ ტენდენცია, გამოიყენონ „პრესტიჟული“, სტილისტიკურად ამაღლებული ფორმები, კლიშეები, წიგნის ლექსიკა, (სიძულვილისა და უკმაყოფილების გრძნობის გამომხატველი, მკვეთრი გამოძახილი). გარდა ამისა, ისინი იყენებენ კონოტაციურად ნეიტრალურ სიტყვებსა და ფრაზებს, ევფემიზმებს, შეფასებით განცხადებებს და სხვა. ქალების წერითი მეტყველებაში გრძნობები განსხვავებულადაა აღწერილი, ისინი იყენებენ შემფასებლურ ლექსიკას გამაძლიერებელი ნაწილაკებით, ზმნიზედებითა და ზედსართავი სახელებით.

მამაკაცის მიერ წარმოთქმული წინადადებები, როგორც წესი, ქალის წარმოთქმულთაგან განსხვავებით უფრო მოკლეა, გრამატიკული შეცდომა ჭარბადაა. მამაკაცები უფრო ხშირად იყენებენ არსებითსა და ზედსართავ სახელებს და შედარებით ნაკლებად – ზმნებსა და ნაწილაკებს. მამაკაცები ასევე იყენებენ ხარისხისა და კუთვნილებით ზედსართავ სახელებს. ზედსართავი სახელის ხარისხის ფორმათა ფუნქცია ძირითადად პოზიტიური ძალის გამოხატვაა (არა შედარებითი და აღმატებითი ხარისხების). გარდა ამისა, მამაკაცები უფრო ხშირად იყენებენ მდებარეობითი სქესის გამომხატველ სახელებს. მამრობითი სქესის წერით მეტყველებაში დომინირებს წერის რაციონალური სტილი, ნაკლებია ემოციური და მგრძნობელობითი ფონი. ობიექტის ან მოვლენის აღსაწერად მამაკაცები უფრო გამოყოფენ მეტყველების ესთეტიკურ მხარეს, ვიდრე ეთიკურს და სწორედ ისინი გამოხატავენ რეალურ სამყაროს მრავალფეროვანი ხარისხობრივი მახასიათებლებით, ფერითა და ნიშნებით, ვიდრე – ქალები. ქალისა და მამაკაცის ტექსტების სინტაქსური სტრუქტურის ანალიზისას გამოვლინდა, რომ მამაკაცები უფრო

იყენებენ მაქვემდებარებელ და არა მაკოორდინირებელ კავშირს. მამაკაცების წინადადებებში ნაკლებია ძახილის და კითხვითი წინადადებები, იშვიათად გამოიყენება ელიპსური, არასრული კონსტრუქციები.

ნ.ი. სოროკოლეტოვა სტატიაში „სამეტყველო ქცევის გენდერული თავისებურებანი“ წერს იმის თაობაზე, რომ ქალებს, მამაკაცებისაგან განსხვავებით, ახასიათებთ მიზნისაკენ სწრაფვა ქალური გამოთქმების თავისებურებანი უფრო ნათელი და გასაგებია ვოკალურად, ხოლო მამაკაცების მეტყველება კონსონანტურია: ბევრი მამაკაცისთვის დამახასიათებელია ნაკლები შესვენება ბგერების წარმოთქმისას, ვიდრე ქალებისთვის, რასაც მივყავართ ვიწრო ბგერების ფორმირებისკენ, ხმოვანთა ნაკლები სიხშირის გამოყენებით ტემბრის თვალსაზრისით. მამაკაცის მეტყველებაში კონსონანტური ბგერების ინტენსივობა შეინიშნება იმ ფაქტის გამო, რომ მათთვის დამახასიათებელია მეტყველებაში ხმოვანთა ბგერების ძლიერი დეფორმაცია, მათი რაოდენობრივი და ხარისხობრივი შემცირება და ხმოვანთა დაკარგვა.

ვიმოწმებ, კობახიძის მიხედვით გენდერული სამეტყველო ქცევა განსხვავებული ენობრივი სტილი და საუბრის მანერაა ბიოლოგიური და სოციალური სქესის მიხედვით. გენდერული სამეტყველო ქცევის მეცნიერული კვლევა მე-20 საუკუნის 70-იან წლებში დაიწყო. სქესის საკითხზე სოციოლინგვისტიკური მეცნიერული ლიტერატურის არსებობა უფრო ადრეც დასტურდება, კერძოდ, მე-16 – მე-17 საუკუნეებში. მკვლევართა ამ პერიოდის ცნობებში გვხვდება ნაკლებად ყურადსაღები მინიშნებებია ქალთა ენობრივი თავისებურებების შესახებ, მაგრამ ესეც ცხადყოფს, რომ ქალთა ვერბალური ენა ისტორიულად დიდი ინტერესის საგანს წარმოადგენდა.

პირველადი წყაროები ძირითადად უკავშირდება არაევროპული კულტურის აღმოჩენისა და კოლონიზაციის პერიოდს. განსხვავება ქალთა და მამაკაცთა ენობრივ ქცევებს შორის განსაკუთრებით შესამჩნევი იყო აფრიკულ, აზიურ, ჩრდილო და სამხრეთამერიკულ ენებში. მაგალითად, ჩრდილოეთ კალიფორნიაში საუბრობენ სამხრეთამერიკულ ენაზე, „იანიზე“. აქ სიტყვებს ორი ფორმა აქვს: „მამრობითი“ და „მდედრობითი“. ამ ფორმების გამოყენება არაენობრივი ფაქტორებითაა განპირობებული, კერძოდ, მოსაუბრის ან მოსაუბრე პირების ბიოლოგიური სქესით. „მამრობითი ენობრივი ფორმები“ გამოიყენება მამაკაცების მიერ მხოლოდ მაშინ,

როცა ერთმანეთში საუბრობენ, ხოლო „მდედრობითი ენობრივი ფორმები“ – ყველა სხვა კონტექსტში. როგორც ვხედავთ, მდედრობით ენობრივ ფორმებს აქვთ მაღალი გამოყენების სიხშირე, ხოლო მამრობით ფორმებს – მაღალი პრესტიჟი. მათი გამოყენება მამაკაცების პრივილეგიაა, რათა ქალებისათვის მათი საუბარი ტაბუდადებული იყოს. ისინი შეიცავენ, მაგალითად, სრულ ხმოვანს. მდედრობითში ეს ხმოვანი რედუცირებულია, მაგალითად, მამაკაცი ამბობს: moi, ქალი – mo (ჰამა). სხვა შემთხვევაში მამრობით ფორმებს დამატებითი მარცვალი აქვთ, მაგალითად, მამაკაცი ამბობს - ina, ქალი – i (ხე) (Sapir, 1968: 206).

ჩრდილოამერიკელ ინდიელთა ენაში – „კოამატიში“ ქალები და მამაკაცები იყენებენ ზმნის სხვადასხვა ფორმას (Haas, 1994:145). საყურადღებოა ის ფაქტი, მკვლევრები ე. საპირი და მ. ჰაასი (Sapir 1968, Haas 1994) მამრობით ენობრივ ფორმებს, მათი გამოყენების დაბალი ხარისხის მიუხედავად, ფუნდამენტურ ფორმებს უწოდებენ, ხოლო მდედრობითს – რედუცირებულს. არსებობს განსხვავებული ჰიპოთეზაც: მდედრობითი ფორმები საბაზისოა, ხოლო მამრობითი ნაწარმოებია მდედრობითი ფორმებისაგან სუფიქსების საშუალებით. ენის ისტორიული ასპექტები ადასტურებენ მდედრობითი ენობრივი ფორმების უძველეს წარმოშობას (Helinger, 1990:14).

XX საუკუნის დასაწყისში მეცნიერები ევროპულ ენებში ბიოლოგიური სქესისა და კომუნიკაციის ურთიერთმიმართების საკითხით დაინტერესდნენ. ამ კუთხით საფუძვლიან კვლევას გვთავაზობს დანიელი ლინგვისტი – ოტო იესპერსენი (Jespersen, 1925). თავის წიგნში “Language” მან ქალთა ენას უძღვნა სპეციალური თავი “The Women”. ზემოხსენებული სათაურით ცალკე თავის გამოყოფას ლინგვისტი ს. ჰარკი იმ ტენდენციის ხაზგასმად მიიჩნევს, რომელიც საზოგადოებაში მყარადაა დამკვიდრებული: „ყველაფერი მამრობითი ნორმაა, მდედრობითი – ნორმიდან გადახვევა“ ვიმოწმებ, კობახიძის მიხედვით, (კობახიძე, 2016:3-4).

ამერიკელი ლინგვისტი რ. ლაკოფი გამოყოფს ქალური მეტყველებისთვის დამახასიათებელ შემდეგ სამეტყველო ფორმებს:

- ქალთა ინტონაციური კონტურები უფრო ვარიაციულია, ვიდრე მამაკაცთა;
- ქალები მამაკაცებთან შედარებით უფრო მეტად იყენებენ ევფემიზმებს;

- ქალები უფრო მეტად იყენებენ ექსპრესიულ (ზედსართავ სახელებს და არა ზმნებს ან არსებით სახელებს, რადგანაც ისინი უფრო მეტ ემოციას გამოხატავენ) ფორმებს, ვიდრე – მამაკაცები;
- ქალები იყენებენ ყველა სახის კნინობით-ალერსობით ფორმებს, ვიდრე – მამაკაცები;
- ქალები იყენებენ ინტონაციურ მახვილებს რაიმეს დასამოწმებლად;
- ქალთა ხმა არის უფრო მგმნობიარე, ვიდრე მამაკაცების;
- ქალები უფრო არაპირდაპირნი და ზრდილობიანნი არიან, ვიდრე – მამაკაცები;
- ქალები ცდილობენ არ შეაწყვეტინონ საუბარი თანამოსაუბრეს;
- ქალთა კომუნიკაციური სტილი ისწრაფვის თანამშრომლობისკენ;
- ქალთა უმრავლესობის კომუნიკაცია გამოიხატება არავერბალურად (ჟესტებით და ინტონაციებით), ვიდრე მამაკაცებს (ლაკოფი, 1990:204).

ამდენად, უნდა აღვნიშნოთ, რომ ქალთა მეტყველება გაცილებით უფრო უნიკალურია. მათი მეტყველება გაჯერებულია ექსტრავაგანტული ზედსართავი სახელებით, რომ აჩვენონ, თუ რამდენად საყვარელი, თბილი, ზრდილობიანი, ლამაზი, მშვიდი და გაწონასწორებული არიან ისინი კომუნიკაციის პროცესში. ქალებს უყვართ ჰიპერბოლის გამოყენება, რათა უფრო გააზვიადონ სათქმელი და მეტი ემოცია შემატონ მას. მაგალითად, სიტყვები: **საშინლად, უკიდურესად, საკმაოდ და ა. შ.** დამახასიათებელია მათი მეტყველებისთვის. ცნობილი ლინგვისტი ო. იესპერსენი (1922) აღნიშნავს, რომ ქალები უფრო მეტად იყენებენ სიტყვას „ისე“ (so) უფრო ხშირად, ვიდრე – მამაკაცები, რათა მეტი ემოცია შემატონ სათქმელს. წლების შემდეგ რ. ლაკოფიც (1975) იზიარებს აღნიშნულ მოსაზრებას. შემდეგი წინადადებები მოცემული მტკიცებულების ცოცხალი მაგალითებია: It was so interesting, ისეთი საინტერესო იყო, I had such fun, ისე გავერთე და სხვ. იგივე მოსაზრება რომ გამოხატონ, მამაკაცები უფრო ხშირად იყენებენ შემდეგ სიტყვებს: very- ძალიან, really-მართლა, utterly-სრულიად. ქალები ისწრაფვიან თავიანთი მეტყველების მოკრძალებულობისა და ელეგანტურობისაკენ. ზოგადად, ქალები თავს არიდებენ ვულგარული სიტყვების გამოყენებას. უფრო მეტიც, ქალები იყენებენ

ისეთ ფრაზებსა და სიტყვებს, როგორებიცაა: Oh Dear - ო ძვირფასო, Dear me - ძვირფასო, Oops - ოჰ, My Goodness - ღმერთო ჩემო და ა.შ.

ჩვენ აღვნიშნეთ, რომ ქალები იყენებენ თავაზიან ფორმებს საუბრისას. გარდა ამისა, ისინი ასევე მოთმინებით ელოდებიან თავიანთ რიგს კომუნიკაციის დროს. მკვლევრებმა: ზიმერმანმა და ვესტმა (1975) თავიანთ კვლევაში აჩვენეს, თუ რამდენჯერ აწყვეტინებენ საუბარს მამაკაცი და ქალი თანამოსაუბრეს. ვიხილოთ შემდეგი ცხრილი:

ცხრილი №1

	კაცი	ქალი	ჯამი
საუბრის შეწყვეტის რაოდენობა	46	2	48

აღნიშნული ცხრილიდან ჩანს, რომ კაცები გაცილებით უფრო ხშირად აწყვეტინებენ საუბარს თანამოსაუბრეს, ვიდრე –ქალები. ამით გამოიხატება მათი უხეშობა და უზრდელობაც კი, თუმცა ისინი არ თვლიან, რომ ამით არღვევენ ეტიკეტის ფორმებს. ქალები კი პირიქით, ცდილობენ, სრული სიზუსტით დაიცვან ეტიკეტის ფორმები, რათა დადებითი გავლენა მოახდინონ გარშემომყოფებზე.

აქვე ისიც გვინდა აღვნიშნოთ, რომ ადამიანთა ვერბალური ქცევა არ არის დაკავშირებული მხოლოდ სოციალურ სტატუსთან (იგულისხმება ქალი თუ მამაკაცი), არამედ იგი უკავშირდება პროფესიას, განათლებას, მდგომარეობას და ა.შ. თანამედროვე საზოგადოებაში უფრო მეტი ადამიანი იღებს განათლებას, რაც თავის მხრივ მოქმედებს ქალებისა და მამაკაცების ქცევით ფორმებზე საუბრის დროს. ამდენად, უფრო იშვიათად შეიძლება შევხვდეთ ისეთ ფაქტებს, სადაც მამაკაცები აწყვეტინებენ საუბარს თანამოსაუბრეს, ანუ ისინიც ცდილობენ მოთმინება გამოიჩინონ საუბრისას; ცდილობენ ნაკლებად გამოიყენონ ტაბუდადებული და უხამსი სიტყვები თავიანთი ზრდილობის გამოსახატავად. ისინი გახდნენ უფრო ზრდილობიანნი და ჯენტლმენნი (იგულისხმება საუბარი). საინტერესოა ის ფაქტიც, რომ კაცებსაც უყვართ „კუდიანი შეკითხვების“ დასმა.

გენდერს, რომელიც ეფუძნება არქექტიპურ ოპოზიციას „კაცი - ქალი“, აქვს ორმაგი ფუნქცია. ერთი მხრივ, ეს არის ინსტრუმენტი, რომლის მეშვეობითაც ორივე, ინდივიდუალური და კოლექტიური ცნობიერება, აღიარებს და აფასებს სამყაროს, ადამიანის ურთიერთობების მრავალფეროვნებას; მეორე მხრივ, ისტორიული და სოციალურ-კულტურული განვითარების პროცესში იგი იცვლება, ძველი სტერეოტიპები ირღვევა და იქმნება ახალი ტრადიციული დამოკიდებულება, რომელიც ასახავს მამაკაცისა და ქალის როლის, ადგილისა და ფუნქციის გაგებას, როგორც ერთ კონკრეტულ, ისე მსოფლიო საზოგადოებაში.

ჩვენ გავანალიზეთ გენდერული მახასიათებლები ლექსიკურ დონეზე ინგლისელი მწერლის- ჯ. ოსტინის რომან „სიამაყე და ცრურწმენის“ მასალაზე, რომელიც დაიწერა 1813 წელს. ვისარგებლეთ შვედი მკვლევრის – ინგინგ შუს კვლევის მეთოდოლოგიით, რომელიც ავტორმა გამოიყენა „როგორ ხასიათდება ქალი და მამაკაცი პერსონაჟების სახეები კვლევაში ლინგვისტური სქესის პერსპექტივიდან არსებითი და ზედსართავი სახელების გამოყენება“ (Yingying Xu, 2009).

მე-19 საუკუნეში ინგლისურ ოჯახებში მამა იყო ოჯახის თავკაცი. ცოლ-შვილს უნდა დაეფასებინა ის და დაეჯერებინა მისთვის. 1879 წლამდე ქმარს შეეძლო კანონიერად დაემარცხებინა თავისი ცოლი და მთელ მის ქონებას დაჰპატრონებოდა, ისევე როგორც ცოლის მიერ გამომუშავებულ ფულს, რომელიც უკვე ქმრის საკუთრება გახდებოდა. ქორწინებისთვის წყვილები ხშირად შეირჩეოდა კაცების შინაგან თვისებებსა და ქალების გარეგნობაზე დაყრდნობით.

ერთი მხრივ, მუშათა კლასის ქალებისთვის ცხოვრება უსაშველოდ მიძიმე და მოსაბეზრებელი იყო, როგორც კი წამოიზრდებოდნენ, მუშაობას იწყებდნენ ფერმებსა და ქარხნებში. მეორე მხრივ, მდიდარი ქალები მე-19 საუკუნეში დაკავებული იყვნენ მსუბუქი საოჯახო საქმეებით და მოახლეების ორგანიზებით, ზოგიერთი მათგანი ხშირად ეწეოდა საქველმოქმედო საქმიანობას. უმეტესი ქალისთვის ცხოვრება უფრო კომფორტული გახდა გართობით. ქალები მეცადინეობდნენ მშვილდოსნობაში, რაც მე-19 საუკუნეში მიიჩნეოდა მათთვის შესაფერის სპორტად. მოგვიანებით ჩოგბურთი, კრიკეტი და ველოსიპედით სეირნობა გახდა პოპულარული. ზოგი ექსტრემალი

ქალბატონი მთამსვლელობითაც ინტერესდებოდა. უფრო მეტიც, ამ საუკუნეში მათ მოიპოვეს მეტი უფლებები და ზოგიერთი ქალი კარგი მწერალიც კი გახდა.

მხატვრულ ლიტერატურაში დიდი ხნის მანძილზე აღინიშნებოდა განსხვავებები ქალისა და კაცის ხასიათის აღწერისას. ქალები ყოველთვის ხასიათდებიან სუსტ, ემოციურ და ნერვიულ არსებებად, მაშინ როცა კაცები მიიჩნეოდნენ ძლიერ, აგრესიულ და დომინანტ არსებებად, რაც გამოხატულია როგორც მათ გარეგნულ, ასევე შინაგან თვისებებში.

მხატვრული ნაწარმოების ავტორის სქესი აგრეთვე გავლენას ახდენს პერსონაჟების განსხვავებულ აღწერაზე ლიტერატურაში. ქალი და კაცი მწერლები ენას განსხვავებულად იყენებენ. ლექსიკური კუთხით ბევრმა ლინგვისტმა ჩაატარა კვლევები. ინგლისური ენის ლინგვისტი დანიელი პროფესორები: კოუტისი, ოტო იესპენსერი 1922 წელს აცხადებდნენ, რომ სწორედ კაცები მეტად ქმნიან ახალ და ცოცხალ გამონათქვამებს, ვიდრე – ქალები (Coates, 2004:12) და ამდენად, ისინი არიან ენის განმაახლებლები (Coates, 2004:12) ე. წ. ინოვატორები.

ასევე უნდა აღინიშნოს, რომ ინგლისური ლექსიკონი განასხვავებს სიტყვის მამრობითსა და მდედრობით ფორმებს. მასკულინური ფორმები ჩვეულებრივ არამარკირებულია, მაშინ, როცა ფემინისტური ფორმები მარკირებულია, როგორებიცაა: actor-actress, host-hostess, waiter-waitress. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ზოგიერთი ტერმინი, რომლებიც განსაზღვრულია ქალისა თუ კაცისათვის, ფაქტობრივად, გამოიყენება მხოლოდ ერთი სქესისთვის, მაგ.: ქირურგი, ექიმი და ექთან. ხალხი ხშირად ამბობს, ქალი ექიმი, ქალი პროფესორი ან ქალი ქირურგი, რადგანაც ისინი მიიჩნევენ, რომ მასკულინური ფორმა არის ნორმა და აზუსტებენ **კაცი ექთანი**, რადგანად მიიჩნევენ, რომ მდედრობითი ფორმა არის ნორმა. აღნიშნული მაგალითებიდან გამომდინარე, ადამიანთა უმრავლესობა მიიჩნევს, რომ ნორმა არის მასკულინური ფორმები.

შევარჩიეთ ორი კაცი პერსონაჟი: დარსი და ბინგლი და ორი ქალი პერსონაჟი: ელიზაბეტი და ჯეინი. შედარებითი ანალიზისთვის, როგორ ხასიათდებიან გმირები აღნიშნულ რომანში არსებითი და ზედსართავი სახელების გამოყენების თვალსაზრისით, მიღებული შედეგები წარმოვადგინეთ ცხრილებში.

მოცემული კვლევის მიზანია, გაარკვიოს ქალისა და მამაკაცის გენდერული თავისებურებანი მხატვრული ნაწარმოების „სიამაყე და ცრურწმენა“ ოთხი ძირითადი გმირის (დარსი, ბინგლი, ელიზაბეტი და ჯეინი) მეტყველებაში. ანალიზი წარვმართეთ ორი ძირითადი ასპექტით, პირველი გულისხმობს არსებითი სახელების, ხოლო მეორე– ზედსართავი სახელების გამოყენებას. ორივე მათგანი კი აღწერს სამ ძირითად თვისებას:

- შინაგანი თვისებები;
- შინაგანი გრძნობები;
- გარეგნობა (გარეგანი თვისებები).

შინაგანი თვისებები ხაზს უსვამს პერსონაჟების ხასიათს და გარეგნობა ფოკუსირებულია პერსონაჟების გარეგნულ თვისებებზე. შესაბამისად, გვაქვს სამი სექცია: პირველი მათგანი ფოკუსირებულია არსებით სახელებზე, რომლებიც განსაზღვრავს პერსონაჟების შინაგან თვისებებს, შინაგან გრძნობებსა და გარეგან თვისებებს, მეორე ეხება იმ ზედსართავი სახელების გამოყენებას, რომლებიც ახასიათებენ პერსონაჟების გრძნობებს და გარეგნულ თვისებებს. საბოლოოდ ვაკეთებთ საერთო შედარებას.

არსებითი სახელების გამოყენება

მოცემულ შედარებით ანალიზში ჩვენ წარმოგიდგენთ არსებით სახელებს, რომლებსაც შინაგანი თვისებების, გრძნობების და გარეგანი თვისებების გამოსახატავად იყენებს ოთხი ძირითადი პერსონაჟი (დარსი, ბინგლი, ჯეინი და ელიზაბეტი) მხატვრულ ნაწარმოებში „სიამაყე და ცრურწმენა“

ყველა არსებითი სახელი ერთად გადმოგვცემს შინაგანსა და გარეგან მახასიათებლებს. პერსონაჟების გენდერული თვისებების შესაბამისად ამის მიხედვით შეიძლება გამოვყოთ რამდენიმე ქვეჯგუფი. ხაზგასმული ციფრები აღნიშნავენ კონკრეტული სიტყვის გამოყენების რაოდენობას რომანიდან ამოღებულ ნიმუშში.

პერსონაჟების შინაგანი თვისებების გამომხატველი ლექსიკა

მოცემული ქვეჯგუფი ძირითადად იკვლევს, თუ როგორ არის აღწერილი ოთხი ძირითადი პერსონაჟის შინაგანი თვისებები არსებითი სახელების გამოყენებით და

ცხვდებით თუ არა რაიმე განსხვავებას ან მსგავსებას მამრობითი და მდედრობითი სქესის პორტრეტებს შორის. შერჩეული არსებითი სახელების ჩამონათვალი ნაჩვენებია მესამე ცხრილში.

ცხრილი №2 არსებითი სახელები, რომლებიც აღწერენ პერსონაჟების შინაგან თვისებებს:

შინაგანი თვისებები				
გენდერი	მამრობითი სქესი		მდედრობითი სქესი	
პერსონაჟები	დარსი	ბინგლი	ელიზაბეტი	ჯეინი
არსებითი სახელები შინაგანი თვისებების შესახებ	პიროვნება- 2 იუმორი უხეშობა სიამაყე მიზანდასახულობა ზრდილობა ვალდებულება დაუნდობლობა ინდიფერენტულობა თავშეკავებულობა	კარგად აღზრდილი ვაჟკაცურობა ხასიათი ღია ურთიერთობები კომუნიკაბელურობა განწყობა უბრალოება იუმორი სიკეთე - 2	სისწრაფე განწყობა გართობა ამაოება წინააღმდეგობა დაუმორჩილებლობა კეთილგანწყობა	საქმე გრძნობა ხასიათი ბუნება არსება განწყობა- 2
ჯამი	11	10	7	7
	21		14	

(Xu, 2009:11-12).

მეორე ცხრილში ჩვენ ვხედავთ დიდი რაოდენობის შინაგანი თვისებების გამომხატველ არსებით სახელებს, რომლებიც მამრობითი და მდედრობითი სქესის პერსონაჟებს ახასიათებენ. მათი რაოდენობა მამრობითი სქესის დახასიათებისას არის 21, ხოლო მდედრობითი სქესის დახასიათებისას –14. ისინი აჩვენებენ, რომ მამრობითი სქესის არსებითი სახელების გამომხატველი ლექსიკა რაოდენობრივად ჭარბობს, მათი რიცხვი უფრო მეტია, ვიდრე იმ არსებითი სახელების რიცხვი, რომლებიც ახასიათებენ მდედრობით სქესს.

ამდენად, შეიძლება დავასკვნათ, რომ რომანის ავტორი დიდ ყურადღებას ამახვილებს მამრობითი სქესის შინაგან თვისებებზე, ვიდრე მდედრობითი სქესის დამახასიათებელ არსებით სახელებზე. რის მიხედვითაც შეიძლება ვთქვათ, რომ მე-

19 საუკუნეში ინგლისურ მხატვრულ ლიტერატურაში მამაკაცების შინაგანი თვისებები უფრო ხაზგასმითაა გამოხატული, ვიდრე – ქალების. ამასთან, ზოგიერთი არსებითი სახელი (ხასიათი, განწყობა), რომლებიც განსაზღვრავს მამრობითი სქესის პერსონაჟს, გამოყენებულია მდედრობითი სქესის დახასიათების დროსაც. ე.ი. ორივე სქესის აღწერისას არის გარკვეული მსგავსებებიც.

პერსონაჟების შინაგანი გრძნობები

გარდა პერსონაჟების შინაგანი თვისებებისა, მე-4 ცხრილში მოცემული გვაქვს იმ არსებითი სახელების ჩამონათვალი, რომლებიც აღწერენ ოთხი მთავარი პერსონაჟის შინაგან გრძნობებს, რათა ვიხილოთ მსგავსება-განსხვავებები მამრობითი და მდედრობითი სქესის პორტრეტებს შორის. შინაგანი გრძნობები არის შინაგანი თვისებების ერთ-ერთი ფენომენი, რომელიც მოცემულ რომანში ვრცლად არის აღწერილი, თუმცა შინაგანი თვისებებისგან განსხვავებით, შინაგანი გრძნობები უფრო ცვალებადია. ამ ცხრილში ნაჩვენებია გვაქვს თითოეული პერსონაჟის ინდივიდუალური შინაგანი გრძნობები.

ცხრილი №3 არსებითი სახელები, რომლებიც აღწერენ პერსონაჟების შინაგან გრძნობებს:

შინაგანი გრძნობები				
გენდერი	მამრობითი სქესი		მდედრობითი სქესი	
	დარსი	ბინგლი	ელიზაბეტი	ჯეინი
პერსონაჟები				
შინაგანი გრძნობების გამომხატველი არსებითი სახელები	აღშფოთება	აღფრთოვანება	გაოცება სიხარული დისკომფორტი	გაოცება სიხარული სიამოვნება მხიარულება სიყვარული შიში მადლიერება
ჯამი	1	1	3	7
	2		10	

(Xu, 2009:13-14).

როგორც მესამე ცხრილიდან ჩანს, შინაგანი გრძნობების გამომხატველი არსებითი სახელები არც ისე ბევრია, როგორც შინაგანი თვისებების გამომხატველი. მდედრობითი სქესის გამომხატველი არსებითი სახელები, რომლებიც გამოხატავენ პერსონაჟების შინაგან გრძნობებს არის 10, ხოლო მამრობითი სქესის – 2. ეს იმის მაჩვენებელია, რომ არსებითი სახელები, რომლებიც გამოხატავენ შინაგან გრძნობებს, მდედრობითი სქესის შემთხვევაში გაცილებით უფრო მეტია, ვიდრე– მამრობითი სქესის შემთხვევაში. როგორც ჩანს, ავტორი ყურადღებას ამახვილებს მდედრობითი სქესის შინაგან გრძნობებზე, რაც, თავის მხრივ, ხაზს უსვამს იმ ფაქტს, რომ მე-19 საუკუნეში ინგლისურ მხატვრულ ლიტერატურაში მდედრობითი სქესის წარმომადგენელი პერსონაჟები ემოციურობითა და სენტიმენტალურობით ხასიათდება.

პერსონაჟების გარეგანი თვისებები

აღნიშნულ ნაწილში ძირითადად ვიკვლევთ, როგორ არის აღწერილი პერსონაჟების გარეგნობა არსებითი სახელების გამოყენებით; არის თუ არა რაიმე მსგავსება ან განსხვავება მამრობითი და მდედრობითი სქესის პერსონაჟების გარეგან თვისებებს შორის. აღნიშნული ნაჩვენებია მე-5 ცხრილში. ცხრილებში მოთავსებული ზედსართავი სახელები არის დეტალური განსაზღვრება კონკრეტული არსებითი სახელისა, რაც აჩვენებს იმავე არსებითი სახელის განსხვავებულობას, როცა ის გამოიყენება სხვა ზედსართავთან ერთად.

ცხრილი №4 არსებითი სახელები, რომლებიც აღწერს პერსონაჟების გარეგან თვისებებს (გარეგნობას).

გარეგნული თვისებები (გარეგნობა)				
გენდერი	მამრობითი სქესი		მდედრობითი სქესი	
პერსონაჟები	დარსი	ბინგლი	ელიზაბეტი	ჯეინი
არსებითი სახელები გარეგნობის შესახებ	(მშვენიერი მაღალი) პიროვნება (სიმპათიური) თვისება (კეთილშობილი)	(სასიამოვნო) გარეგნული შეხედულება (მარტივი არაეფექტური) ქცევა	მშვენიერება ანგელოზი (კარგი) თვისება (მუქი) თვალები სიმეტრია	მშვენიერება (მშვენიერი) არსება ანგელოზი (სასიამოვნო) მანერები,

	სილიადე (ამკრძალველი უკმაყოფილო) გარეგნული შეხედულება <u>2</u> (სულელი) მანერა	(ბედნიერი) მანერები	ფორმა ფიგურა (მშვენიერი) თვალები ბრწყინვალეობა სახის ფერი	
ჯამი	5	3	10	4
	8		14	

(Xu, 2009:15-16).

მეოთხე ცხრილი გვიჩვენებს, რომ გარეგნობის გამომხატველი არსებითი სახელების რაოდენობა მამრობითი სქესის დასახასიათებლად არის 8, ხოლო მდედრობითი სქესისა –14. ეს აღნიშნავს, რომ ავტორი მდედრობითი სქესის დახასიათების შემთხვევაში იყენებს მეტ არსებით სახელებს, რაც იმაზე მიუთითებს, რომ მე-19 საუკუნეში ქალის გარეგნობას დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა. ამასთან, ავტორი იყენებს ერთსა და იმავე არსებით სახელს, მაგალითად, დარსისა და ელიზაბეტის, ასევე ბინგლისა და ჯეინის დასახასიათებლად.

ზედსართავი სახელების გამოყენება

განვიხილოთ ზედსართავი სახელების თავისებურებები, მამრობითი და მდედრობითი სქესის შინაგანი თვისებების, შინაგანი გრძნობების და გარეგნული თვისებების (გარეგნობა) დახასიათების დროს.

პერსონაჟების შინაგანი თვისებები

ეს ქვეპუნქტი ძირითადად იკვლევს იმ გარემოებას, თუ როგორ ხასიათდება რომან „სიამაყე და ცრურწმენის“ ოთხი გმირის შინაგანი თვისებები ზედსართავი სახელების გამოყენებით, რომლებიც ნაჩვენებია მე-6 ცხრილში.

ცხრილი №5 ზედსართავი სახელები, რომლებიც აღწერენ პერსონაჟების შინაგან თვისებებს.

შინაგანი თვისებები				
გენდერი	მამრობითი სქესი		მდედრობითი სქესი	
პერსონაჟები	დარსი	ბინგლი	ელიზაბეტი	ჯეინი
ზედსართავი სახელები	ამაყი სასიამოვნო	სასიამოვნო- <u>2</u> ცოცხალი	კარგი იუმორის გრძნობის მქონე	სულელი უმეცარი

შინაგანი თვისებების შესახებ	მკაცრი უკმაყოფილო-2 საშინელი ჭკვიანი ქედმაღალი თავშეკავებული კარგად აღზრდილი გამომწვევი კმაყოფილი კრიტიკული სატირული მკაცრი გაყინული	უპირობო საღად მოაზროვნე კარგი იუმორის გრძნობის მქონე შესანიშნავი უკმაყოფილო	ინტელექტუალური მომსმენი მარტივი არაეფექტური	ფრთხილი ბრმა იდუმალი
ჯამი	17	8	5	5
	23		10	

(Xu, 2009:18-19).

მეხუთე ცხრილის თანახმად, მამრობითი სქესის შინაგანი თვისებების გამომხატველი ზედსართავი სახელების რაოდენობა გაცილებით მეტია მდედრობითი სქესის გამომხატველ ზედსართავ სახელებთან შედარებით.

გარდა ამისა, პერსონაჟების შინაგანი გრძნობები მე-6 ცხრილში უფრო ნათლად აჩვენებს მათს შინაგან თვისებებს.

ცხრილი №6 ზედსართავი სახელები, რომლებიც აღწერენ პერსონაჟების შინაგან გრძნობებს

შინაგანი გრძნობები				
გენდერი	მამრობითი სქესი		მდედრობითი სქესი	
პერსონაჟები	დარსი	ბინგლი	ელიზაბეტი	ჯეინი
ზედსართავი სახელები შინაგანი გრძნობების შესახებ	გაბრაზებული აუტანელი სერიოზული	აღფრთოვანებული 2 მოხარული გაბრაზებული ნასიამოვნები კმაყოფილი	განწყობილი შეშინებული გაოცებული არამწყალობელი მოხარული	მადლიერი აღფრთოვანებული
ჯამი	3	6	5	2
	9		7	

(Xu, 2009:20).

მეექვსე ცხრილიდან ჩანს, რომ არა მხოლოდ მდედრობითი სქესის წარმომადგენლები არიან მგრძნობიარეები, არამედ მამრობითი სქესისაც, რადგანაც ორივე მათგანს საერთო ადამიანური გრძნობები აქვს.

რაც შეეხება გარეგნულ თვისებებს, რომლებიც გამოხატულია მე-7 ცხრილში, გვიჩვენებს, თუ როგორ ახასიათებს ავტორი მთავარ პერსონაჟებს ზედსართავი სახელებით.

ცხრილი № 7 ზედსართავი სახელები, რომლებიც აღწერენ პერსონაჟების გარეგან თვისებებს (გარეგნობა)

გარეგანი თვისებები (გარეგნობა)				
გენდერი	მამრობითი სქესი		მდედრობითი სქესი	
პერსონაჟები	დარსი	ბინგლი	ელიზაბეტი	ჯეინი
ზედსართავი სახელები გარეგანი თვისებების შესახებ	მშვენიერი ახალგაზრდა	ახალგაზრდა სიმპათიური კარგი შესახედაობის ჯენტლმენური	სიმპათიური <u>2</u> ლამაზი ამტანი <u>2</u> მშვენიერი <u>2</u> ტკბილი შესანიშნავი <u>2</u> კაშკაშა სასიამოვნო ახალგაზრდა <u>2</u>	სიმპათიური <u>2</u> მშვენიერი <u>2</u> ლამაზი ტკბილი
ჯამი	2	4	14	6
	6		20	

(Xu, 2009:21-22).

მეშვიდე ცხრილი გვიჩვენებს, რომ მამრობითი პერსონაჟების გარეგნული თვისებების გამომხატველის ზედსართავი სახელების რაოდენობა არის 6, ხოლო მდედრობითი სქესის წარმომადგენლებისა – 13. შეიძლება დავასკვნათ, რომ ავტორი იყენებს უფრო მეტ ზედსართავ სახელს, რომ დაახასიათოს მდედრობითი სქესის პერსონაჟების გარეგნული თვისებები, ვიდრე მამრობითი სქესისა. უკვე ნათლად ჩანს, რომ მე-19 საუკუნეში დიდი ყურადღება ექცეოდა ქალების გარეგნობას. იგრძნობა გარკვეული დისკრიმინაცია, რადგან ქალების შინაგან თვისებებსა და ღირებულებებზე მეტ მნიშვნელობას გარეგნულ თვისებებს ანიჭებდნენ. გარდა ამისა,

სიტყვები: **ახალგაზრდა და სიმპათიური** არის ორი ზედსართავი სახელი, რომლებიც გამოიყენება ორივე სქესის წარმომადგენლის დასახასიათებლად მაგ. დარსი და ბინგლი და ელიზაბეტი. ეს აჩვენებს გარკვეულ მსგავსებას ზედსართავი სახელების არჩევისას. რაც შეეხება ზედსართავ სახელებს: **ლამაზს, მშვენიერსა და ტკბილს**, ისინი (ახასიათებს ელიზაბეტს და ჯეინს) შეიძლება მივიჩნიოთ, როგორც ქალების მიერ გამოყენებული ენა. ამასთან, **ჯენტლმენური** არის ტიპური ზედსართავი სახელი, რომელიც აღწერს მამრობით სქესს, მაშინ როცა **ლამაზი, მშვენიერი, ტკბილი** ტიპურია მდედრობითი სქესის წარმომადგენლების დასახასიათებლად.

ჩვენ მიერ ჩატარებული ანალიზი გვიჩვენებს, რომ მხატვრულ ნაწარმოებში „სიამაყე და ცრურწმენა“ ავტორი, სავარაუდოდ, ყურადღებას ამახვილებს მამრობითი სქესის შინაგან თვისებებსა და მდედრობითი სქესის გარეგნულ თვისებებზე. რაც შეეხება შინაგან გრძნობებს, ისინი ერთნაირად ახასიათებს, როგორც მამრობითი, ისე მდედრობითი სქესის წარმომადგენლებისათვის. აქედან შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ინგლისელ ქალ მწერალზე გავლენა აქვს მე-19 საუკუნის იმ გენდერული სამყაროს სურათს, სადაც ის ჯერ კიდევ მიიჩნევა მგრძნობიარე, ემოციურ არსებად, მაშინ როცა მამაკაცები პირველ ადგილზე დგანან და ქალები მათზე დამოკიდებული არიან. თარგმნისას მთარგმნელმა ჯერ უნდა გაითვალისწინოს ნაწარმოებში მოცემული შინაარსი და მთელი ფაბულა, ის ღირებულებები, რომლებიც მე-19 საუკუნეში იყო აქტუალური და მათ შორის, გენდერის ფაქტორიც. კერძოდ, ყურადღება უნდა მიაქციოს პერსონაჟების შინაგანი გრძნობებისა და შინაგანი თუ გარეგანი თვისებების გამომხატველ ლექსიკურ ერთეულებს და მათი გამოყენების თავისებურებებს.

უცხოურმა კვლევებმა აჩვენა, რომ გენდერიზმის (ე. ჰოფმანი) და ძალაუფლების კონცეფცია (მ. ფუკო), ისევე, როგორც საზოგადოების გენდერული დიფერენცირების კულტურული კონცეფცია (მ. მედი), ამართლებს ენობრივი გენდერის თეორიულ საფუძველს. სხვადასხვა კულტურის კვლევამ აჩვენა, რომ მამაკაცისა და ქალის ქცევის ახსნა მხოლოდ ბიოლოგიური სქესის მიხედვით შეცდომაა. ქცევითი თვისებები, რომლებიც მამაკაცებში ან ქალებში გამოვლინდება, ერთ კულტურაში დასაშვებია, მეორეში – არა.

ამავე დროს, ყველა კულტურაში დაკვირვებას საჭიროებს განსხვავებები სქესებს შორის და როგორც კი რომელიმე ქცევა ასოცირდება გარკვეულ სქესთან, საპირისპირო გენდერის წარმომადგენლები ცდილობენ, თავი დააღწიონ მათ. სწორედ ეს ფაქტი გახდა საფუძველი გენდერული კონცეფციის ჩამოყალიბებისა, რომელიც კულტურულად და სოციალურად განპირობებულია და რეპროდუცირებულია საზოგადოებრიობის მიერ სქესის ქცევებში. პოსტმოდერნისტების შემოქმედებაშიც გენდერულ გამოკვლევებს ენიჭება ენის კუმულაციური ფუნქციის შესწავლა, ანუ მასში გარკვეული გენდერული სტერეოტიპების დადგენა და მათი დინამიკის ანალიზი, ასევე საზოგადოების ტრადიციული გენდერული დიფერენცირების ცვლილებები. ენაში შესაძლებელია ჩამოყალიბდეს გენდერული ასიმეტრიები და ჩამოყალიბდეს ფართოკულტურული ფემინისტური და მასკულინური სტერეოტიპები.

ენაში აირეკლება კულტურა, საზოგადოების კულტურული ქცევები და დამოკიდებულებები. გენდერი ითვლება კარგად ნაცნობ ლინგვისტურ ფენომენად. სქესი მიიჩნევა გენდერული ნიშნით დისკრიმინაციად ქალების ან კაცების წინააღმდეგ, საზოგადოება დღესდღეობით ისევ ენდოცენტრულია და კაცების ენა ხშირად ნორმად მიიჩნევა.

3.2 თავი - მხატვრული ტექსტი გენდერულ ასპექტში.

მეცნიერები ვ. ლაბოვი, დ. კამერონი და პ. კლაუსი კამათობდნენ იმის შესახებ, თუ რომელი ენობრივი ნიშანი დგას პირველ ადგილზე სინქრონული ვარიაციებიდან და რა ახდენს გავლენას დიაქრონულ ვარიაციაზე ენისა და გენდერის ურთიერთიმართებაში, კონკრეტულად, ენობრივი ინოვაცია უფრო ქალებისთვისაა დამახასიათებელი თუ მამაკაცებისთვის. ვ. ლაბოვი (Labov, 1996: 98) და კამერონი (Cameron, 2003: 57) მიიჩნევენ, რომ ქალები არიან ლიდერები ენობრივი ცვლილებისა და მიუხედავად იმისა, რომ ეს ცვლილებები არ არის შესწავლილი გენდერულად, ისინი მაინც იცვლილება დროის, ადგილის და ამ ენაზე მოსაუბრე ერის განვითარებასთან ერთად. მხატვრული ლიტერატურის პერსონაჟთა მეტყველების დახასიათებისთვის უნდა გავითვალისწინოთ პრაგმატიკული ასპექტი სემანტიკურ-

თან ერთად და დავუკავშიროთ ორ სხვადასხვა ენაზე მოლაპარაკე ადამიანთა ვერბალური ქცევის ფსიქოლოგიურ ასპექტებს. როგორც გერმანელი ფილოსოფოსი პ. კლაუსი წერდა: „ენობრივ ნიშნებს ადამიანი იყენებს იმისათვის, რომ თავისი აზრები სხვას გააგებინოს. ამრიგად, ეს ნიშნები ქმნიან კომუნიკაციის საშუალებებს, რათა დააინტერესონ თანამოსაუბრე, ისე, რომ ამავედროულად გამოიწვიონ მისი მხრიდან გარკვეული რეაქცია“ (Klaus, 1988: 98).

ამდენად, აღნიშნული რეაქციის მისაღებად, საჭიროა პერსონაჟების მეტყველების გენდერული ასპექტების შესწავლა და მათი თარგმნა ამ ასპექტების გათვალისწინებით, რათა შედგეს გენდერული კომუნიკაცია. როგორც ბევრი მეცნიერი აღნიშნავს, სქესთა შორის კომუნიკაცია განსხვავებული სტილის გამო ისედაც ჰგავს კულტურათშორის კომუნიკაციას. ჯ. ოსტინისა („სიამაყე და ცრურწმენა“) და პ. ფილდინგის („ბრიჯიტ ჯონსის დღიური“) საანალიზო წყაროებზე დაკვირვების შედეგად გამოიკვეთა შემდეგი გენდერული ასპექტები:

- ორივე ავტორი (ოსტინი და ფილდინგი) აქტიურად იყენებს ქალისა და კაცის მეტყველებისთვის დამახასიათებელ ენობრივ საშუალებებს, რაც გამოიხატება ქალისა და მამაკაცის მეტყველებაში განსხვავებული ლექსიკის, სინტაქსური კონსტრუქციების გამოყენებაში, მაგალითად:

„You are considering how insupportable it would be to pass many evenings in this manner—in such society; and indeed I am quite of your opinion. I was never more annoyed! The insipidity, and yet the noise—the nothingness, and yet the self-importance of all those people! What would I give to hear your strictures on them!” (Austen, 2008:17).

„თქვენ ალბათ იმაზე ფიქრობთ, რა სისულელეა ასეთი საღამოები. მეც გეთანხმებით. ნაწყენიც კი ვარ! რა მოწყენილობაა და რა უგემოვნობა, თანაც ამდენი ხმაური ხალხისა, რომელიც არაფერს წარმოადგენს და მაინც კი რამხელა წარმოდგენა აქვთ თავიანთ თავზე! ერთი თქვენებური კრიტიკა მომასმენინა მათ მიმართ!” (ოსტინი, 2014:25).

„Your conjecture is totally wrong, I assure you. My mind was more agreeably engaged. I have been meditating on the very great pleasure which a pair of fine eyes in the face of a pretty woman can bestow”, (Austen, 2008:17).

„თქვენ რაც გიფიქრიათ, მის ბინგლი, სრულიად შემცდარხართ. ჩემი გონება სხვა, უფრო სასიამოვნო ფიქრებმა დაიკავეს. მე იმ ქალის მშვენიერ თვალებზე ვფიქრობდი, კაცს რომ დიდ სიამოვნებას ჰგვრის მათი შეხედვა“. (ოსტინი, 2014:26).

3. ფილდინგი თავის ბედზე გაბრაზებული ქალი პერსონაჟის ფიქრებს ასე გადმოგვცემს:

„Anyway, have got giant traysizedbar of Cadbury's Dairy Milk left over from Christmas on dressing table, also amusing jokegin and tonic miniature. Am going to consume them and have fag“ (Filding, 1997:14).

„არა უშავს, მაგიდაზე შობიდან შემორჩენილი „ქედბერი“-ს ფირმის უზარმაზარი რძიანი შოკოლადი მიღევს, კიდევ ჯინ ტონიკის მომცრო, სასაჩუქრე ბოთლი. ახლავე ყველაფერს შევსანსლავ და პაპიროსსაც დავაყოლებ“ (ფილდინგი, 2008:11).

მოცემულ მაგალითში რთულია იმის გარკვევა, თუ ვის ეკუთვნის აღნიშნული ფიქრები, რომ არ ვიცოდეთ ნაწარმოების შინაარსი, რთული გასაგები იქნებოდა, რომ აღნიშნული ფიქრები ნაწარმოების მთავარ გმირს ბრიჯიტს ეკუთვნის.

მამაკაც პერსონაჟებს შემდეგი ხერხებით ახასიათებს ნაწარმოების („სიამაყე და ცრურწმენა“) ავტორი:

მაგალითად:

„ნეზერფილდი ერთმა ძალზე მდიდარმა ახალგაზრდა კაცმა იქირავა“ (ოსტინი, 2014:7).

„Netherfield is taken by a young man of large fortune“ (Austen, 2008:3).

„უცოლო და თანაც საარაკო სიმდიდრის პატრონი!“ (ოსტინი, 2014:7).

„A single man of large fortune“ (Austen, 2008:3).

„ ... მისი დარდიმანდული ხასიათის გამო... “ (ოსტინი, 2014:17).

„ who best knew the easiness of his temper“ (Austen, 2008:10).

„ ... დარსი ბინგლიზე ჭკვიანიც იყო და ეშმაკიც. ამავე დროს ის იყო გოროზი, თავშეკავებული, ქედმაღალი და, კეთილშობილური აღზრდის მიუხედავად, კარგი მანერებით მაინც ვერ დაიკვებნიდა“ (ოსტინი, 2014:17).

„Darcy was the superior. Bingley was by no means deficient, but Darcy was clever. He was at the same time haughty, reserved, and fastidious, and his manners, though well-bred, were not inviting. In that respect his friend had greatly the advantage. Bingley was sure of being liked wherever he appeared, Darcy was continually giving offense“ (Austen, 2008:11).

საინტერესოდ ადარებს ერთმანეთს მამაკაც და ქალ პერსონაჟებს შემდეგ მაგალითში:

„მისტერ ბენეტმა ხუმრობა, სარკაზმი და თავშეკავებული ახირება ერთმანეთს ისევ მოხდენილად შეუზავა. ასეთი რთული ხასიათის ამოსაცნობად ოცდასამწლიანი თანაცხოვრება როდი კმარა. მისის ბენეტი კი გულმარტივი, სულმდარე და ცოტა უმეცარიც იყო. რამე რომ არ აკმაყოფილებდა, ნერვების მოშლას იმიზეზებდა ხოლმე“ (ოსტინი, 2014:9).

„Mr. Bennet was so odd a mixture of quick parts, sarcastic humour, reserve, and caprice, that the experience of three-and-twenty years had been insufficient to make his wife understand his character. Her mind was less difficult to develop. She was a woman of mean understanding, little information, and uncertain temper. When she was discontented, she fancied herself nervous“ (Austen, 2008:4).

თუ როგორ ახასიათებს ნაწარმოების („სიამაყე და ცრურწმენა“) მამაკაცზე გაზრახვებული ქალი პერსონაჟი კაც პერსონაჟს, კარგად ჩანს შემდეგ მაგალითში:

„ ...უხამსი და საშინელი კაცია. ისეთი ამპარტავანია, რომ ერთ წამსაც ვერ აიტან! აქეთ-იქით გაჯგიმული დადის, თავი დიდი ვინმე ჰგონია! ისეთი სიმპათიურიც არ არის, რომ მასთან ცეკვა მოგინდეს“ (ოსტინი, 2014:15).

„... he is a most disagreeable, horrid man, not at all worth pleasing. So high and so conceited that there was no enduring him! He walked here, and he walked there, fancying himself so very great! Not handsome enough to dance with!“ (Austen, 2008:9).

- ორივე ავტორის ნაწარმოებში ვხვდებით ისეთ საშუალებებს, რომლებიც თავად ასახავენ მიმართებებს ცნებებთან „მამაკაცურობა“ და „ქალურობა“. ვიხილოთ მე-8 ცხრილის მაგალითები:

ცხრილი № 8

	ორიგინალი	ქართული თარგმანი
მამაკაცი პერსონაჟების მახასიათებლები	„He is just what a young man ought to be“, said she, „sensible, good-humoured, lively“ (Austen, 2008:9).	„ის ახალგაზრდა კაცის იდეალია, ჭკვიანი, იუმორითა და სიცოცხლით სავსე“ (ოსტინი, 2014:15).
ქალი პერსონაჟების მახასიათებლები	She is the most beautiful creature I ever behel (Austen, 2008:8).	ის ხომ უმშვენიერესი ქმნილებაა (ოსტინი, 2014:15).

ქალთა პროზა არის სოციალურ-კულტურული მოვლენა, რომელიც გამოჩნდა საზოგადოების სივრცეში ქალთა განვითარების საფუძველზე, ეს კი აისახა ასევე ლიტერატურულ ტექსტებში, სადაც აღწერდნენ სამყაროს და პრაქტიკულად ქალების თვალთ დანახულ ქალთა სოციალური გამოცდილებას.

მოცემულ ნაშრომში ჩვენ განვიხილავთ თარგმანის გენდერულ თავისებურებებს ელენ ფილდინგის რომან „ბრიჯიტ ჯონსის დღიურის“ საანალიზო წყაროზე დაყრდნობით. რომანი დაიწერა 2001 წელს. აღნიშნულ რომანში ავტორი მოგვითხრობს, ჟურნალისტზე, კარიერის ფორმირების, ბარიერებისა და

გამოწვევების შესახებ, რომლებიც მან უნდა გადალახოს. ამ შემთხვევაში რომანში გენდერული თავისებურებების გამოვლენა განსაკუთრებით საინტერესოა ანალიზისთვის მთავარი გმირის, როგორც ქალის აღწერისას, რადგანაც ის არის დამოუკიდებელი, დაბნეული, ალკოჰოლსა და სიგარეტზე დამოკიდებული და გაუთხოვარი. იგი ცდილობს, დაძლიოს ბევრი წინააღმდეგობა წარმატების მისაღწევად.

ერთ-ერთი ცენტრალური კვლევის მეთოდი თარგმანის ლინგვისტიკაში, არის თარგმანისა და ორიგინალი ტექსტის შედარებითი ანალიზი, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ჩვენ ჩავატარეთ თარგმანის ტექსტის ანალიზი ფორმისა და შინაარსის შენარჩუნებით, ის ორიგინალის ტექსტს შევადარეთ. ჩვენ განვიხილავთ გენდერულად მარკირებულ ლექსიკურ ერთეულებს შერჩევის მეთოდის გამოყენებით ენის სამ დონეზე, ესენია: მორფოლოგიური, ლექსიკური და სინტაქსური.

მორფოლოგიურ დონეზე გენდერული მახასიათებლები ერთგვარად გამოიხატება სქესის კატეგორიაში. თანამედროვე ინგლისურ ენაში, რომელსაც აქვს ანალიტიკური სისტემა, სქესი ვლინდება მხოლოდ ლექსიკურ კატეგორიაში და არ გამოიხატება ფორმის სახით. ამა თუ იმ საგნის სქესის გარჩევა შესაძლებელია მესამე პირის მხოლოდითი რიცხვის ნაცვალსახელის გამოყენებით შესაბამისი კორელაციის მიხედვით, რაც ქართულ ენაში არ განირჩევა (she, he, it). ასევე სქესის კატეგორია ჩანს კონტექსტიდან (რუსული ენციკლოპედიური ლექსიკონი, 2000:688). თავის მხრივ, რუსულ ენაში სიტყვის დაბოლოებებითაც შესაძლებელია სქესის გარჩევა, რაც ქართულ ენაში პრობლემას წარმოადგენს. აქედან გამომდინარე, ორიგინალის ტექსტში ამ მიზანს ემსახურება კონტექსტი, ხოლო თარგმანის ტექსტში - სქესის გრამატიკული კატეგორია, მაგალითად:

“She started saying she wanted to be paid for doing the housework, and she’d wasted her life being our slave” (Filding, 1997:30).

„მოთხოვნები წამომიყენა, მინდა დიასახლისობისთვის ხელფასი გადამიხადო, მთელი ცხოვრება თქვენს მონობას შევალიეო“ (ფილდინგი, 2008:29).

ამ შემთხვევაში მორფოლოგიური ასიმილაცია (მათი ბოლო სეგმენტი იცვლება ფონეტიკურად მისი მსგავსი სუფიქსით ინგლისურ ენაში <https://www.tsu.ge/data/file/db/facultyhumanities/tezisebis%20krebuli.pdf>) გვაძლევს საშუალებას, განვმარტოთ თარგმანის ტექსტში, რომ საუბარი ეხება ქალს, გენდერულ თვისებების გამოვლენა მორფოლოგიურ დონეზე არ გულისხმობს დიდი რაოდენობით ტრანსფორმაციის გამოყენებას და ორიგინალი ტექსტის რადიკალურ ცვლილებას.

გენდერული თავისებურებანი ნათლად იჩენს თავს ლექსიკურ დონეზე, რადგანაც რომანის გმირების აღწერა, მათი ქცევა, მანერები და ა.შ. არის გენდერის ნიშნების გამოვლინების ძირითადი წყარო. პირველ რიგში, გენდერი ვლინდება სქესის შესაბამისად ნაცვალსახელების გამოყენებით. ნაცვალსახელი განკუთვნილია გენდერის გამოსახატავად ენაში, რომელიც აღნიშნულთან ერთად ასრულებს სხვა ფუნქციებსაც, ემსახურება ტექსტში შინაარსის სრული სიცხადით გამოხატვას და სახელის ჩანაცვლებას. პირის, კუთვნილებითი და უკუქცევითი ნაცვალსახელების გამოყენებით სქესი რომ ვაჩვენოთ, უნდა დავუმატოთ სიტყვა კაცი ან ქალი, მაგალითად:

„How dare he say you were getting too serious by asking to go on holiday with him?” yelled Sharon. ‘What is he talking about?’ (Filding, 1997:16).

„ როგორ გაბედა ეთქვა, მეტისმეტად სერიოზულ სახეს აძლევ ურთიერთობასო, შენ ხომ მხოლოდ შვებულების ერთად გატარება შესთავაზე? ღრიალებდა შერონი. რა ჯანდაბას ბოდავს?“ (ფილდინგი, 2008:13).

განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს ლექსიკა ფემინისტური და მასკულინური ელფერით, რომელიც დამახასიათებელია ქალებისა და მამაკაცების, ასევე მათი ქცევისა და მდგომარეობის აღწერისას საზოგადოებაში.

ამ კუთხით ე. ფილდინგის რომანი „ბრიჯიტ ჯონსის დღიური“ ძალიან საინტერესოა. რომანის ავტორი ახასიათებს ქალს, რომელიც მუდმივად ეწინააღმდეგება საკუთარ სისუსტეებს. მას აქვს მამაკაცური თვისებები, თუმცა იმიტომ, რომ სხვებს აჩვენოს თავისი სიძლიერე, მაგალითად:

“There’s a whole generation of single girls like me with their own incomes and homes who have lots of fun and don’t need to wash anyone else’s socks” (Filding, 1997:27).

„და, აი, შედეგიც, ჩემნაირი გოგონების მთელი თაობა, გოგოებისა, რომლებსაც აქვს საკუთარი შემოსავალი და სახლი, რომლებიც ბევრს მხიარულობენ და სულაც არ სჭირდებათ ვიღაცისთვის წინდების რეცხვა“ (ფილდინგი, 2008:25).

განვიხილოთ რამდენიმე გენდერულად მარკირებული მაგალითი ენის ლექსიკურ დონეზე, რომელსაც აქვს ფემინისტური და მასკულინური კონცეპტი.

- „*don't need to wash anyone else's socks*“

- „არ სჭირდებათ ვიღაცისთვის წინდების რეცხვა“.

ჩვენი აზრით, ეს არის წარმატებული მთარგმნელობითი გადაწყვეტილება: თარგმანი სრულიად ინარჩუნებს ორიგინალის კონოტაციას და ავტორის სურვილს, გვაჩვენოს, რომ მთავარი გმირის ბრიჯიტის მეტყველება ხასიათდება მარტივი სამეტყველო ფრაზებით. ფრაზების ამგვარი ეკვივალენტის გამოყენება დამახასიათებელია ქალური მეტყველებისთვის. ამით ჩვენ მაშინვე ვხვდებით, რომ ჩვენ წინაშე დგას ქალი, რომელიც არ წარმოადგენს მაღალი საზოგადოების წევრს, რადგანაც ფრაზა ნეიტრალურია. აქედან გამომდინარე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ გენდერული სპეციფიკის გამოვლინება მრავალფეროვანი ლექსიკის დონეზე საჭიროებს მთარგმნელობითი ტრანსფორმაციების გამოყენებას.

ასევე ზემოთ აღნიშნული მაგალითის თანახმად შეგვიძლია სინტაქსურ დონეზე გამოვყოთ როგორც ქალური, ასევე მამაკაცური მეტყველებისთვის დამახასიათებელი კონსტრუქციები.

ამდენად, მამაკაცური და ქალური მეტყველებისთვის დამახასიათებელ თავისებურებებზე დაფუძნებული კვლევების გასაანალიზებლად განვიხილოთ შემდეგი მაგალითები:

1. მეტყველების ფემინისტური თვისებები:

1) *"You should have said, I'm not married because I'm a Singleton, you smug, prematurely ageing, narrow-minded morons," Shazzer ranted. "And because there's more than one bloody way to live: one in four households are single, most of the royal family are single, the nation's young men have been proved by surveys to be completely unmarriageable"* (Filding, 1997:27).

... „უნდა გეთქვა: თქვე იდიოტებო, იმიტომ არ ვთხოვდები, რომ მე თავისუფალი მარტოხელა ვარ, თქვე თვითკმაყოფილო, ნაადრევად დაბერებულო, გონებაზეზღუდულო ჩლუნგებო“, „და კიდევ იმიტომ, რომ ცხოვრების მრავალი გზა არსებობს - ყოველ მეოთხე საოჯახო მეურნეობას მარტოხელა ადამიანი უძღვება, თითქმის ყველა სამეფო ოჯახის წევრი მარტოხელაა. გამოკვლევები ადასტურებს, რომ ჩვენს ქვეყანაში ახალგაზრდა მამაკაცების დიდი უმრავლესობა საერთოდ არ გამოდგება ოჯახის შესაქმნელად“ (ფილდინგი, 2008:25).

მოცემული პასაჟი არის ნათელი მაგალითი ქალთა მეტყველებისა, რომელიც დამახასიათებელია ფემინისტური მეტყველებისთვის. პირველ რიგში, წინადადებებში უხვადაა პუნქტუაციის ნიშნები, რომლებიც დამახასიათებელია ქალური მეტყველებისთვის. მეორე, ჩვენ ვხედავთ ინდუქციური კონსტრუქციებისა და სიტყვების გამოყენების მაღალ სიხშირეს. ასევე შეგვიძლია დავაკვირდეთ პარალელური კონსტრუქციების გამოყენებას.

2) *„Of music! Then pray speak aloud. It is of all subjects my delight. I must have my share in the conversation if you are speaking of music. There are few people in England, I suppose, who have more true enjoyment of music than myself, or a better natural taste. If I had ever learnt, I should have been a great proficient“* (Austin, 2008:102).

- „მუსიკაზე? მაშინ, გთხოვ ხმამაღლა ისაუბრე. მუსიკა ძალიან მიყვარს. ამიტომ მეც უნდა გავიგონო. ინგლისში ალბათ ცოტაა ადამიანი, ვისაც ჩემსავით უყვარს მუსიკა ან ჩემსავით გემოვნებიანია ამ საკითხში. რომ მესწავლა, ალბათ ახლა დიდი მუსიკოსი ვიქნებოდი“ (ოსტინი, 2014:122).

ეს მოსაზრება გვიჩვენებს ქალური მეტყველებისთვის დამახასიათებელ ისეთ თვისებებს, როგორცაა: მეტყველების მაღალი დონე, თანამოსაუბრისთვის მიმართვა და შთაბეჭდილების მოხდენა.

1. მეტყველების მასკულინური თვისებები:

1) „*In vain I have struggled. It will not do. My feelings will not be repressed. You must allow me to tell you how ardently I admire and love you*“ (Austin, 2008:112).

„სულ ტყუილად ვებრძოდი ჩემს თავს. მაინც არაფერი გამომდის. გრძნობას ვერაფერი მოვუხერხე. ნება მომეცით გითხრათ, რომ ძალიან მიყვარხართ“ (ოსტინი, 2014:132).

2) „*I have no wish of denying that I did everything in my power to separate my friend from your sister, or that I rejoice in my success. Towards him I have been kinder than towards myself*“ (Austin, 2008:113).

„მე არ უარვყოფ, რომ ჩემი მეგობარი და თქვენი და ერთმანეთს დავაშორე. ვამაყობ კიდევ ამით. ბინგლისადმი უფრო კეთილი აღმოვჩნდი, ვიდრე საკუთარი თავის მიმართ“ (ოსტინი, 2014:133).

მოცემულ შემთხვევაში მთავარი გმირის მეტყველებაში ჩვენ ვხედავთ მოკლე წინადადებებს, რაც შენარჩუნებულია თარგმანში და დამახასიათებელია მამაკაცური მეტყველებისთვის. ზემოთ მოყვანილი მაგალითიდან ჩანს, რომ გმირის მეტყველება განსხვავდება ლექსიკური ერთეულების თვალსაზრისით, რომელიც დამახასიათებელია მამაკაცური მეტყველებისთვის.

ქალებისთვის მნიშვნელოვანია თავიანთი დამოუკიდებლობისა და სტაბილურობის დამკვიდრება ცხოვრებაში, მაგალითად ელენ ფილდინგის რომანში „ბრიჯიტ ჯონსის დღიური“ მთავარი გმირი ასე გამოხატავს თავის აზრს აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით:

“*I had a career ... I was a grasshopper collecting a big pile of grass, or flies ... ready for winter, even if I didn't have a boyfriend*”(Filding, 1997:41).

„კარიერა ხომ მქონდა... მე ის ჭრიჭინა ვიყავი, რომელიც ზამთრისთვის ბალახის დიდ კონებს, ან ბუზებს ვიმარაგებდი, დიდი ამბავი თუ მეგობარი მამაკაცი არ მყავდა“ (ფილდინგი, 2008:42).

მთარგმნელი შეეცადა სრულად გადმოეტანა ორიგინალი ტექსტი, როგორც აზრობრივად ასე ვიზუალურად, რისთვისაც იგი იყენებს ლექსიკურ ტრანსფორმაციას, დამატებას: „დიდი ამბავი,,.

თუმცა ასევე ვხვდებით ჩვენი მთავარი გმირის სასოწარკვეთილ მდგომარეობას, რომლებიც თავისი მოსაზრებით დამახასიათებელია „მარტოხელა ქალებისთვის“, მაგალითად:

„singlewomen do tend to get desperate as they get older..“ (Fielding, 1997:100).

„მარტოხელა ქალებს ასაკის მატებასთან ერთად სასოწარკვეთილებაში ჩავარდნა სჩვევიათ“ (ფილდინგი, 2008:111).

საზოგადოებისთვის სიტყვა „ქალი“ ნიშნავს ძალაუფლების არმქონე პიროვნებას, რომელიც კაცს საშუალებას აძლევს, იერარქიულად მაღალ პოზიციაზე ავიდეს, როგორც ბრიჯიტ ჯონსი აცხადებს თავის დღიურში:

“It’s typical of men to annex a global trend and turn it into male device to reject women to make themselves feel clever and us feel stupid”(Fielding, 1997:97).

„ტიპური მამაკაცური საქციელია: გლობალური ტენდენციის გამოყენება ქალების ფეხებზე დასაკიდებლად, რომ თვითონ თავი ჭკვიანებად იგრძნონ, ჩვენ კი სულელებად გამოგვიყვანონ“ (ფილდინგი, 2008:111).

აქედან გამომდინარე, სინტაქსურ დონეზე გენდერული თავისებურებების გაანალიზებით შეგვიძლია დავასკვნათ, რომ დომინირებს ქალური მეტყველებისთვის დამახასიათებელი და ტიპური სამეტყველო თავისებები.

ზემოთ აღნიშნული მტკიცებულების კიდევ უფრო გასამყარებლად ვიხილოთ რამდენიმე მაგალითი ინგლისელი მწერლის- ჰელენ ფილდინგის „ბრიჯიტ ჯონსის დღიურიდან“:

1. *“I am a woman of substance and do not need men in order to be complete”(Fielding, 1996:28).*

„დიდებული ქალი ვარ და სრულყოფილებისთვის მამაკაცი არ მჭირდება“ (ფილდინგი, 2008:26).

2. *“Maybe they really do want to patronize us and make us feel like failed human beings”*(Fielding, 1996:26).

„თუ შეგნებულად უსვამენ ხაზს საკუთარ უპირატესობას, რომ ჩემნაირებმა თავი წარუმატებელ ადამიანებად იგრძნონ?“ (ფილდინგი, 2008:24).

3. *“...must be complete in oneself as a woman of substance”* (Fielding, 1996:22).

„მოიცა, უნდა დავმშვიდდე, მე მამაკაცის გარეშეც სრულყოფილი ვარ! მე მამაკაცის გარეშეც სრულყოფილი ვარ! მე მამაკაცის გარეშეც სრულყოფილი ვარ!“ (ფილდინგი, 2008:20).

4. *“Smoking is a sign of weakness and undermines one’s personal authority”* (Fielding, 1996:107).

„მოწევა სისუსტის ნიშანია და პიროვნების ავტორიტეტს ძირს უთხრის“ (ფილდინგი, 2008:118).

5. *We women are only vulnerable because we are a pioneer generation daring to refuse to compromise in love and relying on our own economic power. In twenty years’ time men won’t even dare start with fuckwittage because we will just laugh in their faces”* (Fielding, 1996:16).

„ჩვენ პირველი თაობა ვართ იმ ქალებისა, რომლებიც უარს ამბობენ სიყვარულში კომპრომისებზე და აქვთ საკუთარი შემოსავალი, ამიტომაც ვზარალებით. სულ რაღაც ოციოდე წელიწადში კაცები ვეღარ გაზედავენ მოუმწიფებლად მოქცევას, რადგან პირში დავცინებთ“ (ფილდინგი, 2008:14).

6. *Tom has a theory that homosexuals and single women in their thirties have natural bounding; both being accustomed to disappointing their parents and being treated as freaks by society”*(Fielding, 1996:20).

„მისი თეორიის თანახმად, ოცდაათ წელს გადაცილებულ ჰომოსექსუალებს და მარტოხელა ქალებს ერთი რამ აერთიანებთ: ორივე ჯგუფი მიჩვეულია, რომ მეგობარი მამაკაცები იმედს უცრუებენ, ხოლო საზოგადოება შერყეულად მიიჩნევს“

(ფილდინგი, 2008:18).

ამდენად, თუ გავითვალისწინებთ იმ ფაქტს, რომ გენდერული კვლევა ერთ-ერთი ცენტრალური საკითხია თანამედროვე ლინგვისტურ, სოციოლოგიურ და კულტურულ კვლევებში, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ მთარგმნელობითი კომპეტენციის ფორმირების ფარგლებში მხატვრული თარგმანის სწავლებისას გენდერული ასპექტები უფრო მნიშვნელოვანი ხდება. ასევე ერთმანეთისგან გავმიჯნოთ შემდეგი ცნებები: გენდერი - რომელიც უპირველეს ყოვლისა წარმოადგენს სოციოკულტურულ ცნებას, გრამატიკული სქესი, რომელიც წარმოადგენს ექსკლუზიურად ლინგვისტურ გაგებას და სქესი, რომელიც წარმოადგენს ადამიანის ფიზიოლოგიურ და ანატომიურ მახასიათებელს.

გენდერული სტერეოტიპები, განსაკუთრებით სტერეოტიპული ოპოზიციები, როგორებიცაა: ლოგიკურობა - ინტუიცია, აბსტრაქტულობა, კონკრეტიზაცია, ექსპრესიულობა, გონიერება - უგუნურება, ძალაუფლება და დაქვემდებარება, წესრიგი და ქაოსი და ა.შ. უნდა აღირიცხოს მთარგმნელის მიერ მხატვრული თარგმანის შესრულებისას, რათა უკეთ წარმოაჩინოს ამა თუ იმ ნაწარმოების მთავარი გმირი.

ენის გენდერული ასიმეტრიის პრობლემა (ენაში პირთა განსხვავებული სქესის არათანაბარი წარმოჩენა) ყველაზე ნათლად ჩანს ინგლისური ენის მაგალითზე. ასიმეტრიის ძირითად ნიშნებს ტრადიციულად წარმოადგენს იდენტიფიკაციური ცნებები „ადამიანი“ და „მამაკაცი“ (აღნიშნული სიტყვა გამოხატავს მამრობითი სქესის პირებს). არსებითი სახელის მდებრობითი სქესი გამოიყენება მამრობითი საწყისიდან და არა პირიქით. თარგმანის შემსწავლელებმა უნდა იცოდნენ, რომ ამგვარ ასიმეტრიას განსხვავებული დამოკიდებულება აქვთ ინგლისური, რუსული და ქართული ენების მიმართ.

ჩვენ განვიხილეთ ქალისა და მამაკაცის სამეტყველო ქცევის მახასიათებლები და აღმოვაჩინეთ, რომ ქალის მეტყველება უფრო ემოციურია, მდიდარია ეტიკეტური კონსტრუქციებით და შორისდებულებით. ურთიერთობის დროს ქალებს ახასიათებთ ჰიპერბოლის, ასევე შემფასებლური ზედსართავი სახელების გამოყენება. თავის მხრივ, მამაკაცების მეტყველება ხასიათდება თავშეკავებულობით, თანმიმდევრუ-

ლობით, ნაკლები ემოციურობით, ისინი კი არ აფასებენ, არამედ ძალიან მკაფიოდ გამოხატავენ ემოციებს.

მესამე პირის მხოლოდობითი რიცხვის ნაცვალსახელი უშუალოდ დაკავშირებულია ქალთან ან მამაკაცთან, რომელიც აღწერს მდებარეობითი ან მამრობითი სქესის პირს. აღნიშნული პრობლემის სრული განხილვისათვის მოცემული მასალა საკმაოდ მწირია, რაც უდავოდ მოითხოვს ჩავუღრმავდეთ ამ პრობლემას, ხოლო ამ ეტაპისათვის შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ქალები მათზე გავრცელებული სტერეოტიპული შეხედულების თანახმად რჩებიან ნაზ და ნორჩ არსებებად, რომლებისგანაც ყოველთვის ელოდებიან ეტიკეტის სრული დაცვით ქცევასა და მეტყველებას, მაშინ როცა მამაკაცებს საზოგადოება იმავე პრეტენზიებს არ უყენებს, რადგან „კაცები ხომ მაინც კაცები არიან,“ თუმცა ეს იმას არ ნიშნავს, რომ მათ საზოგადოდ მიღებული წესები არ უნდა გაითვალისწინონ.

ზემოხსენებულ დიალოგებში ქალი და მამაკაცი პერსონაჟები მონაწილეობენ და მათში გამოყენებული ენობრივი საშუალებები, კერძოდ, მიმართვის ფორმები მიუთითებს ტენდეციაზე, რომ ქალი მოსაუბრეები ცდილობენ მსმენელში მოიპოვონ კეთილგანწყობა, თანადგომა, მხარდაჭერა, ხოლო მამაკაცები გვევლინებიან სიტუაციაში დომინანტებად. ქალი პერსონაჟები იყენებენ ისეთ ენობრივ საშუალებებს, როგორებიცაა: “I think” - “ვფიქრობ”, I suppose - “იქნებ”, “*You should have said*” - „ხომ არ აჯობებდა, გეთქვა“.

ტექსტებში შერჩეული და დაჯგუფებული უნივერსალიები მამაკაც და ქალ მოსაუბრეს ერთმანეთისგან განასხვავებს ლექსიკურად და გრამატიკულად, მაგრამ წინადადების ფორმირებასა და პერსონაჟთა მეტყველებაზე მნიშვნელოვან გავლენას მაინც კონტექსტი, პრესუპოზიცია და ქვეტექსტი ახდენს. ამ სამი კომპონენტის გავლენა ქალი და მამაკაცი პერსონაჟების მეტყველებაზე განსხვავებული ეპოქის ავტორებთან შევისწავლეთ ორი ინგლისურენოვანი ავტორის ჰ. ფილდინგის (Fielding H, 1996) და ჯ. ოსტნის (Austin J, 1813) ნაწარმოებების მიხედვით მათი პერსონაჟების დიალოგებში გამოყენებულ ლექსიკურ-სემანტიკურ საშუალებებზე დაკვირვებით როგორც ორიგინალში, ასევე მათ თარგმანებში.

ცნობილი სოციოლინგვისტის დებორა ტენენის (Tannen, 1986:678) თეორიის თანახმად, ბიოლოგიური განსხვავებულობა და სოციალური ინტერპრეტაციები მჭიდროდაა დაკავშირებული ენასა და მის ლინგვისტურ სტრუქტურასთან, რაც აისახება კიდევ საანალიზო წყაროებში საპირისპირო სქესის პერსონაჟთა მეტყველების სტილში. შერჩეულ ნაწარმოებებზე დაყრდნობით გავანალიზეთ ქალი და მამაკაცი პერსონაჟის მეტყველებისა და ექსპრესიის განსხვავებული სტილი, რომელსაც სოციოლინგვისტი დ. ტენენი (Tannen, 1986:678) განსხვავებულობის თეორიით ხსნის და ამბობს, რომ მდებდრობით სქესს ახასიათებს ე. წ. „ჰარმონიული საუბარი“ (Rapport Talk), ანუ კომუნიკაცია ურთიერთობის დამყარებისთვის, ხოლო მამრობით სქესს „მოხსენებითი საუბარი“ (Report Talk), ანუ კომუნიკაცია აზრის მისაწოდებლად, მოხსენების, ანგარიშის გასაკეთებლად. „სწორედ მეტამესიჯებს შორის ეს განსხვავება იწვევს მის კომუნიკაციას სქესებს შორის“ - ამბობს ტენენი (Tannen, 1986: 97). მიუხედავად იმისა, რომ მის თეორიას უამრავი მოწინააღმდეგე ჰყავს, კვლევის დროს გამოიკვეთა მისი პრაქტიკულობა და შესაბამისობა კვლევის თითქმის ყველა ეტაპზე, რასაც ადასტურებს ჩვენ მიერ შერჩეულ ავტორთა ნაწარმოებების ორიგინალები და მათი თარგმანები. ტენენის თეორიის მიხედვით, ენობრივი ასპექტები შევადარეთ და შევუპირისპირეთ ერთმანეთს გენდერულ ჭრილში:

- ქალი პერსონაჟისთვის მნიშვნელოვანია:
 - მხარდაჭერა;
 - თანაგრძნობა;
 - გრძნობები;
 - შეთავაზება;
 - კომპრომისი;
 - ინტიმურობა.
- მამაკაცი პერსონაჟისათვის მნიშვნელოვანია:
 - სტატუსი;
 - რჩევა;
 - ინფორმაცია;

ბრძანება;

კონფლიქტი;

დამოუკიდებლობა;

გავანალიზებთ, თუ როგორ რეალიზდება ტენენის თეორიის თანახმად ჩამოყალიბებული კატეგორიები საანალიზო წყაროში სხვადასხვა სქესის პერსონაჟთა მეტყველებასა და დისკურსში. ამით გავარკვევთ, რა არის მნიშვნელოვანი კომუნიკაციის დროს მამაკაცი მოსაუბრისათვის და რა - ქალისათვის, რამდენად მკვეთრად არის გამოხატული ეს კატეგორიები საკვლევი მასალის მიხედვით და რა ენობრივი საშუალებები (იდიომები, მეტაფორები თუ ანდაზები) გვხვდება მათში გენდერთან დაკავშირებული სტერეოტიპებისა და მეტყველების გადმოსაცემად. თუ ავიღებთ რეჟისორ როჯერ მიჩელის მეტად საინტერესო მხატვრულ ფილმს – „დილა მშვიდობისა“ („Morning Glory“), ტენენისეული თეორიით გამოყოფილ კატეგორიებში ქალისა და მამაკაცისათვის დამახასიათებელ თვისებებსაც ადვილად ამოვიცნობთ.

ფილმი „დილა მშვიდობისა“ („Morning glory“) მოგვითხრობს დილის სატელევიზიო გადაცემის ახალგაზრდა პროდიუსერ ქალზე, ბეკიზე, რომელიც მუხლჩაუხრელად შრომობს, სანამ არ დაითხოვს. იგი სასოწარკვეთილი ეძებს ახალ სამსახურს და ბოლოს იპოვის სატელევიზიო შოუ „დილა მშვიდობისას“ პროდიუსერად, რითაც უნდა დაამტკიცოს, რომ უფრო რთულ დავალებაზეც შეუძლია თავის გართმევა, ვიდრე მოცემული თანამდებობაა. მან უნდა გაათავისუფლოს თავდაჯერებული, ირონიითა და სარკაზმით სავსე ახალი ამბების წამყვანი და შეეცადოს დაარწმუნოს ეგოისტი რეპორტიორი, მაიკ პამეროი (ჰარისონ ფორდი), მიიღოს სამუშაო, აიძულოს მას სათანადოდ შეასრულებინოს სამუშაო. იგი ცდილობს, შოუს გადაცემათა გადაცემების რეიტინგი აამაღლოს. განვიხილოთ შემდეგი მაგალითები:

- „Sir, I am such a huge admirer of yours. I'm a... I'm a big, huge fan. I...Oh, my whole family watched you, growing up. I...Of all the anchors, you were, by far, the greatest reporter. I mean when you were in Kosovo, I was in Kosovo”.

- „სერ, მე თქვენი ნიჭის თაყვანისმცემელი ვარ. მე თქვენი ძალიან დიდი თაყვანისმცემელი ვარ. თქვენს გადაცემებზე გავიზარდე. თქვენ არცერთი წამყვანი არ

შეგედრებათ, ვინც კი ოდესმე მინახავს. თქვენნაირი ჟურნალისტი არ არსებობს. როცა კოსოვოში იყავით, თითქოს მეც იქ ვიყავი.

- „Are you done?„
- „დაასრულეთ?“
- „Yes, I'm sorry.I'm so sorry.“
- „დიახ, მაპატიეთ, მაპატიეთ“.
- „May I?“
- „შეიძლება?“
- „Oh, God, sorry. I...Oh, of course, of course“.
- “ღმერთო, რა თქმა უნდა“.

მოცემული მაგალითიდან ადვილი მისახვედრია, თუ როგორი ემოციით საუბრობს ქალი პერსონაჟი, როგორ გადმოსცემს თავის გრძნობებს, ხოლო მამაკაცის მეტყველებაში არცერთი სიტყვა არ არის ისეთი, რომელიც გამოხატავს თანამოსაუბრის მიმართ თანაგრძნობას, მხარდაჭერას. მის მეტყველებაში არის მშრალი, უემოციო და გაყინული მოკლე წინადადები. ის თითქოს თავის სტატუსს ინარჩუნებს. რაც შეეხება მთარგმნელობით ასპექტს, როგორც ჩანს, შინაარსი და ემოციური დატვირთვაც მეტ-ნაკლებად შენარჩუნებულია, მაგრამ ლექსიკური ტრანსფორმაციის ხერხი - გამოტოვება ხშირად აქვს გამოყენებული მთარგმნელს.

საინტერესოა შემდეგი დიალოგის განხილვა, რომელიც ასევე ნათლად აჩვენებს მამაკაცებისთვის დამახასიათებელ პირდაპირობას, უხეშობას და დაუნდობლობას, მაშინ როცა მიზანდასახული ქალი ცდილობს შთამბეჭდავად წარმართოს დიალოგი, რათა მოახდინოს შთაბეჭდილება თანამოსაუბრეზე, შესთავაზოს საკუთარი კანდიდატურა და მიიღოს სამსახური. იგი ცდილობს როგორც ვერბალურად, ასევე არავერბალურად გადმოსცეს თავისი სათქმელი, რაც თარგმანში სრულიად დაკარგულია და რომ არა ფილმი, ვერც კი გავიგებთ ქალისთვის დამახასიათებელი საუბრის მანერების ელემენტების თავისებურებებს, რომელიც უფრო კარგად ჩანს არავერბალური მეტყველების დახმარებით. განვიხილოთ შემდეგი მაგალითი:

- „Oscar says you're very talented and you work incredibly hard. Says you're the most promising producer that he's ever fired“.

- "მიტხრეს, რომ თქვენ ძალიან ნიჭიერი და შრომისმოყვარე ხართ. თქვენმა ბოსმა მიტხრა, რომ თქვენ ყველაზე ნიჭიერი პროდიუსერი ხართ მათ შორის, ვინც კი ოდესმე გაუთავისუფლებია.

- *Oh, well, that's, that's good. I think.*

- რა სასიამოვნოა, ალბათ ასეა.

- *Uh, so you're a fan of our morning program?*

- ესე იგი, ჩვენი დილის შოუს თაყვანისმცემელი ხართ?

- *Oh, yeah, I think it has so many...*

- დიახ, ვფიქრობ, რომ მასში უამრავი საინტერესო ელემენტია.

- *Yeah, yeah, we know it's terrible. Perpetually in fourth place.*

- ჰო, ვიცი, მაგრამ ერთი საშინელებაა, მუდმივად მეოთხე ადგილზე ვართ.

- *Oh, I think Colleen Peck is a pro.*

- ჩემი აზრით, კოლი პეკი პროფესიონალია.

- *Heinous.*

- ურჩხულია.

- *Um Paul McVee is a fine reporter.*

- პოლ მაქვეინი არაჩვეულებრივი ჟურნალისტია.

- *Foul.*

- უვარგისია.

- *OK. Is Daybreak a shitty show? Yes. But it's on a network. And not just any network. This is one of the most legendary news divisions in the entire history of television! Daybreak*

just needs someone who believes in it, who understands that a national platform is an invaluable resource, that no story is too low or too high to reach for!

- კარგი. განთიადი საშინელი შოუა? ჰო. მაგრამ ის საზოგადოებრივ არხზე გადის და ეს არხი ჩვეულებრივი არ არის. ის ტელევიზიის ისტორიაში ყველაზე სახელგანთქმული არხია. განთიადს აკლია ადამიანი, რომელიც მიხვდება, რომ საზოგადოება შეუფასებელი რესურსია და არსებობს უამრავი თემა და სიუჟეტი, რომელიც უნდა გამოუქდეს!

- *Are you gonna... sing? ... - you have never been an executive producer. You're too young. Nobody's ever heard of ya. And here, your education, three, not four, years, at Fairleigh Dickinson in Teaneck, also known as fairly Ridiculous. Did I miss anything?*

